ISSN 1987-5355

#29
September
October
2008

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN



გლობალური პერფორმანსი საქართველოში
Global Performance in Georgia

პეკინის ოლიმპიური ნაგებობები - წყლის კუბი
Olimpic Constructions in Beijing - Water Cube

ლიტვის არქიტექტურა - სასტუმრო „ევროპა როიალი”
Lithuanian Architecture - Hotel EUROPA ROYALE

„პარიზი” მანსარდაში
Paris in the attic

სტილი
არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი

CAPAROL

მრავალფუნქციური კომპლექსი

ავლაბარი




WWW.SASCOGROUP.GE

* 1020
TEL: (+99532) 379999
MOB: (+99597) 379999
FAX: (+99532 375190
INFO@SASCOGROUP.GE

ვესტელი
შენი ბედნიერებისათვის

# ოდესმე გითამაშია ვესტელთან?



pixellence USB TV

FULL 1080P HD

სერტიფიცირებულია

VESTEL Happy Technology


NEW LIGHT
ახალი ნათება
შეუცვალე ძველი ახლით
www.newlight.ge
newlight.ge@yahoo.com
Artemide
Lirio
OPPLE
DELTALIGHT
PHILIPS
OSRAM

[illegible]

# დასრულებული რემონტით

ბინები ვერაში - BCV

- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]




კომპლექსი დასრულებული რემონტით
ჩაბარება 2008 წლის ოქტომბერში

[illegible]
[illegible]
[illegible]


სრულყოფილება დეტალებში

**გამომცემელი** - კომპანია **სტილი** და დიმიტრი მოსულიშვილი
**დირექტორი** - ეკა ჯავახიშვილი
**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე
**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, ლალი ბახტაძე
**მარკეტინგის მენეჯერი** - ალისა შომახია
**რეკლამა** - ქრისტინა გოროდნიჩევა
**თარგმანი** - ნატა ქურთანიძე
**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე
**დიზაინი** - გია ნოზაძე
**გაყიდვების მენეჯერი** - მირიან მარგალიტაშვილი

**PUBLISHER -** Company **STYLE** & Dimitri Mosulishvili
**DIRECTOR -** Eka Javakhishvili
**EDITOR -** Nino Laghidze
**INFORMATION -** Nino Laghidze, Lali Bakhtadze
**MARKETING MANAGER -** Alisa Shomakhia
**ADVERTISING -** Kristina Gorodnicheva
**TRANSLATION -** Nata Kurtanidze
**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze
**DESIGN** - Gia Nozadze
**SALE MANAGER** - Mirian Margalitashvili

CAPAROL
ნომრის სპონსორია
შპს „კაპაროლ-ჯორჯია“

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

კომპანია "სტილი"
0160 თბილისი, გამრეკელის ქ. N7, ბ.27
ტელ/ფაქსი: 38-33-24.
მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

7 Gamrekeli Str., 0160 Tbilisi, Georgia.
Tel/fax: (+995 32) 38-33-24.
Mob: (+995 77) 44-86-00, (+995 93) 42-74-73

http://www.archistyle.ge
E-mail: style_inbox@mail.ru
inbox@archistyle.ge

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**





## რედაქციისგან

2008 წლის აგვისტო ჩვენს ცნობიერებაში ასოცირდება, როგორც კიდევ ერთი ზღვარი წარსულსა და მომავალს შორის. ამ უსაშველო გაურკვევლობაში, თითქოს დაინგრა, გაიყინა ყოველივე. და ჩვენ, დღეს, ახლა უკვე წარსულის აღქმით, ვცდილობთ გადავარჩინოთ მომავალი. ყოველი ახალი დღე, ახალი ათვლის წერტილივით, მაინც იმედით იწყება, რადგან...

იმედია აღარ იქნება ომი
იმედია მხოლოდ დასანგრევი დაინგრევა
მაინც შენდება და აშენდება ლამაზი სახლები
ადამიანები შექმნიან ხელოვნების ნიმუშებს
ვითანამშრომლებთ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან...

კვლავ წარმოგიდგენთ სიახლეებს არქიტექტურისა, მშენებლობის სფეროში, ჩვენი თანამემამულეების მიღწევებსა და წარმატებებს საერთაშორისო გამოფენებსა თუ კონკურსებში, ახალ შემოქმედებით სახეებს, მოვლენებს.

ჟურნალის ახალი ნომრის ყოველი ახალი ინფორმაცია, თავისუფლად შესაძლებელია მისი მთავარი თემა გამხდარიყო. და ის ფაქტი, რომ ისინი თავმოყრილია ერთ გამოცემაში, ნათელყოფს - ყველაფრის მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში შემოქმედებითი აღმასვლა არ წყდება - ადამიანები აზროვნებენ, ქმნიან, ერთი სიტყვით ცხოვრობენ.

რა აერთიანებთ ამ ადამიანებს - „სტილის" ახალი ნომრის გმირებს?... ალბათ ერთიანი კრედო - იდეის ხორცშესხმა და თვითრეალიზაცია - ეს არის მათი ცხოვრების პრინციპი და უდაოდ, ყოველ მათგანს განუცდია გრძნობა, რომელიც კიდევ ერთი შემოქმედებითი წარმატებისას გეუფლება - ხვდები, რომ ქმნი.

## EDITORIAL

In our minds, August 2008 is associated as another marking point, delimiting the past and the future. This unfortunate misunderstanding destroyed everything we were used to; today we can only try to take a look back at our experience and save our future. But every new day seems to give us a new start, because...

We hope there will be no more war
We hope that destruction will only touch on what has to be destroyed
Beautiful new houses are built
People continue to create new works of art
We can cooperate with the rest of the world...

Again and again, we are happy to report news on architecture and construction, tell you about success and achievements of our compatriots at international exhibitions and competitions, introduce new creative personalities and feature new events.

Any subject discussed in this new magazine issue might have become its key feature. The fact that all of them have been brought together proves that the creative activity in our country has not ceased - people continue to think and work - in other words, the life is going on.

What unites these persons, to whom the new issue of STYLE Magazine is dedicated? Probably this is their credo - to realize ideas and express themselves. I am sure that al of them have experienced the unforgettable feeling, which accompanies a creative breakthrough - the feeling of having made something valuable.

BUREAU FOR INTERIOR DESIGN

ჩემი განწყობა, ჩემი ინტერიერი



სარეკლამო

ჭავჭავაძის გამზ. 23ა II სართ. ტელ: (995 32) 250 265 ფაქსი: (995 32) 250 264 info@arx.ge

# SCHÜCO

## ალუმინის ფასადის სისტემები
## და კარ-ფანჯრები

ვაჟა-ფშაველას გამზირი N71 ტელ: 69 17 00 ფაქსი: 69 17 07

ahrend

Always ready for things to come

ოფისის დაგეგმარება და საოფისე ავეჯი

ARCHTRADE

ელ-ფოსტა: info@archtrade.ge www.archtrade.ge


არქიტექტურული პრემია 2008
„არქიტექტურული პრემია 2008" მოსამზადებლად
გრძელდება საკონკურსო მასალის მიღება
ტელ.: 38-33-24 მობ.: 893 42-74-73
www.archistyle.ge


ბინები დასრულებული სახით
Batumi Plaza
ბათუმი პლაზა
ოფისები
მაღაზიები
სასტუმრო
საცურაო აუზი
www.batumiplaza.ge
25 25 75 50 50 20
www.bagebeycity.com




# სარჩევი
# Content 1



გლობალური პერფორმანსი საქართველოში
Global Performance in Georgia 18

ქალაქი
CITY


ქალაქი
The City 24


„იბერია"-ს საჩუქარი ძველ თბილისს
Iberia's Present to Old Tbilisi 32

უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE


პეკინის აეროპორტი
Beijing Airport 35


წყლის კუბი პეკინში
Beijing Water Cube 44


ლიტვის არქიტექტურა
Lithuanian Architecture 48


„პარიზი" მანსარდაში
Paris in the attic 56


მთავარი მხატვრული პრინციპი
Weapon-shop in Vilnius 64


სტილი უკვალოდ არ იკარგება
Nothing Is Lost Without a Trace 68


ზღვასთან პირისპირ
Face to Face with the Sea 72


„ქნაუფის" კონკურსი
Knauf Competition 82





შ.პ.ს. მოდერნროუფინგი

MODERNROOFING LTD

modernroofing@mail.ru www.modernroofing.ge




# სარჩევი
# Content 2



ქალაქი შექი
The City of Sheki 90


გულივერის ქოთნები
Gulliver's Pots 94


„ლამ ლის" შოურუმი ბრიუსელში
Lam Lee Showroom in Trade Mart Brussels 98

სახლი
HOUSE


ახალი ბრენდი საქართველოში
New Brand Entering Georgia 102


რეკონსტრუქცია
Reconstruction 108


მტკვარზე მოცურავე გემი
Cruising Mtkvari River 109


პროფესიული სპექტრი
Professional Range 114


„მასპინძელო"
"maspindZelo" 116


მწვანე არქიტექტურა
Green Architecture 118

ინტერიერი
INTERIOR


არქიტექტურული დეტალების კოლორიტი
Coloration of Architectural Details 122


თავისუფლების სტილი
Style of liberty 126





სარვის-მშენი





# სარჩევი 3
# Content



ბელ ვილი
Belle ville 128


დეკორატიული პალიტრები
Decorative Palettes 130


დიზაინერული კოლაჟი
Design Collage 136


საბავშვო ოთახი
Nursery Room 138


ფერნიტურა
FURNITURE
ხელოვნებაზე შეყვარებული
In Love with Art 144


ვერნისაჟი
VERNISAGE
ფოტოლაიფი
Photolife 148


ედმონდ გაბრიელ კალანდაძე
Edmond Gabriel Kalandadze 154


ტრანსფორმაცია
Transformation 160


კონკურსი
COMPETITION
კონკურსი 162


გამოფენა
EXHIBITION
სარკმელი სამყაროს უკიდეგანო სივრცეში
A Window to the Boundless World 164


მაკულატურის მეორე სიცოცხლე
Second life of recycled paper 168



ჟურნალი ვრცელდება

"კვირის პალიტრა" - ჯიხურებსა და წიგნის მაღაზიებში
"მაცნე" - ჯიხურები
"პლანეტა ფორტე" - ჯიხურები
"ომეგა" - ჯიხურები (დოლიძის კუთხეში, ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარედ, ყიფშიძის კუთხეში)
აეროპორტი
"პარნასი" - ქსელი
"ბედვილი"
"წიგნის სახლი"

**სუპერმარკეტები:**
"მასივის" - ქსელი
"ლივო" - ქსელი
"იბისი" - ქსელი
"კონტინენტალი"
"ბიგ ბენი"






შ.პ.ს. ინსტა
insta
e-mail: sales@insta.ge
e-mail: shop@insta.ge
www.insta.ge

# კაპაროლ ჯორჯია პროფი ცენტრს ხსნის

„კაპაროლი" საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დისტრიბუციას და ბოლო სამი წლის განმავლობაში პერმანენტულად აფართოვებს სადილერო ქსელს. „კაპაროლის" დილერები უკვე 14 ქალაქს მოიცავენ რეგიონებში. თბილისში ცამეტი მაღაზია და 50 ათზე მეტი გაყიდვის წერტილია ელიავას ტერიტორიაზე. წელევანდელი გაზაფხულიდან „კაპაროლის" პროდუქტებს უკვე „გუდვილის" სამშენებლო ჰიპერმარკეტშიც ნახავთ. ამჟერად კი „კაპაროლმა" საკუთარი პროფესიონალური ცენტრი გახსნა თბილისში - Caparol Profi Center.



Caparol Profi Center-ის პროექტი და დიზაინი „გია და არჩილ ქურდიანების სტუდია დინასტიას" ეკუთვნის. სამუშაოები „მაგთივინმა" შეასრულა. საკმაოდ პატარა სივცე უჩვეულოდ ეკონომიურად არის გამოყენებული, ერთმანეთთან ჰარმონიულად არის შერწყმული როგორც მაღაზიის კუთხე, ასევე მოსასვენებელი სივრცე და საოფისე ნაწილი. ნათელი ფერები, დიდი ვიტრაჟები და ღია ფართი სივრცულ ეფექტს ქმნის. მრავალფეროვან ნიმუშებს ხალისი შემოაქვთ სივრცეში. ეს ყველაფერი კი, თავაზიან თანამშრომლებთან ერთად საოცრად მყუდრო და სასიამოვნო გარემოს ქმნის.

Caparol Profi Center-ი მოემსახურება პროფესიონალ ხელოსნებს, არქიტექტორებს, დიზაინერებს, სარემონტო და სამშენებლო კომპანიებს, დეველოპერებს და ასევე დიდ კერძო დამკვეთებს. პროფი ცენტრში კაპაროლის მომხმარებელი ვიზუალურად ნახავს კაპაროლის ფასადის მოსაპირკეთებელი თუ ინტერიერის დანაფარების მრავალ ნიმუშს, ადგილზე შეეძლებათ მასალების შეძენა და რაც ყველაზე მთავარია მათ, კაპაროლის ტექნოლოგი პროფესიონალურ კონსულტაციას გაუწევს, იქნება ეს მასალების თუ ფერის შერჩევა, დიზაინერული რჩევები, ობიექტის მონიტორინგი, საცდელი დანაფარების მომზადება, მასალების ადგილზე მიტანა თუ სხვა.

ჩვენს კითხვებს კაპაროლის თანამშრომლებმა: პროდუქტ-მენეჯერმა მაია ჩადუნელმა და გაყიდვების მენეჯერმა გიგა ნემსიწვერიძემ უპასუხეს.

**რამდენად საჭირო იყო მსგავსი ტიპის ცენტრის გახსნა?**

**გიგა ნემსიწვერიძე:**

- ამ მიმართულებით ჩვენ პირველები ვართ, მას მერე, რაც ლილოში ქარხანა ავაშენეთ და ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით გადავედით, ჩვენი კლიენტებისთვის მოუხერხებელი გახდა ყოველდღე ჩვენთან სიარული ტექნოლოგებთან კონსულტაციებზე ნიმუშების სანახავად და სხვა. გარდა ამისა არქიტექტორებს, მშენებლებს და დიზაინერებს სჭირდებათ ადგილი, სადაც ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ მოსაპირკეთებელ მასალებზე, იქვე შეძლებენ ამ მასალების ვიზუალურად ნახვას და მათ შეძენას. მერწმუნეთ, ეს დიდი კომფორტია. გარდა ამისა, პროფი ცენტრში გაიმართება ვორქშოპები და სემინარები ინოვაციურ პროდუქტებზე, რომელსაც ნებისმიერი მსურველი შეიძლება დაესწროს. ეხლა, ჩვენ ახლოს ვართ ჩვენს მომხმარებელთან და ვმუშაობთ მათთვის ყოველდღე კვირის გარდა.

**- რამდენი თანამშრომელია ამჟამად პროფი ცენტრში?**

**გიგა ნემსიწვერიძე:**

- ამჟამად პროფი ცენტრის კლიენტებს 5 თანამშრომელი ემსახურება: გაყიდვების მენეჯერი, დეკორატიული დანაფარების პროდუქტ-მენეჯერი, ტექნოლოგი და კლიენტ-სერვის მენეჯერი, აგრეთვე წარმომადგენელი ჩვენი პარტნიორი კომპანიიდან, რომელიც სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს შეასრულებს ჩვენივე მასალებით. მოგეხსენებათ ჩვენი პროფესიონალური მასალები, ისეთი როგორიცაა, მაგალითად, დასასხმელი იატაკები ან თუნდაც ფასადის მისაპირკეთებელი სისტემები გარკვეულ ტექნოლოგიურ ცოდნას მოითხოვს. გამომომდინარე აქედან, ჩვენი პარტნიორი კომპანია, რომლის თანამშრომლებიც გერმანიაში გაიგზავნებიან სწავლებებზე, 100% -იანი გარანტი იქნება, რომ სამუშაოები ზუსტი ტექნოლოგიის დაცვით ხარისხიანად და რა თქმა უნდა დათქმულ ვადებში შესრულდება.

**- რა უპირატესობები აქვს პროფი ცენტრს ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით?**

**მაია ჩადუნელი:**

- პროფი ცენტრი არის ადგილი, სადაც ყველა კლიენტს პროფესიონალების ჯგუფი ემსა-





ხურება. ჩვენ ვყიდით, არა მარტო მასალებს, არამედ „კაპაროლის“ მასალებთან ერთად სრულ სერვის ვთავაზობთ. ასეთი სერვისი ამიერკავკასიაში ჯერ არ არსებობს. ჩვენი უპირატესობაა - არასტანდარტული მიდგომა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს პასუხი ყველა კითხვაზე, „კაპაროლის“ ტექნოლოგები ცალკეული შემთხვევებისთვის პოულობენ გამოსავალს. ჩვენ ვუზრუნველყობთ ობიექტის მონიტორინგს, მასალების ადგილზე მიწოდებას, დანაფარებს ობიექტზე შესრულებას. გარდა ამისა, ჩვენს ხელთაა პროფესიონალი ხელოსნების ბაზა, რომლებმაც სწავლება გაიარეს ჩვენს ტექნოლოგებთან და სრული ტექნოლოგიის დაცვით მუშაობენ ჩვენს პროდუქტებზე.

**– თუ არის უკვე დაინტერესება თქვენი პოტენციური კლიენტების მხრიდან? და ვინ არიან თქვენი აქტუალური კლიენტები?**

**მაია ჩადუნელი:**

- პროფი ცენტრი რამდენიმე დღის წინ გაიხსნა, ჩვენი ძველი კლიენტები უკვე აქტიურად დადიან პროფი ცენტრში. გარდა ამისა ნელ-ნელა ახალი კლიენტებიც ინტერესდებიან. ამის მიზეზი ჩვენი პროფესიონალური რჩევები, სრული სერვისი და ხარისხიანი პროდუქციაა. ჩვენი კლიენტები არიან სამშენებლო კომპანიები: „არსი“, „წავკისის ველი“, „არქ სტუდია“; დიზაინ სტუდიები: „ჩემი სახლი“, „მაგთივინი“, Barry Designe House, აგრეთვე სხვადასხვა დამოუკიდებელი არქიტექტორები და დიზაინერები.

**- როგორია ასორტიმენტი პროფი ცენტრში?**

**მაია ჩადუნელი:**

- პროფი ცენტრში „კაპაროლის“ სრული პროფესიონალური ასორტიმენტია წარმოდგენილი: საღებავები და ბათქაშები, ლაქები და ემალები, ინტერიერის დეკორატიული დანაფარები, მინაშპალერები, თბოიზოლაციის სისტემები ფასადებისთვის, ფასადის მოსაპირკეთებელი მასალები, ბზარების სარემონტო სისტემები, ხისა და ლითონის დამცავი დანაფარები, სარემონტო და დამცავი სისტემები რკინა-ბეტონისთვის, აგრეთვე მაღალი ხარისხის ინსტრუმენტების და სამუშაო აღჭურვილობის ნაირსახეობა, რაც ხელოსნებისნებისთვის აუცილებელია ამათუ იმ სამუშაოების შესასრულებლად.

**– სამომავლოდ რას აპირებს კაპაროლი, იგეგმება თუ არა კიდევ ერთი პროფი ცენტრის გახსნა საქართველოში?**

**გიგა ნემსიწვერიძე:**

- ჩვენ ყოველთვის ვსვავთ კითხვას, რა უნდა ჩვენს მომხმარებელს და ვმოქმედებთ პასუხის შესაბამისად, იქნება ეს პროდუქტებში თუ სერვისში ყველანაირად ვცდილობთ მათ მოთხოვნებს ვუპასუხოთ და კომფორტი შევუქმნათ. სამომავლოდ სიახლეები აუცილებლად იქნება, როგორც დისტრიბუციის, ასევე პროდუქტებისა და სერვისის მიმართულებით. შესაძლებელია, კიდევ გაიხსნას პროფი ცენტრი საქართველოში, მაგრამ ჯერჯერობით, დანამდვილებით ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. სიახლეებს პერმანენტულად ვაშუქებთ ჩვენს საიტზე ან მედიის საშუალებით, ასე რომ, როგორც კი რაიმე სიახლე იქნება, აუცილებლად შეიტყობთ.

ესაუბრა ნინო ლალიძე

**Caparol Profi Centre**
**ვაჟა ფშაველას გამზირი 57-ის მოპირდაპირე მხარე ტროლეიბუსების პარკის ტერიტორია.**
**ტელ: (+995 93) 19 43 34**
**ელ-ფოსტა: proficentre@caparol.ge**
**www.caparol.ge**



# გლობალური პერფორმანსი საქართველოში

## 2008 წლის აგვისტო

*ავტორი: რუსეთის სამშვიდობო არმია*





















**AUGUST 2008**

***Author: Russian peacekeeping forces***

# Global Performance in Georgia



# გლობალური პერფორმანსი საქართველოში

## 2008 წლის აგვისტო

*ავტორი: რუსეთის სამშვიდობო არმია*



















**AUGUST 2008**

*Author: Russian peacekeeping forces*



# Global Performance in Georgia

# გლობალური პერფორმანსი საქართველოში

## 2008 წლის აგვისტო

*ავტორი: რუსეთის სამშვიდობო არმია*























**AUGUST 2008**

***Author: Russian peacekeeping forces***

# Global Performance in Georgia



www.flickr.com/photos
k.tseradze@yahoo.com's photostream

# ქალაქი



ბიზნესცენტრი მელიქიშვილის გამზირზე

არქიტექტურა გამოყენებითი ხელოვნებაა, რომელიც სოციალურ სივრცეს ქმნის და ადამიანის აზროვნების სტილს განსაზღვრავს. ქალაქი თავისი სტრუქტურითა და გეგმარებით ეპოქის სოციალურ-ეკონიმიკური და სულიერი განვითარების ამსახველია. ამ მხრივ თბილისიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ქალაქგეგმარების ამოცანაა არსებული კლიმატის, რელიეფისა და ტრადიციების გათავალისწინებით საზოგადოებისათვის ახლობელი და მისაღები გახადოს არქიტექტურა. თბილისის სტრუქტურულ-არქიტექტურული კომპოზიციის შექმნა საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. ქალაქი თვითმყოფადი, განუმეორებელი სახით, უზადო დინამიკითა და მასშტაბურობით ჩამოყალიბდა. თბილისის არქიტექტურა გარკვეულად ჟღერადი გახდა. მოსაწყენი, ტიპიური საცხოვრებლებისა და შენობების გვერდზე საინტერესო არქიტექტურული მიგნებებითა და თვითმყოფადობით გამოირჩევა ცალკეული საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებიც. თანამედროვე მშენებლობისათვის დამახასიათებელმა სპეციფიკამ, სამშენებლო მასალის ფართო არჩევანმა, მშენებლობის ფართო ასორტიმენტმა ნიჭიერ შემოქმედთა ამოუწურავი შესაძლებლობანი გამოავლინა. მას ასრულებენ, როგორც ქართველი ასევე უცხოელი სპეციალისტები, თუმცა ქვეყანაში არსებული კრიზისი საქმის წინსვლას აფერხებს.

უამრავი სირთულის მიუხედავად დეველოპერული კომპანია „იბერია“ მიზანდასახულად , ნაბიჯ-ნაბიჯ აგვარებს პრობლემებს. საიმედო ბაზისს უზრუნველყოფს. ამის გარეშე კი შეუძლებელია მისი თანმიმდევრული, შემოქმედებითი საქმიანობა.

„იბერია“ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე 9 წლიანი არსებობის ისტორიით, სტაბილური რეპუტაციით, ბიზნესის განვითარების კუთხით, პერმანენტული რეინვესტირებით მზარდ და დინამიურ კომპანიად ჩამოყალიბდა. მისი ძირითადი საქმიანობა თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლების კომერციული და ინდუსტრიული შენობების პროექტირება-მშენებლობაა. ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც დედაქალაქში უმაღლესი კლასის მრავალბინიანი სახლების მშენებლობა წამოიწყო.

იბერია თანამშრომლობს საყოველთაოდ ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან, რაც კომპანიის პროფესიონალიზმის უტყუარი ნიშანია.

კომპანიის აქტივობა ორი ძირითადი მიმართულებით განისაზღვრებოდა. უძრავი ქონების განვითარება და მშენებლობა. 2007 წელს „იბერიამ“ განიცადა სტრუქტურული ცვლილება, რომელიც კომპანიის განვითარებას და სტრუქტურულ მიზნებს ემსახურებოდა. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სხვადასხვა მიმართულება და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „იბერია უძრავი ქონება“ და კომპანია „იბერია კონსტრაქშენი“.


საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის გამზირზე





საცხოვრებელი სახლი აბაშიძის ქუჩაზე



კომპანიის არქიტექტურული სტუდია ამ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია. აქ წარმატებით მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი არქიტექტორები და კონსტრუქტორები, რომლებიც ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად მუდმივად ზრუნავენ კომპანიის საქართველოს და საზღვარგარეთის მასშტაბით წარმოჩენაზე.

დღეისთვის კომპანიის არქიტექტურულ სტუდიაში 17 პროფესიონალი არქიტექორი და კონსტრუქტორი მუშაობს. სტუდიის არქიტექტორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას სხვადსხვა არქიტექტურულ კონკურსებში, სადაც არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.

აქ შესრულებული ნამუშევრები წარმატებით გამოიფინა 2006 წლის ვენეციის ტრადიციულ ხელოვნების ბიენალეზე, სადაც ფართო სასაზოგადოებრიობის, მათ შორის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის, ბატონ გაეტან სიუს განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.



საცხოვრებელი სახლი ყიფშიძის ქუჩაზე



არქიტექტურული სტუდია ზოგად კოორდინაციას უწევს კომპანიის საპროექტო და არქიტექტურულ საქმიანობას. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს კომპანიის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფთან. მათ შორის განვითარების მარკეტინგის და გაყიდვების ჯგუფთან. წარმართავს ურთიერთობებს ქალაქის არქიტექტურის სამსახურთან. შესაბამის სამინისტროსთან, არქიტექტორთა კავშირთან. ჩვენი ქვეყნის და უცხოურ არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან (საკრებულო, მერია და მისი სამსახურები).

საჭიროა გავითავისოთ, რომ ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და აქედან გამომდინარე, მუდმივად განვითარებას მოითხოვს. ეს შეუქცევადი პროცესია, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია გავუფრთხილდეთ უკვე არსებულ ფასეულობებს, პატივი ვცეთ წარსულს და შევქმნათ მომავალი.

ნინო ლალიძე



იბერია ჰილსი - საცხოვრებელი კომპლექსი ბაგებში

# The City



საცხოვრებელი სახლი რადიანის ქუჩაზე

Architecture is an applied art, serving to creation of social space and defining the style of human thinking. Cities with their structure and planning reflect the level of social, economic and cultural development of this or that society. Urban planning aims at “domesticating” architectural environment considering such factors as climate, relief and local traditions. Tbilisi is no exception in this respect: its structural and architectural composition had been developing during many centuries, to finally form a unique city with flawless dynamics, scale and expressive architecture. Aside the drab apartment blocks and standard buildings, there has appeared a number of public constructions with interesting architectural solutions and original look in the city. Specifics of modern construction, wide range of construction materials and technologies indefinitely increased the capabilities of local and international architectural studios, maintaining their activities here in spite of the current crisis.

Notwithstanding numerous difficulties, realty development company Iberia purposefully works to overcome its problems and ensure stable foundation for its further activities.

During the nine years that Iberia has been working at the Georgian realty development market, it developed into a reliable, dynamic and stably growing business. Iberia was established in 1999; main goal of this company is creation of modern-style residential buildings as well as commercial and industrial complexes. The company was one of the first to start construction of premium-class high-rise apartment blocks in the Tbilisi.

Iberia maintains cooperation with well-known international organizations and financial institutes, which is still another proof of the company’s professionalism.

Activities of the company have two priority directions: realty development and construction. In 2007, Iberia underwent important structural changes; the priority directions were separated to form two sister enterprises: JSC Iberia Realty Development and Iberia Construction Company.





საცხოვრებელი კომპლექსი ქავთარაძის ქუჩაზე



საცხოვრებელი სახლი გორგასალის ქუჩაზე





ბიზნესცენტრი ჩახრუხაძის ქუჩაზე

Iberia Realty Development architectural studio is an important part of this organization. It unites the best architects and civil engineers of our country, who work in close cooperation with representatives of younger generation and greatly contribute to promoting the company both in Georgia and on the international scale.

At the time being architectural studio of Iberia Realty Development employs 17 professional architects and civil engineers. Studio members regularly participate in various architectural competitions, winning public acknowledgement and reinforcing reputation of the company.

The projects of Iberia Realty Development architectural studio were exhibited at the Venetian Art Biennale 2006 and enjoyed special attention of the public, including UIA president, Mr. Gaetan Siew.

The architectural studio coordinates the design and architectural activities of the company by maintaining close cooperation with all its structural units, including the development, marketing and sales groups, and by representing Iberia in its relationships with Architectural Office of Tbilisi, relevant governmental structures, the Union of Architects of Georgia, various domestic and international architectural and construction organizations.

It is important to consider that a city is a constantly developing live organism. This is an inconvertible process, requiring careful approach toward the existing values, preservation of the historical past and laying foundation for the future.

NINO LAGHIDZE





# „იბერია"-ს საჩუქარი ძველ თბილისს

2008 წლის 29 ივლისს, ს.ს. "იბერია უძრავი ქონების" მიერ გამოცხადებული, ღია არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი კონკურსი თბილისში, გარე ავლაბრის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებაზე დასრულდა.

კონკურსის შედეგების გამოცხადება და საზეიმო დახურვა მედიის, კონკურსში მონაწილეების და მოწვეული სტუმრების დასწრებით „შერატონ მეტეხი პალას"-ში 16:00 შედგა.

**დარბაზში "სალხინო" კონკურსის ბოლო ეტაპზე მონაწილე 8 პროექტი გამოიფინა. ამ პროექტების ავტორები არიან:**

- ლერი გოშაძე და მედეა აბულაძე
- "კულტურული ლანდშაფტი – ქალაქი", ზურაბ ბაქრაძე, ლუკა ბაქრაძე და კატარინა იანკე
- ალექსანდრე მეფარიშვილი და გვანცა ნიკოლაიშვილი
- იოსებ ტვილდიანი, დავით გუნცაძე, ზურაბ ჭილოლაშვილი, რუსუდან დოლიძე, გიორგი სულაკაური და ნუგზარ ჩხეტიანი
- თეიმურაზ ბოჭორიშვილი და ნათია მერებაშვილი
- ლევან ბოტკოველი, მიხეილ რამიშვილი და გელა კობიაშვილი
- სტუდია "3 კვადრატი", მიხეილ ბალიაშვილი
- ირაკლი მელაძე.

კონკურსის საზეიმო დახურვას უძღვებოდნენ **გოჩა მიქიაშვილი,** ჟიურის წევრი და „იბერია"-ს მთავარი არქიტექტორი, ასევე **რამაზ მოსაშვილი,** ს.ს. „იბერია უძრავი ქონების" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ჟიურის თანათავმჯდომარე. მათ შეაჯამეს კონკურსის მსვლელობა და წარმოადგინეს ფილმი "ავლაბრის კონკურსის ქრონიკა".

კონკურსის ორგანიზატორებმა შეკრებილ საზოგადოებას მოახსენეს ჟიურის 14 დღიანი მუშაობის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულები გამოცხადებულ ოთხ პრემიაზე, ასევე გამოაცხადეს ჟიურის გადაწყვეტილება ერთ-ერთი პროექტისთვის დაშვებული გამონაკლისის შესახებ: მათ დააწესეს - ჟიურის სპეციალური სიგელი ფულადი პრემიის გარეშე.

**კონკურსში გამარჯვებულთა სია:**

**I პრემია** – "კულტურული ლანდშაფტი – ქალაქი", ზურაბ ბაქრაძე, ლუკა ბაქრაძე და კატარინა იანკე – 10 000 ლარი

**II პრემია** – ალექსანდრე მეფარიშვილი, გვანცა ნიკოლაიშვილი – 6000 ლარი

**III პრემია** – ლევან ბოტკოველი, მიხეილ რამიშვილი, გელა კობიაშვილი – 4000 ლარი

**წამახალისებელი პრემია** - სტუდია "3 კვადრატი", მიხეილ ბალიაშვილი – 2000 ლარი

**ჟიურის სპეციალური სიგელი** – ირაკლი მელაძე















გამარჯვებული პროექტები კონკურსის პროგრამისა და პირობების თანახმად „ს.ს. იბერია უძრავი ქონების“ საკუთრება გახდა.

კომპანიამ გამარჯვებული პროექტები უსასყიდლოდ გადასცა მერიის ურბანული განვითარების სამსახურს. ეს უკანასკნელი კი დამტკიცდება იმ სახით, რითაც გახდება საკანონმდებლო საფუძველი გარე ავლაბრის უბანში ნებისმიერი არქიტექტურული საქმიანობისთვის.

გარე ავლაბრის განაშენიანების გეგმაზე კონკურსის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც სამების ტაძრის აგების და პრეზიდენტის სასახლის მშენებლობის შემდეგ ქართველი დეველოპერებისთვის ეს უბანი მიმზიდეველი გახდა.

კონკურსის მიზანი იყო ავლაბრის განაშენიანების ისეთი გეგმის მიღება, რომელიც მყარ, აპრობირებულ და ოპერატიულ საფუძველს შექმნის ამ უბნის რეკონსტრუქციისათვის.

კომპანია „იბერია“ იმედს გამოთქვამს, რომ მათი საჩუქარი ძველ თბილისს ქალაქის ისტორიული ბირთვის, გარე ავლაბრის ურბანული გარემოს რეკონსტრუქცია-განვითარებას დააჩქარებს.



# Iberia's Present to Old Tbilisi

Open architectural / urban planning competition on creation of outer Avlabar district development regulation plan, recently announced by JSC Iberia Realty, was finished on July 29 2008.

Competition results were announced to mass media, competition participants and invited guests in Sheraton Metechi Palace.

**8 projects, shortlisted at the final stage of the competition, were exhibited in Salkhino hall. Authors of these projects are:**

- Leri Goshadze and Medea Abuladze
- Zurab Bakradze, Luka Bakradze and Katarina Ianke (project "Cultural Landscape – the City")
- Alexander Meparishvili and Gvantsa Nikolaishvili
- Ioseb Tvildiani, David Guntsadze, Zurab Chogolashvili, Rusudan Dolidze, Giorgi Sulakauri and Nugzar Chkhetiani
- Teimuraz Bochorishvili and Natia Merebashvili
- Levan Botkoveli, Mikheil Ramishvili and Gela Kobiashvili
- Studio "3 Kvadrati", Mikheil Baliashvili
- Irakli Meladze

Competition closure ceremony was presided by **Gocha Mikiashvili,** jury member and chief architect of Iberia Group as well as **Ramaz Mosashvili,** head of Supervisory Board of JSC Iberia Realty and co-chairman of the jury. They summarized competition process and presented a documental film "Avlabar Competition Chronicles".

Competition organizers reported on the winners of four prizes, identified by the jury, and announced the jury's decision to award one of the projects with an incentive certificate without a monetary prize.

**Below please find a list of competition winners:**
**1st prize:** "Cultural Landscape  the City" by Zurab Bakradze, Luka Bakradze and Katarina Ianke  10000 lari
**2nd prize:** Alexander Meparishvili and Gvantsa Nikolaishvili – 6000 lari
**3rd prize:** Levan Botkoveli, Mikheil Ramishvili and Gela Kobiashvili – 4000 lari
**Incentive prize:** Studio "3 Kvadrati", Mikheil Baliashvili – 2000 lari
**Jury Incentive Certificate:** Irakli Meladze

In accordance with competition rules and regulations, the award-winning projects became the property of JSC "Iberia Realty".

On its part, the company passed the award-winning projects to the Urban Development Office of Tbilisi Municipality, which will process and approve them as a legal foundation for further architectural activities in outer Avlabar district.

Idea on arranging a competition on outer Avlabar development was formulated considering increasing attention of realty developers toward this district following construction of Sameba Cathedral and Presidential residence there.

The competition aimed at adoption of the development plan, allowing for creation of stable, reliable and efficient ground for reconstruction of Avlabar district.

JSC "Iberia Realty" hopes that their initiative will speed up reconstruction and development of Avlabar district – historical core of Tbilisi.











# პეკინის აეროპორტი





ზუსტად 2008 წლის ოლიმპიური თამაშების დაწყების წინ, ოთხწლიანი მუშაობის შედეგად, გაიხსნა პეკინის აეროპორტი, რომელიც ამჟამად მსოფლიოს უდიდეს აეროპორტადაა მიჩნეული. „ფოსტერ + პარტნერსის" მიერ შექმნილი ნაგებობა უაღრესად ეფექტურია ფუნქციონირების, მგზავრთა მომსახურეობის, მოვლისა და ბუნებრივი განათების თვალსაზრისით.

ტრადიციული ჩინური კულტურის გამოძახილია აეროპორტის სახურავის ფორმა, რომელიც დრაკონს წააგავს. ნორმან ფოსტერის თქმით, „პეკინის აეროპორტი განსაკუთრებული კონტექსტის მატარებელია: ადგილის განსაკუთრებული, ჩინური ხედვის საფუძველზე შექმნილი ეს ნაგებობა სწორედ რომ ჩინეთის სავიზიტო ბარათია. ამაზე მიანიშნებს მისი დრაკონის მსგავსი ფორმა და ტრადიციული ჩინური ფერებით – მდიდრული წითლითა და ოქროსფერით აკიაფებული სახურავი. ცენტრალური ღერძის გასწვრივ ჩამწკრივებული წითელი სვეტებიც ჩინურ ტაძარს მოაგონებს ადამიანს".

## პროექტის აღწერა

არსებულ აღმოსავლეთ ასაფრენ ბილიკსა და პროექტით დაგეგმილ მესამე ასაფრენ ბილიკს შორის ჩადგმული მე-3 ტერმინალისა და მიწისზედა სატრანსპორტო ცენტრის ფართობი ჯამში შეადგენს 1.3 მილიონ კვადრატულ მეტრს, თანაც ეს სივრცე მეტწილად გადახურულია. წინასწარი გათვლებით, 1000000 კვ.მ.-იან ზღვარს გადაცილებული ამ პირველი ნაგებობის ტევადობა 2020 წლისთვის წელიწადში 50 მილიონ მგზავრს მიაღწევს.

გრანდიოზული მასშტაბების გარდა, აეროპორტის დაპროექტებისას ძირითად მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე საჰაერო გადაზიდვებთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარება, რაც მოითხოვს სივრცის მკაფიო გადანაწილებას და უმაღლესი სტანდარტის მომსახურებას; მარტივ და ეფექტურ მართვას და მგზავრებისთვის სრული კომფორტის შექმნას. სამი ერთმანეთზე გადაბმული უზარმაზარი მოცულობისგან – 3A, 3B და 3C სექციებისგან – შემდგარი ტერმინალის ორივე ბოლო მარაოსავით იშლება, რაც ჩამოსული და გასაფრენად გამზადებული თვითმფრინავების მაქსიმალური რაოდენობის ერთდროულად მიღების საშუალებას იძლევა: 3A სექცია ემსახურება შიდა, ხოლო 3B სექცია – საერთაშორისო ავიარეისებს. 3C და 3A სექციები შიდა ავიარეისებისთვისაა განკუთვნილი და ერთგვარ სატელიტს წარმოადგენენ და ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობენ. ასეთი განაწილება უზრუნველყოფს აეროპორტის "სასარგებლო" პერიმეტრის მაქსიმუმამდე გაზრდას ნაგებობის კომპაქტურობის შენარჩუნების პირობებში.

სამნახევარი კილომეტრის სიგრძის მქონე ტერმინალის შემადგენელი ნაწილები, ისევე როგორც მისი ქვედა და ზედა დონეები ვიზუალურად კარგადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ყველა სივრცე უზრუნველყოფი-











ლია ბუნებრივი განათებით; უხვად შემინული კედლები და გადახურვაში არსებული ღიობები უნარჩუნებს ინტერიერს ორგანულ კავშირს გარე სამყაროსთან. ცენტრალური ღერძის გასწვრივ ჩამწკრივებული წითელი სვეტების კოლონადა, რომელიც მთელ ტერმინალს გასდევს და სივრცეში იკარგება, ჩინურ ტაძარს მოგვაგონებს.

ტერმინალი ეგებება აეროპორტში მისულ მგზავრებს ნაგებობის მთელ გაყოლებაზე მოწყობილი დამრეცი კონსოლით. ჩამოსვლა-გამგზავრება სხვადასხვა სართულებზე ხდება; აეროპორტის ტრადიციული გეგმარება თავდაყირაა დაყენებული 3B სექციაში, სადაც ჩამომსვლელები მეორე სართულზე შედიან და იმთავითვე შეუძლიათ დატკბნენ მათ თვალწინ გადაშლილი უკიდეგანო სივრცის ხედებით.

ტერმინალის ერთიან გადახურვაში უამრავი ღიობია დატანილი, რაც ხელს უწყობს ორიენტაციას და ნაგებობაში მზის სხივების შეღწევას. ინტერიერის შეფერილობა გადადის წითლიდან ნარინჯისფერისკენ და ყვითლისკენ, რაც ემსახურება სივრცის ზონირებას, არბილებს მისი მასშტაბურობისგან მიღებულ შთაბეჭდილებას, გამოკვეთავს ჭერის მოყვანილობას.

3A და 3B სექციებს შორის კავშირი ხორციელდება მაღალსიჩქარიანი (80 კმ/სთ-მდე) მოძრავი ბილიკით, რომელიც სექციიდან სექციაში გადასვლის დროს 2 წუთამდე ამცირებს. გამწვანებულ ზოლში ჩასმული და დღის სინათლით უხვად განათებული მოძრავი ბილიკიდან კარგად ჩანს შენობის შემოგარენიც და ინტერიერიც, რაც მგზავრებს ორიენტაციის შეგრძნებას უნარჩუნებს.

შენობა გადახურულია სამკუთხა ღიობები-





ანი ფოლადის კონსტრუქციით, რომელიც შიგნიდან გარდამავალ ფერებში შეღებილი ლითონის პანელებითაა მოპირკეთებული. კონსტრუქცია მორკალულია: იგი ტაძრის გუმბათივითაა ამაღლებული შუაში და შედარებით დაბალია კიდეებზე, მოსაცდელ დარბაზებთან. ლითონის ფერმები, რომლებზეც შემინული კედლებია დამაგრებული, გარდამავალი შეფერილობით ჭერს ეხმიანება. შემინული სიბრტყეების გამჭვირვალობა მაქსიმუმამდეა დაყვანილი გიგანტური რაფების წყალობით.

პეკინის აეროპორტის ახალი ტერმინალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია ეკოლოგიის თვალსაზრისით; მის დიზაინში ჩადებული კონცეპციები უზრუნველყოფს ბუნებრივი სითბოს მაქსიმალურ შემოდინებას (ჭერის ღიობების სამხრეთ-დასავლეთის ორიენტაცია), და ენერგიის მოხმარების შემცირებას. განცალკევებული ნაგებობებისგან შემდგარი კომპლექსის ნაცვლად, პროექტის ავტორებმა შექმნეს შედარებით კომპაქტური ერთიანი კონსტრუქცია, რომელიც ნაკლებ ადგილს იკავებს და ამარტივებს კომუნიკაციას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პეკინის აეროპორტის მე-3 ტერმინალის ფართობი 17%-ით აღემატება ჰიტროუს აეროპორტის ხუთივე ტერმინალის ჯამურ ფართობს. ტერმინალის მშენებლობისას გამოყენებული სამშენებლო მასალები შერჩეულ იქნა როგორც ხელმისაწვდომობის და ეკონომიურობის, ისე ფუნქციურობისა და მდგრადობის ფაქტორების გათვალისწინებით.

ნინო ლალიძე













# Beijing Airport

After 4 years the Beijing Airport -currently the biggest one in the world- is finished, just in time for the 2008 Olympics. The airport, designed by Foster + Partners, turned out to be a very efficient building in terms of in terms of operational efficiency, passenger comfort, sustainability and access to natural light.

As an interpretation of traditional chinese culture the roof of the airport has a dragon-like form. According to Norman Foster [...] this is a building borne of its context. It communicates a uniquely Chinese sense of place and will be a true gateway to the nation. This is expressed in its dragon-like form and the drama of the soaring roof that is a blaze of 'traditional' Chinese colours – imperial reds merge into golden yellows. As you proceed along the central axis, view of the red columns stretching ahead into the far distance evokes images of a Chinese temple.

Project description

Located between the existing eastern runway and the future third runway, Terminal 3 and the Ground Transportation Centre (GTC) together enclose a floor area of approximately 1.3 million m2, mostly under one roof. The first building to break the one million square meter barrier, it will accommodate an estimated 50 million passengers per annum by 2020.





Although conceived on an unprecedented scale, the building's design aims to resolve the complexities of modern air travel, combining spatial clarity with high service standards. It will be friendly and uplifting for the passenger as well as easy to navigate. Comprising three connected, light-filled volumes – T3A, B and C – the simple, symmetrical diagram fans out at either end to accommodate the arrivals and departure halls for T3A (processing terminal and domestic gates) and T3B (international gates). The satellite T3C (domestic gates) occupies the centre of the diagram. This arrangement is an efficient means of maximising the perimeter, so increasing the capacity for aircraft stands, while maintaining a highly compact and sustainable footprint.

Although the length from north to south is three and a quarter kilometres, the visual links between the three elements are maintained by strong sight lines as well as visual connections between the lower level and an open mezzanine level above. All spaces are naturally lit and the generous glazing and skylights maintain a link with the outside and its changing sky. Views along the central axis are marked by the distinctive red columns, which continue along the external edges of the building into the distance, evocative of traditional Chinese temples.

The embracing curved cantilever of the terminal greets passengers arriving by road or from the GTC in a single welcoming gesture. Departures and arrivals are on separate levels. The traditional airport diagram has been inverted at T3B, with arrivals on the upper level, to allow visitors to Beijing to experience the thrill of this dramatic space from the best vantage point.

The single unifying roof canopy is perforated with skylights to aid orientation and bring daylight deep into the building. The colour palette moves through 16 tones from red at the entrance at T3A through to orange and finally yellow at the far end of T3B. This establishes a subtle zoning system that breaks down the scale of the building and enables easy wayfinding. This palette is also applied north to south in the ceiling above the arrivals and departures halls, heightening the sense of curvature in the roof plane.

Connections between T3A and T3B take place on a high speed automated people mover (APM) which travels at up to 80kph, with a journey time of just two minutes. The APM is easily accessed from the main departure level and set within a landscaped 'green' cutting, exposed to daylight and views up and through the building, all of which helps to maintain a sense of orientation.

The roof is a steel space frame with triangular roof lights and coloured metal decking. It curves, rising at the midpoint to create a dramatic central cathedral-like space, and tapering towards the edges of the building to provide more intimate areas as passengers travel towards the gates and the aircraft piers. The trusses that support the glazing echo the changing colour system in the roof – shifting from red to orange to yellow. The high transparency of the curtain walling is made possible by extra large mullions, which are generously spaced to allow larger spans of suspended glazing.

The terminal building is one of the world's most sustainable, incorporating a range of passive environmental design concepts, such as the south-east orientated skylights, which maximise heat gain from the early morning sun, and an integrated environment-control system that minimises energy consumption. Rather than the sprawl of many separate buildings, it uses less land by bringing everything closer together for ease of communication in one efficient structure, yet it is still 17% bigger than the combined floorspace of all of Heathrow's terminals 1, 2, 3, 4 and the new Terminal 5. In construction terms, its design optimised the performance of materials selected on the basis of local availability, functionality, application of local skills, and low cost procurement.

NINO LAGHIDZE







# წყლის კუბი პეკინში







სივრცობრივი ლითონის კონსტრუქციები, შემოზღუდული ETFE (Ethylene tetrafluoroethylene).

არქიტექტორები: PTW Architects, CSCEC, International Design and Arup

მშენებლობა დამთავრდა 2008წლის 28 იანვარს.

2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის პეკინში «National Aquatics Centre»-ის ოფიციალური გახსნა შედგა, თუმცა იგი «Water cube»-ს - „წყლის კუბის“ სახელითაა ცნობილი. გრანდიოზული საცურაო აუზი პეკინის ნაციონალური სტადიონის („ჩიტის ბუდე“) მახლობლად მდებარეობს. შენობა 62950 კვ.მ. მოიცავს. ოლიმპიური თამაშებისას, იგი 17 000 მაყურებელს დაიტევს. უდაოა, რომ ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ, National Aquatics Centre აქტიური დასვენებისათვის, წყლის სპორტული სახეობებისათვის და უბრალოდ საცურაოდ, პოპულარული ადგილი გახდება.

საცურაო აუზის შექმნაში მონაწილეობა, ერთბაშად, რამოდენიმე კომპანიამ მიიღო. ისინი გაერთიანდნენ კონსორციუმში - China State Construction Engineering Corporation, China State Construction International (ჟენ-შენი) Design Co., Ltd, PTW Architects (ავსტრალია) Ove Arup (ავსტრალია). სახელიც - „წყლის კუბი“ - მათი შერჩეულია.

საცურაო აუზის დიზაინს სიმბოლიზმისა და წყლის ბურთულების უნიკალური სტრუქტურის ერთობლიობა ქმნის და ნაციონალური სტადიონის არაორდინალური მოცულობის გვერდით ღირსეული ადგილი უჭირავს.

საცურაო ცენტრი მაქსიმალურად შეესაბამება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნორმებს. აქ, გულშემატკივრების უსაფრთხოებისათვისა და კომფორტისათვის ყველა პირობაა დაცული.

აქვაცენტრის შენობა, სადაც ჩატარდება ოლიმპიური შეჯიბრებები ისეთ სახეობებში, როგორიცაა ცურვაში შეჯიბრი, წყალში ხტომა და სინქრონული ცურვა, პეკინის ჩრდილოეთ ნაწილშია აღმართული. მისი მშენებლობა 4 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. კონსტრუ-



ქციაში უამრავი ნოვატორული გადაწყვეტები განხორციელდა. დავიწყოთ იქიდან, რომ „აუზი“ აშენდა ტეტრაფლუოროეთილენით (ETFE) - მტკიცე, მსუბუქი, გამჭვირვალე პოლიმერით, რომელიც მნიშვნელოვან წონით დატვირთვას უძლებს. ხანძრის გაჩენის დროს არ ბოლავს, არ იწვის და მასში მხოლოდ ხვრელი ჩნდება. მოცემულ შემთხვევაში, პოლიმერი, შეიძლება ითქვას, გადაჭიმულია ლითონის მავთულის კარკასზე.

საკვირველი პლასტიკის კედლები შესაბამისად აღიქმება - ისინი, ბალიშების, უფრო ზუსტად კი წყალში მდებარე ჰაერის ბურთულების ერთობლიობის შთაბეჭდილებას ქმნიან, რასაც მათი ფერიც აძლიერებს. ყველაზე მეტად კი საპნის ქაფს გვაგონებენ. ყოველი „ბუშტი“ სხვადასხვა სიდიდისა და ფორმისაა. მათი ფართი 1კვ.მ-დან 7კვ.მ-მდე ცვალებადობს. ისინი ერთმანეთის დამოუკიდებლად არსებობენ და თუ კი შემთხვევით ერთი დაზიანდა, დანარჩენები შენობას მუშა მდგომარეობაში ინარჩუნებენ. ეს სწორედ ასეა, რადგან „ბუშტები“ მხოლოდ დეკორატიული ელემენტების ერთობლიობას არ ქმნიან. თითოეული მათგანი სავსეა ჰაერით, რაც შესანიშნავ თბოიზოლაციას უქმნის აუზს - შიდა სივრცე არც გადახურდება და არც გაცივდება. თუ კი რაიმე მიზეზის გამო ტემპერატურა შენობაში ნორმის ქვემოთ დაიწევს, მაშინ სპეციალური ელექტროსატუმბავების მეშვეობით, შენობის შიგთავსი ბურთულებიდან ამოტუმბული თბილი ჰაერით ივსება. მაღალი ტემპერატურის დროს კი, ვენტილაციის სისტემის ჩართვით, შენობის ტემპერატურის დარეგულირება, მემბრანების ამოუტუმბავად, გარედან ჰაერის შემოყვანით ხდება.

„წყლის კუბის“ მეორე არაჩვეულებრივი თავისებურება - სეისმომედეგობაა. რაც პეკინისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

გარე ზედაპირის სუფთად შენარჩუნებისათვის საჭირო არ არის მრეცხავების არმიის დაქირავება. რადგან შესანიშნავი მასალა წვიმის წყლისგან თავად ირეცხება. მხოლოდ გაუსაძლისი გვალვების პერიოდში შეიძლება გახდეს საჭირო მტვრის ჩამოწმენდა.

ოლიმპიადის ჩატარების შემდგომ დარბაზს სამაყურებლო ადგილები დაემატება, მოეწყობა ჩოგბურთის კორტები, დასასვენებელი ზონები და სხვა სახალისო ადგილები.

უფრო მართლები ვიქნებით, თუკი „წყლის კუბს“ პარალელოპიპედს ვუწოდებთ, იმიტომ რომ შენობის ფუძის პარამეტრების (170X170 მ.) პარალელურად, სიმაღლე 30 მეტრია.

„წყლის კუბი“ არაჩვეულებრივად აღიქმება, როგორც დღის შუქზე, ასევე ღამით. ჭერის არაორდინალური დიზაინში შემოჭრილი შუქი კომპლექსს განსაკუთრებულობას მატებს და თბილ, ჰარმონიულ ატმოსფეროს ქმნის.

პეკინის საცურაო ცენტრი უკვე ქალაქის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს.

ნინო ლალიძე







# Beijing Water Cube



***ETFE (Ethylene tetrafluoroethylene) clad steel space frame***
***Architects: PTW Architects, CSCEC, International Design and Arup***
***Construction finished on January 28 2008***

National Aquatics Centre, more commonly known as "Water Cube", was launched in Beijing for the 2008 Olympics. The tremendous aquatic complex is located next to Beijing National Stadium (nicknamed "Bird's Nest"). The total area of the construction is 62950 sq. m. During the Olympics, it hosted 17000 spectators at a time. There is no doubt that after conclusion of Olympic Games the National Aquatics Centre will become the most popular place for swimmers and active leisure-lovers.

The aquatic complex was jointly created by several companies: China State Construction Engineering Corporation, China State Construction International Design Co. Ltd, PTW Architects (Australia) and Ove Arup (Australia). The unofficial title – Water Cube – was selected by the partner architects.

The aquatic complex with its symbolic design and unique bubble construction is a worthy match for the National Stadium.

The complex complies with all the requirements of International Olympic Committee, also providing for safety and comfort of spectators.

National Aquatics Centre, which hosted Olympic competitions in swimming, diving and synchronized swimming competitions, is located in the northern part of Beijing. Its construction went on for four years. Construction process incorporated a range of innovative solutions, of which the most surprising is utilization of ETFE – firm, but lightweight and transparent polymeric substance, capable of resisting important strains and totally fireproof. In this particular case, the ETFE pillows coat a steel frame. Unusual plastic walls resemble pillows or – to be more precise – air bubbles in water or soap foam; this impression is further accentuated by their coloring. The "bubbles" vary in form and size (from 1 to 7 sq. m.). They are isolated from each other and in case if one is damaged, the others remain intact, ensuring uninterrupted functioning of the construction. The bubbles are filled with air, providing for thermal insulation of the interior space and preventing excess heating or freezing – if the temperature on the inside falls below normal, the interior will be fanned by warm air from the bubbles.

Another peculiarity of the Water Cube is its seismic stability – factor of considerable importance for Beijing.

Maintenance of the construction does not require an army of janitors – the exterior is easily cleaned by rain water, and special cleaning procedures may only become necessary during severe draughts.

After the Olympics, it is planned to increase the spectator capacity of the Aquatic Center, arrange tennis courts, recreation and leisure zones.

Despite its nickname, the Water Cube is a cuboid, not a cube: the building is 170 meters wide, 170 meters long and 30 meters high.

Beijing Water Cube is equally efficient during daytime and at night; the daylight penetrating unusual ceiling of the complex highlights its originality and creates a warm, harmonious atmosphere.

National Aquatics Centre has already become one of the landmarks of Beijing.

NINO LAGHIDZE





# „აქსისმა" ოლიმპიელ ჩემპიონებს ბინები აჩუქა

„აქსისი“ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ოფიციალური სპონსორია. კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, 5 სექტემბერს, „აქსისის“ ოფისში, 2008 წლის ოლიმპიელ ჩემპიონებს - მანუჩარ კვირკველიას, რევაზ მინდორაშვილს, ირაკლი ცირეკიძეს და გიორგი გოგშელიძეს საჩუქრად გადაეცად ბინები საცხოვრებელ კომპლექსში „დიდუბის სამი ეზო“.

ოთარ თუშიშვილს კი, საცხოვრებელი ბინა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გოგი თოფაძემ გადასცა.

„ამ ძნელბედობის ჟამს ჩვენმა ოქროს მედალოსნებმა საქართველო ასახელეს. განსაკუთრებული მადლობა ასევე ოთარ თუშიშვილს და გიორგი გოგშელიძეს, რადგან, მათ სწორედ მაშინ შესძლეს გამარჯვება, როდესაც მათი მშობლიური ქალაქი გორი განსაცდელში იყო.

მოხარულები ვართ, რომ შეგვიძლია წავახალისოდ ისინი და ცხოვრებისათვის საუკეთესო გარემო შევუქმნათ. ჩვენ, როგორც ოლიმპიური ნაკრების სპონსორები, მზად ვართ, კიდევ უფრო მეტად შევუწყოდ ხელი სპორტის განვითარებას და დარწმუნებულები ვართ, რომ კიდევ უამრავი საამაყო გამარჯვება და წარმატება გველის წინ “ - განაცხადა „აქსისის“ დირექტორმა გიორგი კაპანაძემ.

შეხვადრას საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

„აქსისი“ აქტიურად ეხმარება სპორტის განვითარებას და ჯანსალი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. კომპანია ასპონსორებს საქართველოს პროფესიულ ლიგას, ჩემპიონთა ლიგის ტრანსლირებას, ასევე არის საფეხბურთო გუნდი „ლოკომოტივის“ წილის მფლობელი. ჯანსალი ცხოვრების წესის დასანერგად აქსისის მშენებარე ობიექტებში პარალელურ რეჟიმში 6 აუზის მშენებლობა მიმდინარეობს.

# AXIS Granted Apartments to the Olympic Champions

AXIS is an official sponsor of the Georgian Olympic team. Based on the decision of company management, on September 5 2008 AXIS passed apartments in Didube “Sami Ezo” complex to the winners of the 2008 Summer Olympics - Manuchar Kvirkvelia, Revaz Mindorashvili, Irakli Tsirekidze and Giorgi Gogshelidze.

On his part, Otar Tushishvili received his prize apartment from Gogi Topadze, acting president of the Georgian National Olympic Committee.

“Our gold medal winners succeeded in bringing Georgia to the limelight in this troublesome period. We would like to pay special tribute to Otar Tushishvili and Giorgi Gogshelidze, because they won at the time when their hometown Gori was in trouble”.

“We are happy we can give our champions this extra incentive and supply them with quality living conditions. As sponsors of the Georgian Olympic team, we are ready to extend further support to sports development, and I am sure that there are a great deal more victories and breakthroughs ahead.” - stated AXIS director Giorgi Kapanadze.

The meeting was attended by managing officers of Georgian National Olympic Committee, Department of Sports and Youth of Georgia and the Georgian Wrestling Federation.

AXIS actively supports sports development and promotion of healthy life-style. The company sponsors professional league of the Georgian domestic championship as well as broadcasting of the Champions' League in Georgia and owns a share of “Locomotive” soccer club. To contribute to dissemination of healthy life-style, AXIS has incorporated swimming pools into 6 of its ongoing projects.





# ლიტვის არქიტექტურა

**ნომრის სტუმარი**
**არქიტექტორი ანეტა რევიაკინა**

ანეტა რევიაკინა მოსკოვში დაიბადა. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა და სამხატვრო სასწავლებელი. შემდეგ იგი ლიტვაში, ვილნიუსში გადავიდა საცხოვრებლად და 1989-1995 წლებში ლიტვის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმცა დიპლომირებული არქიტექტორი, უკვე 1992 წლიდან აქტიურად მუშაობს და ქმნის. თითოეული მის მიერ შექმნილი ობიექტი თვითმყოფადი, ორიგინალური და დასამახსოვრებელია. გამოირჩევა პროფესიული ხედვით და დახვეწილი გემოვნებით. იმის დასტურია, ამჯერად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი, არქიტექტორ ანეტა რევიაკინას პროექტით განხორციელებული რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულებისა და სპეციფიკის, განხორციელებული ობიექტი: სასტუმრო "ევროპა-როიალი" ქალაქ დრუსკინინკაიში, ლიტვის იარაღის სახელმწიფო ფონდის მაღაზიის ინტერიერი ვილნიუსში, საცხოვრებელი სახლის ინტერიერი ვილნიუსში. იმედია, მომავალშიც, გვექნება შესაძლებლობა, თანდათანობით გავაცნოთ უცხოელი პროფესიონალის შემოქმედებითი ფრაგმენტები.

# სასტუმრო „ევროპა როიალი"





ახალი სასტუმრო EUROPA ROYALE დაარსდა ქალაქ დრუსკინინკაის ძველ ნაწილში (ეს ადგილი თავისი უნიკალური ბუნებრივი წყაროებითაა სახელგანთქმული), XIX საუკუნის, მთლიანად რეკონსტრუირებულ შენობაში. არსებული შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი სასტუმრო EUROPA ROYALE - თვის ახალი შენობის ერთიანი პროექტი ანეტა რევიაკინას იდეებით შეიქმნა და განხორციელდა.

გარემო ავტორისეული ინტერპრეტაციით გარდაიქმნა. შექმნილი, კი მოულოდნელობებით აღსავსე პერსპექტივებს განაპირობებს. პროექტის ღირსება - მისი, გარე სივრცესთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს.

არქიტექტორმა ჩვეული პროფესიონალიზმით გარდაქმნა ჟამთა სვლით შელახული და ფუნქციადაკარგული შენობის იერსახე და დანიშნულება. სიფრთხილით მოეკიდა წარსულის დანატოვარს და ისეთი არქიტექტურული გადაწყვეტა მონახა, რომლითაც წარსულისა და აწმყოს ერთიანი გამომხატველობითი სახეა დაფიქსირებული. ძველი შენობის ფასადი და შიდა სივრცე კლასიკური სტილის













ესთეტიკას პასუხობს. ინტერიერში ტრადიციები თანამედროვე მენტალიტეტთანაა ადაპტირებული.

ახალი შენობის ექსტერიერი სასიამოვნო დისონანს ქმნის არსებულთან. ნაგებობა კომპაქტურია. მისი არქიტექტურა ორიგინალური გამომხატველობით გამოირჩევა. იგი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას ვიზუალური სიმსუბუქითა და სილუეტის გრაფიკული სიზუსტით. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ შემოქმედებითად გააზრებულ მოცულობაში, ყოველ ჭრილში გადათამაშებული დეტალების კოლორიტი მიკროსამყაროს სიმბოლურ ველს ქმნის.



რესტავრირებულ და თანამედროვეობაში გაცოცხლებულ კომპლექსში განთავსებული სასტუმრო, დახვეწილი ინტერიერით აღიჭურვა. მასში თანამედროვე და ტრადიციული არქიტექტურის დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. დიზაინი ინდივიდუალურია და აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. გამოყენებულ დეკორზე არ ბატონობს წუთიერი მოდა. ელეგანტურობა ნატიფ ნიუანსებშია განსხეულებული. თითოეულ ფრაგმენტში ახლის, თანამედროვეობის სულიერება შეიგრძნობა. ყოველივე ეს კი მისი დანიშნულების შესაბამის კომფორტს, სასიამოვნო და საინტერესო გარემოს განაპირობებს.

ნინო ლაღიძე

ფოტო: ანეტა რევიაკინა




Hotel Europa Royale



# Lithuanian Architecture

**SPECIAL GUEST OF THE ISSUE**

**ARCHITECT ANETTA REVIAKINA**

*Anetta Reviakina was born in Moscow and completed her secondary education and a course of studies in the Arts College there. Afterwards she moved to Vilnius, Lithuania and studied at the architectural faculty of Lithuanian Academy of Arts in 1989-1995. Since 1992 Anetta is engaged in active architectural practice. Her projects are original, unordinary and memorable, marked with professional vision and refined taste. A clear illustration to the above are her projects: Hotel Europa Royale, located in Druskininkai city, interior of Lithuanian State Foundation of Arms shop in Vilnius, a residential interior in Vilnius. I hope that in the future we will have more opportunities to tell you about the work of this architect.*













Europa Royale is located in a fully rehabilitated 19th century building belonging to the historical district of Druskininkai city, famous for its natural springs. Reconstruction of the existing building and construction of a new wing for Europa Royale was entirely based on the creative ideas of Anetta Reviakina.

The existing environment was transformed according to the author's highly original and unexpected interpretation. The key highlight of the project is the specificity of its connection with the outer world. The architect fully changed the look and purpose of an old, time-worn building. She treated historical heritage with utmost care and found an architectural solution, enabling harmonious combination of the past and the present. Facade of the old building corresponds to aesthetic criteria of classical style, while its interior merges tradition with modern mentality.

Exterior of the new building creates a pleasing dissonance with the old part of the hotel. The construction is surprisingly compact, featuring original and expressive architecture. It catches the eye with visual lightness and graphical precision of the silhouette. The other important factor is that creative interpretation of the new volume expresses the symbolical dimension of the design in every feature.

The hotel, housed in a restored complex, revived to the beat of present-day life, boasts a refined interior design, incorporating traditional and modern architectural decor. The design is markedly individual and strictly functional, far from being influenced by transient fashion. Elegance is embodied in refined details. Each fragment features the spirituality of modern time, endowing the interior with relevant comfort and a pleasurable and interesting environment.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY ANETA REVIAKINA







# „პარიზი" მანსარდაში



წარმოდგენილი საცხოვრებლის ინტერიერი ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა. იგი ორ დონეზეა განთავსებული, მათგან ზედა დონე, მანსარდაშია მოქცეული. სივრცე ერთ მთლიანობაში აღიქმება. სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური ფორმების შერწყმით, მისი მოცულობა დინამიკური და შესაბამისად მრავალფეროვანია. პროექტის ავტორი - არქიტექტორი ანეტა რევიაკინა გახლავთ.

დამკვეთი, ჩვენს შემთხვევაში ბინის მეპატრონე, აბსოლოტურად მიენდო პროფესიონალს, რის საფუძველზეც, არქიტექტორს სრული თავისუფლება მიეცა საკუთარი იდეების განახორციელებლად.

არაორდინალური საცხოვრებელი გარემო, ვიზუალური სიმსუბუქით და სილუეტის გრაფიკული დინამიკით, თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. ინტერიერის ატმოსფერო ჰაერითაა სავსე და თავისუფლების შეგრძნებითაა გაჟღენთილი. დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბქეს, დიზაინის ელემენტებიც იმეორებენ. ინტერიერში ყურადღებას იპყრობს დეკორატიული კომპოზიციები - განსაკუთრებით პარიზის ამსახველი ფოტო-პანოები, რომლებიც თავად, ინტერიერის ავტორის - ანეტა რევიაკინას მიერ არის გადაღებული, სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი, წყნარი კოლორიტი. საცხოვრებლის მგრძნობიარე მემბრანად გარდაქმნილი გარსი, შიდა და გარე სამყაროს ერთიმეორის მონაცვლეობით აღიქვამს.

დიზაინი თავისი პიკანტურობის მიუხედავად, თავისუფალი და გამომგონებლურობას აბსოლუტურად მოკლებულია. მთლიანი სივრცეები, მათთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აღიქმება და სრულად შეესაბამება მობინადრეთა მოთხოვნებს, გემოვნებას, ცხოვრების ესთეტიკას.

ნინო ლაღიძე
ფოტო: ანეტა რევიაკინა



























# Paris in the attic



Residential interior described in this article features an original composition. Though the space covers two levels, of which the upper is located in the attic, the design retains its integrity. A range of various geometric mobile forms highlights flexibility and diversity of the volume. The project is created by architect Anetta Reviakina.

The client (apartment owner in this case) chose not to intervene into the process of interior decoration, so that the designer was completely free to realize her creative ideas.

The unusual residential environment catches the eye with its visual lightness and graphical flexibility of the shapes. Main architectonic groups are very conveniently linked with each other. The atmosphere of the interior is airy and uninhibited. Constructional lightness of large masses is reiterated by minor design elements. A noteworthy feature of this interior is a range of decorative compositions - wall panels with Paris photos, taken by interior designer; shapes of different accessories, colors and subdued tonalities. The transparent shell of the apartment is a highly sensitive membrane, reflecting changes in the inside and outside world.

In spite of certain poignancy, the design is free-flowing and devoid of excess sophistication. The interior is exactly what a residential interior should be - a friendly place fully conforming to its inhabitants' requirements, taste and aesthetic preferences.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY ANETA REVIAKINA











# მთავარი მხატვრული პრინციპი



**ლიტვა, ვილნიუსი**
**ავტორი: არქიტექტორი ანეტა რევიაკინა**

ლიტვის იარალის სახელმწიფო ფონდის, ერთ-ერთი მაღაზია-სალონის ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავე გახდა. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული.



არქიტექტორ ანეტა რევიაკინას პროექტის მიხედვით შექმნილი იარაღის მაღაზია-სალონის ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავე გახდა. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული.

მისი მთავარი ნიშანია არსებობის ფილოსოფია - კომფორტულობა და სისადავე, რომლითაც თითოეული დეტალია გაჯერებული. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში არაორდინალურ ჩართვებს განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის.

ინტერიერის არქიტექტონიკა მარტივიცაა, რთულიც, ლამაზიც და „არქიტექტურული ჟანრის" ყველა კანონის მიხედვით ვითარდება. სივრცის მთლიანობის შთაბეჭდილება კომპოზიციის დინამიზმით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მიხედვით, ნეიტრალური ფერის ლავირებით, მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტების რითმებითაა მიღწეული.

ინტერიერში, კიდევ ერთი, მისი „ვიზუალური მოძრაობის" - ტრანსფორმიზმის იდეაა განხორციელებული, რასაც სპეცეფექტებისა და მოულოდნელი დიზაინერული გადაწყვეტების სისტემები ილუსტრირებს.

ნინო ლაღიძე







# Weapon-shop in Vilnius

## AUTHOR: ARCHITECT ANETA REVIAKINA



In the interior of Weapon-shop in Lithuania., designed by architect Aneta Reviakina, key principles organizing and integrating the space is minimalism and simplicity. Main distinguishing feature of the design is the philosophy of existence – comfort and simplicity, saturating every part of the interior – an approach, justifying originality in modern stylistics.

Interior architectonics is both simple and complex, visually pleasant while conforming to all the requirements of modern architecture. The impression of integrity is achieved by dynamism of the composition, soft zone-to-zone transition of interior decoration, ingenious combination of black and white, rhythmical dsitribution of volume and space.

One more idea, realized in interior design is the conception of visual movement – transformism, reflected in special effects and unexpected design solution systems.

NINO LAGHIDZE





# სტილი უკვალოდ არ იკარგება

დასვენებისა და საცურაო სეზონი მაისის თვის პირველ რიცხვებში იწყება და და ოქტომბრის დასაწყისამდე გრძელდება. ულამაზეს ბუნებაში გადანაწილებული ათეულობით საზღვაო კურორტი, ათასობით, უმაღლესი კლასის კომფორტაბელური სასტუმრო, რომლებიც ვრცელი ტერიტორიებით, უზარმაზარი აუზებით, აქვაპარკებით მთელ ქალაქებს ქმნიან, სტუმრებსა და დამსვენებლებს ელოდება. სასტუმროთა არქიტექტურულ-მოცულობითი გამომხატველობა მრავალფეროვანია, ასევე არაორდინალური და კომფორტულია მათი ინტერიერები, რომელთა სტილისტურ-მხატვრული გადაწყვეტები სათანადო აღნიშვნის ღირსია. ამჯერად თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო თურქეთის სასტუმროებში საძინებელ და დასასვენებელ აპარტამენტებზე, ე.წ. „ნომრებზე“, სადაც დამსვენებლები გართობისა და აქტიური დასვენების შემდეგ განმარტოვდებიან და მიკრო გარემოს შესაბამისი აურით, კომფორტით ტკბებიან.



ამ აპარტამენტების აღქმისას, ხვდები, რომ სტილი სუფთა სახით არ არსებობს, მასში ყოველთვის სიძველის რუდიმენტებზე ნაგები სიახლეა შერწყმული, შეუძლებელია მისი ხელოვნურად აღდგენა. არცერთი სტილი უკვალოდ არ იკარგება, ძველის ელემენტები ახლის შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენენ. თავდაპირველად, ეს სიახლე მხატვრული ელიტის - არქიტექტორების, მხატვრების, დიზაინერების იდეების გენერატორი იყო, შემდეგ კი ფართო არეალს მიაღწია და მოდად გარდაიქმნა.



ყოველი ინდივიდუალური ინტერიერის სტილის შექმნისას, ხაზგასმულია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი - შესაბამისადაა შეირჩეული ავეჯი, აქსესუარები, კედლებისა და კარ-ფანჯრის ჩარჩოების დეკორატიული ელემენტები.

ინტერიერის სტილისტური გადაწყვეტისას ძირითადი და მნიშვნელოვანი ფერია. მისი ჰარმონიული გრადაცია მყუდრო, კომფორტულ ატმოსფეროს ქმნის, ნებისმიერ საგანს ოპტიმალურ ფონს აძლევს და მის მოხაზულობას აკონკრეტებს, ეს კი, მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ინტერიერი აქსესუარებითაა გადატვირთული ან პირიქით, დეტალების მინიმალურ რაოდენობას მოიცავს. სივრცის ხასიათი განათების საშუალებით ფორმირდება. ბუნებრივი და ხელოვნური განათების შერწყმა მოცულობას ქმნის და სივრცის კომპოზიციურ თავისებურებებს უსვამს ხაზს.

ინტერიერის სტილისტურ „სისუფთავეს“ სივრცის „გეომეტრია“ - ხაზების, კუთხეების, პარალელების, სიმრუდეების, რიტმისა და საჭირო ტონალობების მელოდიური მონაცვლეობა განსაზღვრავს.

სტილისტურად რაფინირებულ სივრცეში ყურადღებას იპყრობს თითოეული ობიექტი და დეტალი. ინტერიერის შემადგენელი ყოველი ნაწილი ინდივიდუალური და თავისთავად ეფექტურია. სხვადასხვა რაკურსში განხილვისას, მათი ფერი, ფორმა და ფაქტურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საგანთა უტილიტარულ დანიშნულებებს აღემატება.

დიზაინერები წლების მანძილზე ინტერიერის სხვადასხვა სტილის ასათვისებლად და დასახვეწად იღწვიან, სიძველეზე დაფუძნებითა და ახალი იდეების განხორციელებით, სტილთა მდიდარი პალიტრა ჩამოყალიბდა: აღმოსავლური, ელეგანტური ინგლისური, სოფლური, მკაცრი გეორგიანული, მყუდრო ვიქტორიანული, თანამედროვე სტილის მოყვარულთათვის - პასტელურ ფერებში გადაწყვეტილი რბილი დიზაინი, ქალაქური დიზაინი - მკვეთრად მოხატული შავ-თეთრი, არ-დეკოს სტილის ელემენტებით, კლასიკური, ნათელი სკანდინავური, 30-იანი წლების სტილი, არაჩვეულებრივად ელეგანტური, ფუტურისტული იტალიური დიზაინი...

ინტერიერის სხვადასხვა სტილი, კლასიკიდან ავანგარდამდე, საშუალებას გვაძლევს საკუთარი ესთეტიკური გემოვნებისა და მატერიალური შესაძლებლობების შესაბამისად შევარჩიოთ თანამედროვე თუ ტრადიციული, დროებითი საცხოვრებელი გარემო და კომფორტულად ვიგრძნოთ თავი მზით, ჰაერით და ზღვით გაჯერებულ სივრცეში.

არქიტექტორი: ზურაბ ნიკოლაიშვილი







# Nothing Is Lost Without a Trace



The seaside holiday season in Turkey starts in early May and continues all through the beginning of October. Dozens of seaside resorts, scattered in the wonderful natural landscape, thousands of high class hotels with vast premises, huge swimming pools and aqua parks capable of housing whole cities open their doors to guests and holiday-makers. Architectural landscape of the region is highly diverse; the same diversity distinguishes interiors of local recreational complexes. This time, I would like to focus your attention on the bedrooms and suites of the local hotels, where holiday-makers can take some rest and relish the comfortable micro-environment.

While looking at such rooms you feel that the style does not exist in the pure form - rudiments of the traditional are merged with innovation, no stylistic trend is lost without a trace, the elements of old become components of the new. In the beginning, this tendency was the source of inspiration for the creative elite - architects, artists and designers, but then it became increasingly popular and transformed itself into a fashion.



Every particular interior style has its highlights: relevant choice of furniture, accessories, decorative elements of walls, door and window openings.

One of the central tools of interior style generation is color. Harmonious coloring contributes to creation of comfortable atmosphere and accentuates the efficiency of decorative interior articles - this is equally important both when the interior is overloaded with accessories and when the quantity of decorative details is reduced to minimum. Character of this or that space is formed by means of light: combination of natural and artificial lighting highlights the volumes and compositional solution of the design. Stylistic "purity" of the interior is reached by the "geometry" of space - balanced sequence of lines, corners, parallels, curves, rhythms and tonalities.



Stylistically refined space is an optimal setting for any object or detail. Every component of the interior stands out as individual and efficient. If viewed at different angles, their colors, forms and textures acquire special importance, exceeding simply utilitarian purposes.

Designers spend years on mastering and refining of different interior styles, adopting traditional models, introducing new ideas and adding to the existing palette of stylistic trends: Oriental, refined English, country, austere Georgian, cozy Victorian, urban style with sharp black-and-white contrasts, design with art-decor elements, classic design, Scandinavian trend, reminiscence of the 30'ies, elegant and futuristic Italian design...

Rich selection of interior styles, ranging from classics to avant-garde, enables holiday-makers to choose temporary living environment in accordance with their taste and financial capabilities and enjoy sun, sea and air to the maximum.

ARCHITECT ZURAB NIKOLAISHVILI

# ზღვასთან პირისპირ





პროექტის ავტორი:
არქიტექტორი,
რაგიმ სეიფულაევი

AUTHOR: ARCHITECT,
RAGIM SEIFULLAEV

არქიტექტურული ობიექტის ორგანულად არსებობა გარემოსთან კონტექსტში, ბუნების მაქსიმალურად გამოყენება - უმთავრესი ამოცანაა, რომელიც არქიტექტორის წინაშე დგას. მოცემულ შემთხვევაში, სახლისთვის განკუთვნილი ადგილი და და ზღვის ხედი - ათვლის წერტილად იქცა შემოქმედებითი ძიებისას. არქიტექტორმა, ტერიტორიის პირობითი მინუსები ნათლად აღსაქმნელ პლიუსებად, მისთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით გარდაქმნა და მაქსიმალურად გადაათამაშა ზღვასთან სიახლოვის უპირატესობები.

ამ პროექტის მთავარი გმირი ზღვაა, ძირითადი პრინციპი - მოულოდნელობა. ლანდშაფტის მინიმალური შესაძლებლობების გამოყენებით, შენობა ისე იქნა „დასმული", რომ იგი დიალოგში შესულიყო გარემოსთან. ნაკვეთს, რომლის ტერიტორია პრაქტიკულად ხელუხლებელი დარჩა, ზღვისკენ დახრილი, წაგრძელებული მართხკუთხედის ფორმა აქვს. სახლი, თითქოს იცავს მის კუთვნილ ნაკვეთს ზღვისგან და ამით, მას ორ ნაწილად ყოფს. არქიტექტორმა, პრაქტიკულად, ზღვა ნაგებობით დაფარა. ამის გამო, ადამიანი ერთბაშად ვერ შედის ზღვასთან კონტაქტში, რადგან იგი ეზოდან არ ჩანს. და მხოლოდ მაშინ, როცა სახლში შედიხართ, უცბად იშლება არაჩვეულებრივი პანორამა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შთაბეჭდილებას.

სანაპიროზე მიმოფანტული, წლისგან დამუშავებული უზარმაზარი ლოდები, ბუნებრივად ერწყმის კირქვით მოპირკეთებულ სახლს. შენობის დატეხილი მოცულობის ბრუტალური მასების ერთობლიობა სანაპიროსეული პეიზაჟის ერთგვარი გაგრძელებაა.

სახლს ორი, მხატვრული თვალსაზრისით, ტოლფასი ფასადი აქვს. ფასადი, ეზოს მხრიდან, კომპოზიციურად რადიკალურად განსხვავდება, ზღვისკენ მიმართული გამჭვირვალე ფასადისგან. შენობა ადგილობრივი კირქვი-



თაა ნაგები. ფასადები ტერაკოტ-ის ფილებითაა მოპირკეთებული, რაც მათ გამომხატველობას დინამიურობას მატებს.

საცხოვრებელი სამ დონეზეა გადანაწილებული. ერთი დონე - მიწის ქვეშაა, მეორე - მიწის დონეზე, მესამე, კი მეორე სართულის დონეზეა. იგი პირველი სართულის პერიმეტრს სცდება და მზისდამცავ დაგახურვას ქმნის. გეგმარება ზუსტი და ფუნქციონალური ზონირებით გამოირჩევა: ზედა სართულზე ბავშვების საძინებლებია განლაგებული, მიწის დონეზე - საერთო ოთახი-ლოფტი სამზარეულოთი, აგრეთვე - საძინებლები მშობლებისთვის და სტუმრებისთვის. ცოკოლის დონეზე განთავსებულია საბილიარდო, დასასვენებელი ოთახი და სხვა ტექნიკური სათავსოები.

ტერასების მრავალიარუსიანი სისტემები ორიგინალური მოცულობით-სივრცობრივი ორგანიზაციით გამოირჩევა - ყოველ დონეზე შესაძლებელია გარე, დამოუკიდებელი ასასვლელებით მოხვედარა. შიდა კიბის მეშვეობით, რომელიც ყველა სართულს აერთიანებს, ვხვდებით, როგორც ბრტყელ სახურავზე - ვრცელ, ღია ტერასაზე, ასევე ცოკოლის სართულზე, რომელიც, ზღვის მხარეს, ასევე ტერასაზე იხსნება.

ტერასები აძლიერებს საცხოვრებლის კავშირს ბუნებასთან. ზღვა მისი განუყოფელი ნაწილი ხდება და ძნელია იპოვო სათავსო, საიდანაც იგი არ ჩანს. პრაქტიკულად, ყველა ოთახში, ერთი კედელი მთლიანად შემინულია, ქვის ჩარჩოთია შემოზღუდული და ერთგვარად ცოცხალი სურათები იქმნება „მთავარი გმირის“ - ზღვის პორტრეტისათვის.

აუზში ცურვისას, ისეთი შეგრძნება გიჩნდებათ, თითქოს ზღვაში ხართ. აუზი, ისეა მიწის დონიდან აწეული, რომ მასში წყლის ხაზი, ჰორიზონტის ხაზს ემთხვევა.

შენობა, გარემოსთან კონტექსტში, აბსოლუტურად ჰარმონიულია. იგი, ლაკონური არქიტექტურის ნიმუშია, ჰარმონიულად ერწყმის ლანდშაფტს და ქალაქგარე სახლის ყველა ფუნქციურ მოთხოვნებს პასუხობს.

სასტუმრო ოთახში სავარძელში ჩაფლული, შეიძლება საათობით ტკბებოდე ზღვის, ჰორიზონტის აღქმით, სწორედ ისე, როგორც ეს მე დამემართა.

აზერბაიჯანული ჟურნალის
„არხიტეკის“ რედაქტორი
ულვია ახმედოვა









*Seamless integration of an architectural body with its surroundings, maximal involvement of the natural environment into a project are the priority goals faced by architects. In this particular case, the site allocated for the house and the seascape became the starting points for project development. The architect skillfully transformed the conventional drawbacks of the site into clear advantages and maximally utilized the benefits, offered by proximity to the seashore.*

# Face to Face with the Sea



Key character of this project is the sea, and the main principle is surprise. Using the minimal possibilities offered by the landscape, the building was designed so as to engage in an active dialogue with its surroundings. The site, which was left practically intact, represents an elongated rectangle sloping toward the sea. The house divides the site in two: the architect practically hid part of the seascape behind the house, barring direct eye contact with the sea, which is invisible from the front courtyard. The stunning panorama of glittering seawater opens up only when one enters the house.

Huge sea-washed boulders, scattered on the beach, naturally match the limestone-clad house walls. Uneven bulky volume of the house is a certain continuation to the seashore landscape.

The house has two facades, equally interesting from the artistic point of view. The facade opening onto the courtyard is radically different from the transparent seashore facade. The house is built from local limestone; facades are tiled with terracotta, highlighting their expressivity.

The house has three levels: the upper level with children's bedrooms in it, the ground level comprising a living room - a loft with integrated kitchen and isolated bedrooms for the parents and the guests, and the underground level with a billiard room, a recreation room and technical facilities. First floor, the perimeter of which is larger than that of the lower levels, bends over the ground floor rooms as a sun-shading canopy.

Terraces adjacent to the house feature original stratified spatial organization with independent access to each layer. Inner staircase, piercing the house, leads to the flat roof - a vast open terrace on the upper end, and to the underground level, also opening on a seaside terrace - on the lower end.

Terraces enhance the link of the house with its natural setting. The sea becomes its integral part and it is really hard to find a place in the house which would not face the sea. Practically in every room one of the walls is fully glazed, and these large displays with stone frames offer a real gallery of seascapes views.





**Even while swimming in the pool you have an impression unbroken contact with the open sea, because the pool is elevated above the ground level so that water line coincides with the horizon.**

**The construction is in full harmony with its environment. This is a perfect sample of laconic architecture, harmoniously merging with the landscape and satisfying all the functional requirements of a suburban house.**

**You can pass hours sitting in a big soft armchair in the living room and relishing the sea - just like I did.**

***Ulviya Akhmedova***
***Editor of Azerbaijani magazine ArchiTech***





















# „კნაუფის" კონკურსი

2007 წლის დასაწყისში ქალაქ ბაქოში კომპანიამ KNAUF კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის ანონსი აზერბაიჯანულ არქიტექტურულ ჟურნალში ArchiTech-ის წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა. მთელი წლის განმავლობაში ArchiTech-ს ნომრებში ქვეყნდებოდა კონკურსის მონაწილე არქიტექტორთა ინტერიერები, სადაც მოპირკეთება KNAUF–ს თაბაშირ-მუყაოს ფილებით იყო შესრულებული. ჟურნალის ArchiTech-ს და ქართული ჟურნალის STYLE-ს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც 4-5 წელიწადია გრძელდება, კონკურსში ქართველმა არქიტექტორებმაც მიიღეს მონაწილეობა. კონკურსის შედეგები 2008 წლის მარტის თვეში გამოვლინდა, თუმცა (ჩვენდა სასიხარულოდ), კონკურსის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს დაჯილდოების ცერემონიალი ზაფხულში ჩაეტარებინათ.

მეტად სასიამოვნოა, ის ფაქტი, რომ მაღალი რანგის აზერბაიჯანელ არქიტექტორებთან ერთად კონკურსის საუკეთესო ნომინანტებად ქართველი არქიტექტორებიც დასახელდნენ.

აზერბაიჯანში, 29 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით ვიმყოფებოდით და შთაბეჭდილებებით დახუნძლულები დავბრუნდით თბილისში. ამ მოკლე დროში თითქმის მთელი ქვეყანა მოვიარეთ, ვნახეთ ულამაზესი ადგილები, ისტორიული ძეგლები და რაც მთავარია გავიცანით ძალიან საინტერესო ადამიანები - პროფესიონალები, კოლეგები.

დაჯილდოების ცერემონიალი აზერბაიჯანის უძველეს ქალაქ შეკის სასტუმროში „შეკისარაის", საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა. მოწვეულთა შორის აზერბაიჯანის მხრიდან იყვნენ: არქიტექტორები - რაგიმ სეიფულაევი, მეუღლესთან, ნაილა სეიფულაევასთან ერთად, ელჩინ ალიევი ტოფიკ ოგლუ, ნემატ აზიზოვი, ელჩინ ალიევი ფირდოვსი ოგლუ, რამინ მუსაევი (გამომცემლობის დირექტორი), ულვია ახმედოვა (ArchiTech-ს მთავარი რედაქტორი), ორხან ბაბაევი (ArchiTech-ს ფოტოგრაფი).

კომპანია KNAUF-ს წარმოადგენდნენ: ალექსანდრე პოტაენკო (Knauf Marketing Baku MMC–ს მარკეტინგის მენეჯერი) და აიდინ გაჯიევი (Knauf Marketing Baku MMC-ს ტექნიკური მენეჯერი).

საქართველოს მხრიდან - არქიტექტორები: ვახტანგ დოგრაშვილი, ალეკო კორკოტაშვილი და ნინო ლაღიძე - ჟურნალი STYLE-ს რედაქტორი.

დაჯილდოების ცერემონიალის დაწყებამდე KNAUF-ს წარმომადგენლებმა ჩაატარეს სემინარი KNAUF-ს პროდუქციის შესახებ, ისაუბრეს მის პრივილეგიებზე, ვიზუალურად წარმოადგინეს ტექნოლოგიური სიახლეები.

სემინარის დასრულებისთანავე დაჯილდოების ცერემონია შედგა.

საკონკურსო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა:

III პრემია მიენიჭად არქიტექტორებს - ელჩინ ალიევი ფირდოვსი ოგლუსა და ნემატ აზიზოვს. თითოეულ მათგანს საჩუქრად გადაეცა DVD-ფლეიერები.

II პრემია მოიპოვეს არქიტექტორებმა - ელჩინ ალიევი ტოფიკ ოგლუმ და ალეკო კორკოტაშვილმა. ისინი დასაჩუქრდნენ CENON-ის ფირმის ციფრული ფოტოაპარატებით.

I პრემიით დაჯილდოვდნენ არქიტექტორები - რაგიმ სეიფულაევი და ვახტანგ დოგრაშილი. მათ გადაეცათ JVC-ს ფირმის პლაზმური ტელევიზორები.

დასასრულს აზერბაიჯანელმა და ქართველმა არქიტექტორებმა წარმოუდგინეს დამსწრე საზოგადოებას თავიანთი შემოქმედებითი ფრაგმენტები.

ვულოცავთ ქართველ და აზერბაიჯანელ არქიტექტორებს ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ შემოქმედებით საქმიანობაში.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲚᲘᲫᲔ











# Knauf Competition

In the beginning of 2007, Baku representation of Knauf launched a competition on interior design, which was publicly announced in the first 2007 issue of Azerbaijani magazine ArchiTech. All through the year ArchiTech had been publishing the works of competition participants with interiors performed using Knauf plasterboard tiles. Existing cooperation of ArchiTrade with Georgian magazine STYLE enabled Georgian architects to take part in this initiative. Competition results were summarized in March 2008, though (fortunately for us) the organizers decided to appoint the award ceremony for summer.

With special pleasure we would like to note that the list of competition winners included both Azerbaijani and Georgian architects.

We went to Azerbaijan on August 29-31; our trip was filled with favorable impressions. In these three days we managed to drive through the whole country, visited beautiful places and historical monuments and, which is most important - got acquainted with really interesting people - professionals, colleagues and friends for many years to come.

The award ceremony was arranged in the conference hall of Shekiserai Hotel, located in the beautiful ancient city Sheki. The ceremony was attended by local architects - Ragim Seifullaev together with his wife Naila Seifullaeva, Elchin Aliyev Tofik Oglu, Nemat Azizov, Elchin Aliyev Firdousi Oglu, Ramin Musaev (director of ArchiTech), Ulviya Akhmedova (editor-in-chief of ArchiTech Magazine), Orkhan Babaev (ArchiTech photographer). Knauf was represented by Alexander Potaenko (marketing manager Knauf Marketing Baku MMC) and Aidin Gajiev (technical manager of Knauf Marketing Baku MMC). The Georgian side included architects Vakhtang Dograshvili and Aleko Korkotashvili and myself, Nino Laghidze, editor of STYLE Magazine.

Prior to the beginning of the award ceremony, Knauf representatives delivered a seminar on the company's products, discussed its benefits and visualized recent technical innovations. The seminar was immediately followed by the award ceremony.

The prizes were distributed as follows:

3rd prize: awarded architects Elchin Aliyev Firdousi Oglu and Nemat Azizov (each of them received a DVD player)

2nd prize: awarded to architects Elchin Aliyev Tofik Oglu and Aleko Korkotashvili (they were awarded digital photo cameras by Canon)

1st prize was awarded to architects Ragim Seifullaev and Vakhtang Dograshvili (the prize comprised LCD television sets by JVC).

For the conclusion, Azerbaijani and Georgian architects presented to the attendants the fragments of their creative activities.

We would like to congratulate Georgian and Azerbaijani architects on this success and wish them further prosperity in their creative activities.

NINO LAGHIDZE





# „კნაუფის" კონკურსი

არქიტექტორი ნემატ აზიზოვი
Architect Nemat Azizov








# Knauf Competition

არქიტექტორი ელჩინ ალიევი ფირდოვსი ოგლუ
Architect Elchin Aliyev Firdousi Oglu













# „კნაუფის" კონკურსი

არქიტექტორი ალეკო კორკოტაშვილი
Architect Aleko Korkotashvili









# Knauf Competition

არქიტექტორი ელჩინ ალიევი ტოფიკ ოგლუმ
Architect Elchin Aliyev Tofik Oglu











# „კნაუფის" კონკურსი

არქიტექტორი რაგიმ სეიფულაევი
Architect Ragim Seifullaev









# Knauf Competition

არქიტექტორი ვახტანგ დოგრაშვილი
Architect Vakhtang Dograshvili







# ქალაქი შეკი

შეკიში ქართველი არქიტექტორებისა და ჩემი საქმიან-შემეცნებითი ვოიაჟი, არქიტექტორთა მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიალის მშრალად აღწერით, მიმაჩნია, არ იქნებოდა სრულყოფილი. ამ პატარა, უძველესს ქალაქს მეტად საინტერესო ისტორია აქვს და მასთან გაცნობა, ვფიქრობ, ჩვენთვის ყურადსაღები უნდა იყოს.

ქალაქი შეკი მდებარეობს ბაქოსგან დასავლეთით, 380კმ-ის დაშორებით, საქართველოს საზღვართან ახლოს, მთიან, ულამაზეს რაიონში. ხშირ ტყეებსა და ალპიურ მდელოებზე ანკარა მინერალური წყაროები და მდინარეები ჩამოედინება. არქეოლოგიური გათხრებით მტკიცდება, რომ ქალაქი კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთების უმრავლესობა 2500 წლის წინანდელია.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქალაქის სახელწოდება დაკავშირებულია საკების ეტნონიმურ ტომებთან, რომლებიც აზერბაიჯანში ჩვ. წ. აღ-მდე VII ს-ში მოვიდნენ და ცხოვრობდნენ აქ რამოდენიმე ასწლეულის მანძილზე. III -V საუკუნეში შეკი კავკასიური ალბანეთის მხარეა.

აზერბაიჯანის უძველეს სოფელში - შიკში, რომელიც შეკის გარეუბანს წარმოადგენს, დგას უნიკალური ძეგლი - უძველესი ალბანური ტაძარი. მას განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ალბანურ ქრისტიანულ ძეგლებს შორის, გარდა ამისა მნიშვნელოვანი ისტორიული ფასეულობებით გამოირჩევა. ოფიციალური მონაცემებით ტაძარს საფუძველი I საუკუნეში ჩაეყარა. ეს ის დროა, როდესაც აზერბაიჯანი ალბანეთის კავკასიურ ნაწილში შედიოდა. ისტორიკოსები ასკვნიან, რომ ტაძარი დააარსა აპოსტოლმა ელისეიმ, რომელმაც ალბანეთში ქრისტიანული სარწმუნოება შემოიტანა. ამ ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგიის აყვავებისას, ტაძარს დიდძალი მრევლი ჰყავდა. იგი, დღესაც გვანცვიფრებს თავისი სილამაზით. ტაძარის გუმბათზე ჯვარია აღმართული. მისი მძლავრი კედლები პატარა სარკმელებითაა მორთული.

ინტერესს იწვევს ტაძრის შიდა ეზოც. აქ უძველესი საფლავებია. ისინი გამჭვირვალე პლასტიკის გუმბათებითაა გადახურული. უდაოა, რომ სამარხებში დაკრძალულნი არიან ტაძრის მსახურნი, ან წმინდანებად შერაცხულნი, რომლებთაც პატივი მიეგოთ აქ განესვენათ.

კავკასიური ალბანეთის, ჩვენამდე სასწაულით მოღწეული წმინდა ელისეის სახელობის ეკლესია, დღესდღეობით, კავკასიის რეგიონის მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული კულტურის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს. ალბანური პერიოდის კიდევ ერთი ქრისტიანული ტაძარი, რომელიც VI-VII საუკუნეებით თარიღდება, მდებარეობს შეკის გარეუბანში, სოფელ ორთა-ზეიზიტში.

ჩვენ სამ ქართველს - მუსულმანურ სამყაროს შემორჩენილი ქრისტიანული ტაძრების ნახვისას უჩვეულოდ ამაღლებული გრძნობა დაგვეუფლა და უფრო მეტად მაშინ, როდესაც ერთ-ერთი ტაძრის ეზოში ქართველთა საფლავები ვნახეთ და მათი საფლავების ქვებზე ჟამთა სვლით ნახევრად წაშლილი ქართული წარწერები ამოვიკითხეთ.

































ქალაქ შეკიში ბევრი ისტორიული და არქიტექტურული ღირშესანიშნაობებია, მაგრამ ქალაქის სიამაყეს XVIII საუკუნის შეკის ხანების ბრწყინვალე სამეფო სასახლე წარმოადგენს. იგი ისეა ნაგები, რომ ერთი ლურსმანიც არ არის გამოყენებული. შიდა დარბაზების კედლები და ჭერი მდიდრული მოხატულობებით და ვიტრაჟებიანი ფანჯრებითაა მორთული. დიდ ინტერესს იწვევს ქალაქისგან მოშორებით აღმართული ციხე-სიმაგრე - გემსენ-გერესენი (VIII - IXსს.), ქარავან-სარაები, შეკიხანების სახლი, ჯუმას მეჩეთი (XVIIIს.), გილეილინის მეჩეთის მინარეთი (XVIIIს.), შუასაუკუნეების აბანოები.

656 წელს შეკი არაბეთის ემირის მიერი ქნა დარბეული. 813 წელს, როდესაც არანში არან-შახების მმართველობა შეიქმნა, შეკი მის ქვეშევდომლობაში გადავიდა. IX საუკუნეში ხალიფატის ძალაუფლების შესუსტების შედეგად ქალაქმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. XI საუკუნეში, იგი, ჯერ შირვანის, შემდეგ კი ილხანის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

1118 წელს ქალაქი დაიპყრეს სელჯუკებმა. 1396 წელს კი იგი დარბეული იქნა მონგოლების მიერ, რომელთაც თემურლენგის შვილი მიანშახი მეთაურობდა.

შეკი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი XIV საუკუნიდან მოიხსენიება.

1551 წელს ქალაქმა ვერ გაუძლო ირანელების შემოსევას და ისევ დაკარგა დამოუკიდებლობა. თუმცა საუკუნეების მანძილზე თავდაუზოგავი მცდელობის შედეგად, XVIII საუკუნის შუახანებში კვლავ წარმოიშვა შეკის დამოუკიდებელი სახანო. ასეთი ქმედებებით განრისხებული ირანის მმართველი ნადირ-შახი, 1744 წელს, უზარმაზარი ლაშქარით შეესია ქალაქს, დაარბია იგი და ოთხი თვის განმავლობაში ალყაში ჰყავდა მოქცეული ციხესიმაგრე „გელიარსან-გიორარსან“ (ქართულად ითარგმნება - „მიდი და ნახე“). ირანის შახის მცდელობა გაეტეხა და დაემარცხებინა შეკის ხალხი ამაო აღმოჩნდა და იგი იძულებული იქნა დაეტოვებინა ქალაქი.

ამგვარად შეიქმნა პირველი დამოუკიდებელი შეკის სახანო აზერბაიჯანში. შეკის განმანთავისუფლებელი გმირის განჯი ჩელების მმართველობის პერიოდში (1743-1755წწ.) შეკის სახანო აზერბაიჯანის ფეოდალურ სახელმწიფოებს შორის ყველაზე მძლავრი სახელმწიფო იყო.

აზერბაიჯანელმა მასპინძლებმა შეკის ღირშესანიშნაობების დათვალიერებისას სიურპრიზი მოგვიწყვეს და ციხე -სიმაგრე „გელიარსან-გიორარსანის“ („მოდი და ნახე“) დათვალიერება შემოგვთავაზეს, ისე, რომ არც გავუფრთხილებივართ, თუ რა მიუვალი იყო მისკენ მიმავალი გზა და კიდევ უფრო სახიფათო - ჩამოსასვლელი საცალფეხო ბილიკი. ჩვენ რა თქმა უნდა იხტიბარი არ გავიტეხეთ - ავედით, ვნახეთ, აღვფრთოვანდით და მასპინძლებთან ერთად, ერთი ალიაქოთითა და შიშნარევი ყიჟინით „დავძლიეთ“ დაბრკოლებები.

შეკი - თამბაქოს, ხილის, სიმინდის წარმოების ცენტრია. აქ, შეგიძლიათ შეიძინოთ ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული საიუველირო ნაკეთობები და გრავიურები. ქალაქში არის თეატრი, ისტორიული მუზეუმი, აზერბაიჯანელი მწერლისა და ფილოსოფის ახუნდოვის სახლ-მუზეუმი. ქალაქის შემოგარენში მდებარეობს გამაჯანსაღებელი კურორტი „მარხალი“. შეკიში ყოფნისას, მოვინახულეთ შუასაუკუნეების „ქარავან-სარაი“, რომელიც დღეს რესტავრირებულია და ფუნქციონირებს, როგორც სასტუმრო. შეკიში თანამედროვე შენობა-ნაგებობები საინტერესო არქიტექტურულ-გეგმარებითი და მოცულობითი გადაწყვეტებით გამოირჩევა. შეკი ულამაზესი, კომფორტული ქალაქია.

ნინო ლაღიძე

I believe it would be improper to limit the description of Georgian architects' and my trip to Sheki to the dry report of the competition award ceremony. This ancient city has a very interesting history, which really deserves some attention.

Sheki is located 380 km west from Baku, in a beautiful highland region neighboring the Georgian border. Dense woods and alpine valleys are crisscrossed with rivers and abound with mineral sources. Archaeological research proves that Sheki is one of the oldest populated areas in Caucasus. The majority of local archaeological findings are 2500 years old.

The name of the city is associated with Saka tribes, which migrated to Azerbaijan in the 7th century B.C. and populated this area for several centuries. In the 1st-5th century A.D. Sheki was part of Caucasian Albania.

In one of the most ancient Azerbaijani villages – Shik, a suburb of Sheki, there is a unique historical monument – ancient Albanian temple. It occupies a special place among the Christian landmarks of Albania and has a special historical value. According to the official data, the temple was founded in the 1st century A.D. – the time when Azerbaijan belonged to the Caucasian part of Albania. The historians believe that the temple was founded by apostle Elisey, who introduced Christianity into Albania. In the period when Christian religion was at the rise in this region, Sheki parish was considerably large. Even today, the temple retains its surprising beauty. Its cupola is crowned with a cross and bulky walls are decorated with small window openings.

Noteworthy is the inner courtyard of the temple with several ancient tombs in it. All of them are protected with transparent plastic cupolas. The graves undoubtedly belong to the local priests or canonized congregants.

Nowadays the Albanian church, dedicated to St. Elisey, represents a unique monument of the ancient Christian culture of the Caucasian region. Another Christian church of Albanian period, dated 6th-7th CC. is located in the outskirts of Sheki, in Orta-Zeizit village.

These Christian temples lost in the midst of the Moslem world roused in us, the three Georgians, an unusual feeling of enthusiasm, which reached its peak when we found graves of our compatriots in the courtyard of one of these temples and read frayed Georgian inscriptions on the tombstones. Who were these people and why did they die in this faraway land?

There are numerous historical and architectural landmarks in Sheki, but the pride of the city is the 18th century palace of Sheki khans. The construction is built without a single nail. Walls and ceilings of its halls and chambers are decorated with rich paintings and stained-glass windows. Really interesting is Gemsen-Geresen fortress (8th-9th CC), built at some distance from the city, caravan-serais, Juma Mosque (18th C), the minaret of Gileily Mosque (18th C) and medieval bathhouses.

In 656 A.D. Sheki was ravaged by Arabian emir Mieri. In 813 A.D., when Aran shahs became the governors of Aran, Sheki became part of their land. In the 9th century, when the power of caliphs weakened, the city gained independence, and in the 11th century it was inte-







# The City of Sheki





grated in Shirvan and, later on, the Ilkhan territory.

In 1118 the city was conquered by the Seljuks, and in 1396 it was invaded by Mongols led by Tamerlane's son Miranshah.

Sheki is mentioned as an independent domain from the 14th century. In 1551 the city failed to resist the attacks of Iranians and lost its freedom once again. However, after repeated attempts Sheki succeeded in detaching into an independent khanate in the 18th century. In 1744 the ruler of Iran Nadir-shah, angered by these actions, ravaged the city and laid a four-month siege to Geliarsan-Giorarsan Fortress, but his attempt to break the spirit of Sheki population proved vain, and he was forced to retreat from the city.

This is how the first independent khanate of Sheki was formed in Azerbaijan. In the years of government of Ganji Chelebi, liberator of Sheki (1743-1755), Sheki khanate was the strongest among the feudal states of Azeerbaijan.

During the sightseeing tour, our Azerbaijani hosts, wishing to surprise us, offered us a visit to Geliarsan-Giorarsan Fortress (the title is translated into Georgian as “come and see”) without even saying a word about how inaccessible this place was. But we successfully ascended the narrow path leading to the monument and the hazards of the road, however frightening, did not distract us from enjoying the place together with our hosts.

Sheki is the center of tobacco, fruit and maize cultivation. Here you can purchase original jewelry and prints, manufactured by local artisans. The city has a theater, a history museum and a house-museum of Azerbaijani writer and philosopher Mirza Fatali Akhundov. In the outskirts of the city there is a recreational resort Markhali. During our stay in Sheki we visited the medieval caravan-serai, restored and functioning as a hotel. The modern constructions of Sheki are distinguished with interesting architectural solutions. At the time being Sheki is a prospering resort city.

NINO LAGHIDZE



# გულივერის ქოთნები

იტალიური მრეწველობის ისტორიაში "სერალუნგა" გვევლინება როგორც ხანგრძლივი და წარმატებული მუშაობისა და მუდმივი განვითარების იშვიათი მაგალითი.
ამ საოჯახო ბიზნესის ასაკმა უკვე 300 წელიწადს გადააბიჯა.
"სერალუნგა" დაარსდა 1825 წელს როგორც ტყავის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც თავდაპირველად სხვადასხვა სამრეწველო დანიშნულების ტყავის პროდუქციას აწარმოებდა, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში შეუდგა გუტაპერჩის და პლასტიკის გადამუშავებას.
"სერალუნგას" 2007 და 2008 წლის კოლექციების ავტორების - დიზაინერების ახალი ნამუშევრები სკულპტურასთან მიახლოებული, მკვეთრი დასამახსოვრებელი ფორმებით გამოირჩევა. ისინი ფურნიტურის შექმნას ახლებურად უდგებიან - უარყოფენ სტერეოტიპებს, ამრავალფეროვნებენ ტრადიციულ წესებს.
"სერალუნგას" ფურნიტურის დიზაინი თავისუფალია, ნოვატორულია და თუ იგი თაობათა ესთეტიკასა და სოციალურ მოთხოვნილებებს პასუხობს, თავისი ინდივიდუალურობით დროსა და სტილს შეესაბამება - ჩვენს წინაშეა ხელოვნება.



## პაოლო რიზატო

კომპანია, რომელმაც შეიძინა უმდიდრესი გამოცდილება ჯერ ტყავის გადამუშავების სფეროში, შემდგომ კი პლასტიკის წარმოებისა და ძერწვის ტექნოლოგიებში, იდეალური პარტნიორია ჩემთვის, დიზაინისადმი ჩემი მიდგომის თავისებურებათა გამო, რაც ემყარება მუდმივ შემოქმედებით ძიებას მიღწეული შედეგებისა და თანამედროვე მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე.

## პატრიცია პოზი

**PATRICIA POZI**



## სერრალუნგა

**SERRALUNGA**

**PAOLO RIZZATTO**

A company that over time built on its leather background to gain experience in plastic moulding and become specialized in rotating technologies and has striven to modernize its products, which were still too closely tied to the past, was an ideal partner for me on account of my personal approach to design, in which the awareness of past achievements and analysis of current scenarios act as an incentive to go further and provide a stimulus to innovation.



## დენის სანტაკიარა

**DENIS SANTACHIARA**

Marco Serralunga decided to work with me and other designers on the first collection. To think about the pot as a design product and about the roto-moulding has been a really interesting experience. Then the speed with which Serralunga was able to understand the opportunities of this technology made the rest. To invest in a pot as “Santavase” gave me the creative dimension of this company: for this reason I am interested in it.



## ქერიმ რაშიდი

მახსოვს როგორ ვისადილე მარკო სერალუნგასთან ერთად ალექსანდრიაში 1999 წელს. იმ დროს ახალი დაწყებული ჰქონდა ექსტერიერის დიზაინში რევოლუციური იდეების გატარება. მე, როგორც როტაციული ძერწვის სფეროში მომუშავე ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის წარმომადგენელმა, დიდი სიამოვნებით მივიღე „სერალუნგას“ შემოთავაზება ორი კოლექციის: „პლომბის“ და „ქრონიკის“ ერთობლივ წარმოებაზე. მოხარული ვიქნები მომავალშიც გავაგრძელო მათთან თანამშრომლობა და ხელი შევუწყო ამ ორგანულ სამყაროში პლასტიკისადმი შემოქმედებითი მიდგომის დანერგვის საქმეში.

**KARIM RASHID**

I remember meeting Marco in 1999 in Alessandria for lunch. He just began a great company to shape the outdoor landscapes into the next century. As one of the most forward leading companies in rotational moulding, I was pleased to collaborate with Serralunga to produce “Plomb” and “Kronik” and will continue to work with them to push the boundaries of our fabulous plastic ever-amiable flexible organic world.



## სერრალუნგა

**SERRALUNGA**



## არიკ ლევი

**ARIK LEVY**



## კრისტოფ ფილე

ამ უაღრესად დადებით ადამიანებთან მეგობრობისა და მუშაობის სიამოვნების გარდა, „სერალუნგასთან“ თანამშრომლობა მანიჭებს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უიშვიათეს შესაძლებლობას.

**CHRISTOPHE PHILLET**

Besides the pleasure of working in friendship with people of high human quality, the collaboration with Serralunga offers a precious opportunity: to deal with new technologies and to apply them.



## როს ლავგროვი

„სერალუნგა“ ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური იტალიური ბრენდია. მათი ერთგულება ახალი ტექნოლოგიებისადმი უზრუნველყოფს ჩემნაირ დიზაინერებს შემოქმედებითი თავისუფლებით, განსაკუთრებით ფორმისა და ესთეტიური ფასეულობების შერწყმის თვალსაზრისით. ფირმის საიდუმლოებებიდან ყველაზე მეტად ის მაინტერესებს, თუ როგორ მიაღწია მარკო სერალუნგამ წამყვან ადგილს დიზაინის სფეროში პოლიმერებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საქმეში.

## ROSS LOVEGROVE

Serralunga is one of the most innovative emerging brands of Italy. Their commitment to new technologies and typologies is giving designers like myself a new creative freedom especially in the convergence of form and aesthetics. My personal aim with Marco Serralunga is to understand how the company grows to become the leader in large scale polymer applications in design and the broader sense of our inhabited digital world.



# Gulliver's Pots



In the history of Italian enterprise Serralunga is a rare example of long life and capacity for ongoing evolution. This family-run firm has now come to its third century in business, the 5th generation of entrepreneurs and is living its second youth.

After its establishment in 1825 as a tannery, it started manufacturing leather items for industrial purposes, such as driving belts and similar products. In the 1900s it started processing gutta-percha and later plastic for industrial purposes.

In the 1980-ies the company imported an innovative equipment line from USA and was the first in Italy to install a pilot system, with which it started to manufacture flower vases. The new equipment allowed Serralunga to produced hollow articles with capacity of up to 2000 litres. They soon understood that the oversize dimension was the ace up their sleeve; the next step was to make them beautiful, intriguing and surprising.

Serralunga 2007 and 2008 collections, created by designers, feature remarkable, refined sculptural forms. The authors treat furnishings design in an innovative manner, defying the stereotypes and diversifying traditional logic.

Serralunga furnishings are uninhibited and original; and if you agree that they conforms to the present-day aesthetic and social requirements, if you think that their individuality corresponds to the time and style – then we will add that they represent true art.





## მარკ სედლერი

რაღაც მომენტში გადავწყვიტე „სერალუნგასთვის“ შემეთავაზებინა ნათურის დიზაინი, რომლის დამზადებაც მოითხოვდა ზედაპირის საკმაოდ რთულ დამუშავებას. მწარმოებლის ძებნისას, ვიფიქრე (და მიხარია რომ შევცდი), რომ სწორედ „სერალუნგა“ მოინდომებდა ამ უნიკალური პროექტის განხორციელებას და მისთვის შესაბამისი აღჭურვილობის შექმნას. დარწმუნებული ვარ, რომ მარკო სერალუნგა სწორედ ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის მზადაა სიახლეებისთვის, რადგანაც მას გააჩნია ფანტაზია, წინასწარ განჭვრეტის უნარი და მომხმარებელთა მოთხოვნების სწორად აღქმის უნარი.

## MARC SADDLER

I decided to propose to Serralunga, well known for the contents of its products, the design of a lamp based on the processing of the surface thus creating a very special "skin". Looking for a possible company, I thought (with no mistake) that Serralunga could be the one ready to work on this exceptional project, building a special machine suitable for milling the product. I'm sure that Marco Serralunga is the right interlocutor to make tests, thanks to the mix of foresight, playful spirit and attention to the market.





## ალდო სიბიკი

„სერალუნგა“ მაძლევს უამრავი ახალი ფორმის და სახეობის გამოგონების შესაძლებლობას. მთელი სირთულე იმაშია, რომ შექმნა სწორედ ისეთი ფორმა, რომლის ხორცშესხმა შესაძლებელია და რომელიც ხალხს მოეწონება.

## ALDO CIBIC

Serralunga means the opportunity to invent a lot of new shapes and typologies. The difficulty is to invent the right shape, which can also be produced and liked by a lot of people.






# „ლამ ლის“ შოურუმი










„ტრეიდ მარტ ბრიუსელი“ არის მუდმივმოქმედი ბიზნეს-ცენტრი, რომელიც უმაღლესი ხარისხის მომსახურეობას სთავაზობს ავეჯისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს. „ტრეიდ მარტში“ წარმოდგენილი უახლესი სტილისტური მიმართულებები საშუალებას აძლევს დიზაინერებს გაეცნონ ერთმანეთის იდეებს და ასტიმულირებს საერთაშორისო ბაზარს.

„ლამ ლის“ ბრწყინვალე შოურუმი „ტრეიდ მარტ ბრიუსელში“ 1990 წელს გაიხსნა, 2003 წელს კი „ლამ ლი“ გადავიდა ახლად აშენებულ „C“ სართულზე, 1400 კვ.მ. ფართობის მქონე სივრცეში, რომელიც კიდევ უფრო ეფექტურ გარემოს ქმნის კომპანიის კოლექციებისთვის. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ავეჯის, სანათებისა და დეკორატიული აქსესუარების ახალ სტილისტურ მიმდინარეობებს და უდაოა, რომ აქ ვიზიტით დროს ტყუილად არ დაკარგავთ.

წელს. 14 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით, კომპანია „ლამ ლი ევროპამ“, მისი პრეზიდენტების ბ-ნი ქრისტი და პატრიცია დელმიულ-პელერიოების თაოსნობით, კიდევ ერთხელ უმასპინძლა საზოგადოებას „ტრეიდ მარტ ბრიუსელში“.

მოწველი სტუმრები ბრიუსელის ისტორიულ ცენტრში - ევროპის დედაქალაქის განსაკუთრებულ ატმოსფეროში მდებარე 5 ვარსკვლავიან სასტუმრო „ლე მერიდიან ბრიუსელში“ მოთავსდნენ. იმავე საღამოს სტუმრები წვეულებაზე იქნენ დაპატიჟებულნი, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ ადგილში, ულამაზეს, შესანიშნავად რესტავრირებულ ისტორიულ გარემოში გაიმართა. მასპინძლები პირველ ყოვლისა ფიქრობდნენ იმაზე, რომ წვეულება სასიამოვნო და დაუვიწყარი ყოფილიყო ყოველი სტუმრისთვის. იმ საღამომ საყოველთაო მხიარულებაში ჩაიარა. მომდევნო ორი დღე კი 2008 წლის ახალი კოლექციების სიახლეების გაცნობას დაეთმო შოურუმში. ყოველი საღამო სადილითა და ცოცხალი მუსიკით მთავრდებოდა. ხელოვნების მოყვარულებს და დიზაინერებს, ამ დღეებში, კიდევ ერთხელ მიეცათ შესაძლებლობა, მსოფლიო დონის დიზაინერული ბრენდების ახალ კოლექციებს გასცნობოდნენ.

„ლამ ლის“ ნაწარმის ასორტიმენტი გამორჩეულად დიდია: კომპანია უშვებს 12000 დასახელების პროდუქციას, რომლის თითოეული ნიმუში, ფაქტიურად, ხელოვნების ნაწარმოებია. ეს საგნები უნიკალურია, რომელიმე სტილისტური მიმართულების ხისტ ჩარჩოებში მათი გამომწყვდევა შეუძლებელია.






# ბრიუსელში




## trade mart BRUSSELS









წელიწადში ორჯერ ფირმა უშვებს 600-ოდე ნივთისგან შემდგარ ახალ კოლექციას. ასეთი არჩევანის პირობებში ნებისმიერ, ყველაზე მომთხოვნ კლიენტსაც კი შეუძლია შეარჩიოს თავისთვის ის ერთადერთი და განუმეორებელი ნივთი, რომელიც განუმეორებელ სახეს მიანიჭებს მის ინტერიერს. „ლამ ლი“ ყველაზე სასურველი აქსესუარია სილამაზის მოტრფიალე და დამფასებელი ადამიანების სახლებში. კომპანია „მარკო პოლო ლამ ლი კოლექშენის“ გენერალური დირექტორის სტეფანო ურბინატის თქმით, „ლამ ლი“ იმდენად შეუზღუდავ არჩევანს გვთავაზობს, რომ მასში ყველა ადამიანისთვის მოიძებნება საყვარელი ნივთი.

„ლამ ლი“ მხოლოდ ნატურალურ მასალას იყენებს – ეს კომპანიის კრედოა. ხე, ქვა, ფისი, ოქრო და ვერცხლი - ასეთია „ლამ ლის“ ოსტატების არსენალი. „ლამ ლის“ დიზაინერთა 300-კაციანი გუნდი საფუძვლად იღებს ერთ რომელიმე სტილს, ამდიდრებს მას ახალი, მათ მიერვე მოფიქრებული ფორმებით და ანიჭებს ყოველ საგანს განუმეორებელ აურას. შედეგად ვიღებთ ულამაზეს კომპოზიციებს, რომლებშიც ოსტატურადაა შეზავებული ძველი ტექნოლოგიები და თანამედროვე გემოვნება. „ლამ ლის“ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი თავისებურება ისაა, რომ ვერასდროს ვერ იტყვი დანამდვილებით რისგანაა დამზადებული ესა თუ ის ნივთი, რადგანაც კომპანიის დიზაინერები ოსტატურად ახდენენ ხის, ქვის, ბრინჯაოს, ტყავის და ძვლის ფაქტურის იმიტირებას. „ლამ ლის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტექნიკაა „კორომანდელი“, რომელიც ჯერ კიდევ 300 წლის წინ გამოიყენებოდა ჩინეთში.

ლამ ლი სავსებით რეალური პიროვნებაა: მხატვარი და დიზაინერი, ხელოვნების ისტორიის და ფილოსოფიის დარგში სამეცნიერო ხარისხის მფლობელი; ადამიანი, რომელმაც მოახერხა საკუთარი, უაღრესად ინდივიდუალური და თავისებური ლოგიკით განმსჭვალული სტილის შექმნა. 2003 წლის 18 იანვარს ბატონ ლამ ლის გადაეცა პრესტიჟული პრემია „Academy of Achievement Award“. დღესდღეობით ლამ ლი უძღვება საკუთარ ფირმას და გარემოცულია მის მიერვე შექმნილი დიზაინერთა პროფესიონალური გუნდით. მისი ხელმძღვანელობით, „ლამ ლის“ კოლექტივმა შეითვისა დიზაინის გლობალური ხედვა და გააერთიანა უამრავი იდეა და ტექნიკა, რაც, საბოლოო ჯამში, გამოკვეთილად ინდივიდუალურ, განსხვავებულ სახეს ანიჭებს კომპანიის ნაწარმს.

ნინო ლაღიძე






# Lam Lee Showroom









Trade Mart Brussels is a permanent business-to-business center in the heart of Europe for fashion and Interior professionals. As display window for the latest national and international trends it acts as an exchange environment that inspires and energizes the market.

Since 1990, Lam Lee has had a great showroom in the Brussels Trade Mart Interior. In 2003 we moved down to a brand new location on floor C. There we can present our collection in a cozy and warm atmosphere on more than 1400 sq. m. This is "the" place to find about the latest trends of furniture, lamps and decoration. You can tell from the pictures that a visit is really worth your while.

On June 14-16 2008 Lam Lee Europe and its presidents Mr. and Mrs. Christ and Patricia Delmulle-Peleriau once again welcomed the public in Trade Mart Brussels.

The guests were accommodated in Le Meridien Bruxelles (5 stars) located in the historical heart of Brussels and specially chosen to allow the guests to relish the special atmosphere of the European capital. On June 14 the guests were invited to a gala-dinner arranged in one of the most fashionable places of the city, in a fully restored historical setting. The hosts took special care of creating a pleasant and comfortable atmosphere at the party, and they really succeeded in making the dinner unforgettable. The next two days were dedicated to introduction of the new 2008 collection, interrupted with live music shows. During these days, art connoisseurs and designers were provided with still another opportunity to get familiar with a new collection of the world's best brands.

The range of LAM LEE products is surprisingly wide: they produce over 12000 items, each of them - a full-fledged work of art too unique to be labeled as belonging to this or that particular style.

Each semester the company creates a new collection including









# in Trade Mart Brussels

trade mart
BRUSSELS





up to 600 new items. Facing such a choice, any client - however choosy and demanding - can find the one and only object, capable of highlighting individuality of his interior. LAM LEE products are welcomed by people understanding and appreciating beauty. According to Stefano Urbinati, general director of MARCO POLO LAM LEE COLLECTION, the great choice of LAM LEE products includes a favorite object to anyone.

The company's credo is exclusive use of natural materials. Wood, stone, resin, gold and silver - this is what LAM LEE craftsmen consider as their arsenal. LAM LEE designers (a team consisting of over 300 members) take this or that style or trend as a foundation, enrich it with their own forms and endow each item with unique aura, applying secret techniques and finishing practices. Their work invariably results in a beautiful composition, representing a mixture of old techniques and modern taste. One of the attractive distinctions is that you can never tell what an object is made of, because the craftsmen can skillfully imitate textures of wood, stone, bronze, leather and bone. One of the most famous techniques applied by LAM LEE is the so-called "coromandel", which was known in China over 300 years ago.

Lam Lee is an actual personality - artist and designer, owner of a scientific degree in art history and philosophy, a man who has created his own style, saturated with highly individual logic. On January 18 2003 Mr. Lam Lee received the prestigious Academy of Achievement Award. Today, he runs his own company and is surrounded by a team of professional designers, who acquired a global vision of design and adopted a wide range of ideas and techniques, having integrated them into the distinctive LAM LEE style.

NINO LAGHIDZE







# ახალი ბრენდი საქართველოში



აგვისტოს თვის დასაწყისში, თბილისის ერთ - ერთ პრესტიჟულ უბანში კომპანია „არქთრეიდის“ სათაო ოფისი გაიხსნა, რაც ამავდროულად შოურუმს წარმოადგენს. საოფისე ინტერიერი ჰოლანდიური კომპანიის AHREND–ის დიზაინერის ლუკაშ ლიტერას პროექტის მიხედვით განხორციელდა. კომპანია „არქტრეიდი“ AHREND-ის ექსკლუზიური წარმომადგენელია კავკასიაში.

მოცემული სივრცის თანამედროვე გარემო არ არის მხოლოდ კომფორტული. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვის დამცველია და ისევე როგორც შემოქმედება, თავისი კანონებით ტრანსფორმირდება რეალობაში.

მისი მოქნილი გეგმარება, დახვეწილი, დინამიური ფორმები, ინტერიერის - ფურნიტურითა და ლამაზი საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია.



მშვენიერი, ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, რადგან იგი მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიად გარდაქმნას მოითხოვს. აქ, ფუნქციურად ორგანიზებული, ულამაზესი დიზაინის მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, გასაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალური სივრცეები, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ინტერიერის, მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში, სადაც დეტალების სიჭარბით ქაოსი არ იქმნება, ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ხილული თუ უხილავი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ თანამედროვე კლასიკური ფორმები და დახვეწილი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა და თბილი ტონალობა, ფურნიტურა სივრცის წარმომადგენლობითობას არბილებს.

ინტერიერის მოწყობა-მოპირკეთებისას გამოყენებული იქნა საქვეყნოდ ცნობილი სამშენებლო ბრენდების პროდუქცია: ავეჯი - AHREND (ჰოლანდია), შიდა ტიხრები MAARS–ი (ჰოლანდია), რბილი ხალიჩები - MILLIKEN (დიდი ბრიტანეთი); პარკეტი - AWF (ა.შ.შ.); კარ-ფანჯარა - SCHUCO (გერმანია); ჭერი – EUROVAL-







AWF

MILLIKEN

SCHÖCC

ahrend

LIS (ესპანეთი);. აღსანიშნავია, რომ ავეჯი ძირითადად აწყობილია CIRANOL-ს მაღალ ტემპერატურაზე დაპრესილი მასალით, რაც მხოლოდ და მხოლოდ AHREND-ის ნოუჰაუა, იგი ეკოლოგიურია, გამოირჩევა ხანგრძლივმედეგობით და უმაღლესი ხარისხით, სიმსუბუქით და რაც მთავარია ერთი და იგივე დიზაინერული ელემენტებით ავეჯის სხვადასხვა კომპოზიცია იწყობა.

„არქთრეიდის“ სათაო ოფისი წარმატებით შედგა. ავტორის ძალისხმევით, აღქმადი ლაკონიზმით შენიღბული, ზუსტად გათვლილი გადაწყვეტების ფონზე, მისი დატვირთვის სპეციფიკის შესაბამისი სტილური ინტერიერი შეიქმნა. ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნოა ადამიანებისათვის აქ ურთიერთობა და საქმიანობა.





„არქთრეიდი" სთავაზობს კლიენტს, საქართველოში, სრულიად ახალ პროდუქციას. მომსახურეობის პაკეტი გულისხმობს - საოფისე სივრცის ექსპრესპროექტირებას, ინტერიერის კონსტრუირებას, არქიტექტურული ნახაზების სივრცობრივი ვიზუალიზაციას (კომპიუტერული გრაფიკა); ულტრათანამედროვე სამშენებლო მასალებითა და აღჭურვილობით ობიექტის კომპლექტაციას;

ოფისის მოწყობისას ავეჯსა და აქსესუარებს მაღალი კლასის დიზაინერები შეარჩევენ.

AHREND-ის ანალოგიური პროდუქციით სარგებლობს მრავალი საერთაშორისო კომპანია - HSBC Bank, ING Bank, ABN AMRO Bank, DamlerChrysler, Wolkswagen Group, EXXON Mobil და სხვა.

რეკონსტრუქცია-რემონტისა და ინტერიერის მოწყობის ყოველი ეტაპი ავტორის ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს.

„არქთრეიდის" პროდუქციით საქართველოში შესრულდა „ბანკი რესპუბლიკის" სათაო ოფისი, „კვარციტის" სათაო ოფისი, „კაპაროლ ჯორჯიას" სათაო ოფისი, Redix Development, ARCHSTUDIA P.M. და სხვა მრავალი საინტერესო ინტერიერი.

ნინო ლალიძე











# New Brand Entering Georgia



Head office / showroom of Archtrade Company was launched in downtown Tbilisi in early August 2008. Office interior was designed by the designer of AHREND Studio (Holland) Mr. Lucas Litera. Archtrade is the exclusive representative of AHREND in the Caucasian countries.

The modern environment of Archtrade office is far more than a simply comfortable interior. The place is saturated with a specific atmosphere, transforming into reality according to its own laws.

The beauty of this design exceeds aesthetic perception, developing on different planes and breathing a life of its own. Diversity of this beautiful, well-organized space and top quality of its refined forms are merged into a credible organism. Lighting, colors, accessories, proportions, mobile graphics - their integrity naturally forms unordinary spaces devoid of excess sophistication.

In the peaceful and respectable environment every element gains special importance. The light space interrupted by visible and imaginary barriers is perceived as an entity not only due to dominance

of classic forms and refined colors, but also because of precisely matched finishing materials, fine textures, warm tonalities and furniture.

Construction materials used in the interior are produced by high-standard international brands: internal partitions were made using Maars (Holland) materials, soft floor surface is produced by Milliken (UK), doors and windows are by Schuco (Germany); ceiling – by Eurovallis (Spain), furniture – by Ahrend (Holland). It should be noted that the furniture is made of ciranol (exclusive innovation by Ahrend), highly sustainable and environment friendly material, allowing to assemble different compositions using the same design elements.

Archtrade head office is a successful project. Due to the author's creative efforts, the general background of laconic, but carefully calculated solutions lays an optimal foundation to a stylish interior fully conforming to its purpose. Archtrade is a highly efficient place for business activities.

Archtrade offers its Georgia-based clients a wide range of innovative products, including express design of office interiors, interior modeling, 3D visualization of architectural drawings (computer graphics) and implementation of design projects with advanced construction materials and equipment. Furniture and accessories, required for this or that interior are selected by expert designers on the basis of custom requirements. All reconstruction, refurbishing and interior design activities are implemented under the immediate supervision of the author.

Ahrend products enjoy high demands among such international companies as HSBC Bank, ING Bank, ABN AMRO Bank, Daimler-Chrysler, Volkswagen Group, EXXON Mobil, etc.

In Georgia, products supplied by Archtrade were used in the interiors of Republic Bank headquarters, Quartzite, Caparol Georgia head office, Redx Development, Archstudia P.M. and numerous other places.

NINO LAGHIDZE





# რეკონსტრუქცია





სადაზგვევო კომპანია GPI-ს კლინიკის ფასადის რეკონსტრუქცია არქიტექტორ მიშა ბალიაშვილის (Studio 3 Quadrates-ს დირექტორი) პროექტით განხორციელდა,

ფასადის არსებული არასახარბიელო პროპორციების შეცვლა პროფესიული ინტუიციის, არსებულ პირობებთან ადაპტირებით მოხდა. ფასადის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით, ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებითაა მიღწეული. დეკორის ფერისა და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს. პროფესიონალიზმი დეტალებში გამოვლინდება. იგი იგრძნობა - მასალის ფაქტურაში, აქსესუარებში, ექსტერიერის საბოლოოდ სრულყოფისათვის შერჩეულ ნიუანსებში, რომელთა ალიანსით, იგი ჰარმონიულ მთლიანობად გარდაიქმნა.

## Reconstruction

The façade of insurance company GPI clinic was restored according to the project by architect Misha Baliashvili (director of Studio 3 Quadrates).

Uncouth proportions of the existing façade were changed with professional intuition to match the current demands. The resulting design is saturated with a feel of integrity, achieved due to the ingenuous composition, an array of décor motives, passing from zone to zone, changeable coloring of different surfaces and efficient and flexible volumetric solutions. The sequence of colors and textures concentrates attention on the dominating elements of the design. Professionalism of the author shows clearly even in his approach toward secondary details: textures of construction materials, accessories and finishing touches, combination of which turns the project into a harmonious entity.

## ნაით ოფის ბოათი



# მტკვარზე მოცურავე გემი









მტკვარზე მოცურავე გემიდან ძველი თბილისის საუკეთესო ხედები იშლება, აქ ყველა პირობაა ამაღლებული განწყობის შესაქმნელად. არაორდინალური ატმოსფეროა გართობისა და დასვენებისათვის.

ნაით ოფის ბოათზე განთავსებულია ღია კაფე-ბარი, როგორც გემზე ასევე გემის მისადგომთან და ულამაზესი დახურული რესტორანი, სადაც შეგიძლიათ მოაწყოთ კერძო წვეულებები, ბიზნეს-ლანჩი და ბიზნეს შეხვედრები.

ჩემი ნება რომ იყოს მხოლოდ ამას ვიტყოდი და გავჩერდებოდი. მაგრამ არ შემიძლია არც გაჩერება, არც უთქმელობა და არც ემოციების დაფარვა.

ყველა კუთხე-კუნჭულში იგრძნობა სინატიფე, კლასიკა და გემოვნება. აპლოდისმენტები და ოვაციები ჩემგან ნაით ოფის ბოათის მფლობელებს. ყოველივე არაორდინალურადაა გადაწვეტილი, მაგიდებიც, სავარძლებიც და თავად ბარიც.









სიწყნარე და კომფორტი ყველგან ზედმიწევნით ფიგურირებს. ულამაზეს ინტერიერულ მონაკვეთთა სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, კონკრეტული სათავსოს საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული ტექსტილი და აქსესუარები უზადო გარემოს ქმნის, საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას გულისხმობს, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია მოცემული გარემოს ინდივიდუალურობა თუ სპეციფიკა. ამიტომაც უყვართ აქ შეხვედრა საუკეთესო მეგობრებს, შეყვარებულებს, ოჯახის წევრებს და ბიზნესმენ პარტნიორებს.

თამამად შემიძლია გითხრა, რომ ნაით ოფის ბოათი, ერთადერთი რესტორანია მთელს თბილისში სადაც ყოფნა არასოდეს მოგბეზრდებათ.

ნინო ლალიძე





*Night Office Boat*

# CRUISING MTKVARI RIVER



The boat, cruising Mtkvari River, offers wonderful views of Tbilisi. The place is the best for creating elevated mood and unordinary atmosphere.

Night Office Boat includes an open cafe-bar, extending both to the pier and the boat deck and a beautiful indoor restaurant, where you can arrange private parties, business lunches and meetings.

If it depended on me, I would limit myself to these words. But I can neither stop nor stop writing and hiding my emotions.

Every nook of the boat is saturated with elegance and refined taste, just crying to give an applause to the Night Office Boat owners.

The design solution is highly original - even chairs, tables and the bar stand are far from being standard. Peace and comfort are the main dominants of the place. The refined interior is perfectly organized; harmoniously matched colors and materials, skillfully planned and distributed lighting, high quality furniture, conforming to the purpose and style of this or that interior zone, well-chosen textile and accessories form a flawless atmosphere integrated with a general stylistic theme, highlighting individual character of the space. The Boat is the perfect meeting place for friends, families and business partners.

In other words, Night Office Boat is the only restaurant in Tbilisi, which will never seem boring to its visitors.

NINO LAGHIDZE









# პროფესიული სპექტრი

არქიტექტურულ-სამშენებლო ფირმა „დავითი და კომპანია“ კომპლექსური სამშენებლო ორგანიზაციაა. ფირმა დაარსებიდანვე შედგა. მის მთავარ მამოძრავებელ ბირთვს წარმოადგენენ მრავალგზის პრემირებული და დიპლომირებული პროფესიონალები: გიორგი ნინიძე, ზაზა მაისურაძე, დავით კალანდარიშვილი. ამ შემომქმედი ადამიანებისთვის თანამოაზრეთა მეგობრულ კოლექტივში, ხარისხიანი პროექტების ოპტიმალურ ვადაში დასრულება სავსებით მისაღებია, რადგან ფირმის თითოეული პროფესიონალი თავად წარმოადგენს ფირმას. ისინი აღიარებული ოსტატები, იდივიდუალისტები არიან და მაინც, სწორედ ერთად თანამშრომლობით ქმნიან არაჩვეულებრივ ნამუშევრებს, რომელთა ფრაგმენტებსაც ამჯერად წარმოგიდგენთ.

2007 წელს, აეროპორტის ტრასასთან, მათ მიერ იქნა შესრულებული, დეკორატიული შადრევანი „ბორჯღალი“ (პროექტის ავტორი: გურამ ნიკოლაძე); ასევე, უშუალოდ მათ მიერ შესრულდა თბილისში წმინდა სამების ტაძრის ( პროექტის ავტორი: არქიტექტორი, არჩილ მინდიაშვილი) გუმბათის მოოქროება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სამუშაო პროცესში ჩართული იყო სანკტ-პეტერბურგის მხატვარ-რესტავრატორთა ექვსკაციანი ჯგუფი.

თბილისში, ფირმა „დავითი და კომპანიის“ მიერ განხორციელდა, მხატვარ ზურაბ წერეთლის გრანდიოზული პროექტები - მონუმენტები, „წმინდა გიორგი“ და „ჭაბუკი და მზე“.

ფირმის პროფესიული შესაძლებლობების სპექტრი ფართოა.

იგი აწარმოებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას აბაშიძის, ფალიაშვილის ქუჩებზე (პროექტები შეიქმნა არქ. კომპანიებში „მოდერნ პლაზა“ და „დიზაინ სტუდია ზურაბ წერეთელი“. არქიტექტორები: გიორგი ნინიძე, ზაზა მაისურაძე, ვაჟა ბერიძე).

პროფესიონალთა საქმიანობის არსს ფორმირებული ცხოვრების წესი შეადგენს, რასაც ორგანიზატორული ტალანტი, ცოდნა, მრავალმხრივი კავშირები, რეპუტაცია ემატება და წარმართავს. ყოველივე შედეგზე აისახება. წარმოდგენილ ობიექტთაგან ყველა კონცეპტუალურია, პროფესიულია, დახვეწილია.

ფირმის მთავარი ამოცანაა, ხარისხიანი პროექტების არა კონვეირული მიწოდებაა, არამედ კრიზისული და ქაოტური აწმყოს მიუხედავად, უკვე მიღწეული, განსაზღვრული, კულტურული, პროფესიული დონის შენარჩუნება და დახვეწა. „დავითი და კომპანიის“ დღევანდელი რეალობა ასეთია. მომავალს დრო გვიჩვენებს, რადგან ღირსეული პროფესიონალი კი თავის სახეს ყოველთვის და ყველგან დამაჯერებლად და შემოქმედებითად წარმოადგენს.

ნინო ლაღიძე















# Professional Range

Architectural-construction company "David and Company" is a complex organization. The business proved successful from the very beginning. Its core group is comprised by acknowledged professionals, possessing numerous prizes and professional certificates: Giorgi Ninidze, Zaza Maisuradze and David Kalandarishvili. Every member of this creative team has a unique individual style, but nonetheless it is as a result of joint efforts that they create wonderful projects, some which we would like to present to you today.

Just to give you an idea about the professional qualification of David and Company, we would like to mention Borjgali Fountain, located at the airport highway (project by Guram Nikoladze) and gilding of Sameba Cathedral (project by architect Archil Mindiashvili), implemented with participation of a 6-man restoration group from St. Petersburg, magnificent Tbilisi-based projects by Zurab Tsereteli: monuments "St. George" and "A Youth and the Sun".

The range of professional activities maintained by the company is really wide.

David and Company is currently building residential houses in Abashidze and Paliashvili Streets (projects developed by architectural companies "Modern Plaza" and "Zurab Tsereteli Design Studio", architects: Giorgi Ninidze, Zaza Maisuradze and Vazha Beridze).

Professional activities of David and Company are based on a clear approach toward lifestyle, supported by their organizing talent, knowledge, good connections and imposing image. All of this invariably finds its reflection in the results. The constructions we have presented here are conceptual, refined and professionally performed.

Key goal of the company is not mass production of quality projects, but rather resistance to the strained and chaotic present-day situation to retain and further develop the already achieved cultural and professional level. This how David and Company approaches the current reality. And their future outlooks are bright, because high level professionals are always successful in expressing themselves in a credible and original manner.

NINO LAGHIDZE





არქიტექტურის აღქმა, პირველ რიგში ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა წარმოქმნიდეს, რასაც გეგმარებითი ჩანაფიქრის მოცულობითობა, ობიექტისთვის ზუსტი ადგილის შერჩევა, კომპოზიციის სივრცობრივი წყობა, ტექნიკისა და ნაგებობის ფუნქციური სტრუქტურის ახალი, პროგრესული სინქრონი განაპირობებს.

ნათქვამი ზედმიწევნით მიესადაგება, არქიტექტორების, ზაზა ციციშვილის და ვიქტორ ხუფენიას პროექტით, ბეთანიაში განხორციელებული ობიექტის - საზაფხულო რესტორნის „მასპინძელო“-ს არქიტექტურულ-მოცულობით თუ გეგმარებით გადაწყვეტას.

მისი ორიგინალური სტრუქტურის მქონე, კომპაქტურად გადანაწილებული ორგანიზმი გარემომცველი, ულამაზესი მიდამოს დომინანტია, მთელ სივრცეს კრავს და ამავე დროს მასთანაა შერწყმული. ცალკეულ ღია მოცულობათა ფორმები თავიანთ ფუნქციას არა იმდენად განახორციელებენ, რამდენადაც გამოხატავენ, რაც მათ შესახებ ავტორთა ხატოვან წარმოსახვას იძლევა. ექსტერიერთა მოცულობითი დიზაინი, „მასპინძელოს“ დანიშნულების სპეციფიკურობის აღქმას აძლიერებს და ჰაეროვნებას მატებს ვრცელ ღია მოცულობებს. არქიტექტურული მასები თავიანთი პარამეტრებით, პროპორციული წყობით მთლიან მოცულობას განსაკუთრებულ გამომხატველობას ანიჭებენ.

მოცულობის წარმოჩენის თავისებური, პროფესიული ხედვა ანსამბლის მთლიანობის, მოქნილი სილუეტის, უნიკალური, თანამედროვე ხასიათის განმსაზღვრელია. მისი, დახვეწილი არქიტექტონიკა, ლამაზი ფურნიტურითა და საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია. მშვენიერი, ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, რადგან იგი მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიად გარდაქმნას მოითხოვს. დეტალები, როგორც არქიტექტურაში, ისევე დიზაინში, არაორდინალური გამოვლინებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. იგი ხილული თუ უხილავი ბარიერებით შექმნილ მსუბუქ ერთიანობას წარმოადგენს, სადაც საერთო „კოლორიტი“ დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის მკვეთრი ტონებითაა აქცენტირებული. ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნოა ადამიანებისათვის აქ თავშეყრა, ურთიერთობა და დასვენება.

ნინო ლაღიძე

ფოტო: ნანა კოზერიძე



# „მასპინძელო”





Perception of architecture should be firstly based on aesthetic pleasure, stimulated by innovative, progressive combination of planning, site positioning, spatial distribution of the composition, technique and functional structure of the building.

In the light of the above, we would like to draw your attention to the architectural and planning solution of Maspindzelo Restaurant, designed by architects Zaza Tsitsishvili and Viktor Khupenia.

The compact, originally structured restaurant dominates beautiful natural setting and unifies the surrounding space without being disintegrated from the environment. The shapes of open volumes not so much conform to as express their function, which manifests the authors' creative approach. Exterior design of Maspindzelo Restaurant highlights its purpose and adds transparency to vast open spaces. Architectural masses with their dimensions and proportionate distribution increase expressivity of the general volume.

Special, professional approach toward highlighting the values of the building defines flexibility of its silhouette and originality of its style. Its refined architectonics and mysterious design, accentuated by carefully chosen furniture and accessories adds charm to any part of the construction. Interior of the restaurant is an integral space, broken up by various visible and invisible barriers, where the general character is highlighted by decorative accessories and sharp colors of the furniture. Easy to imagine how pleasant it must be for people to gather here and take some rest.

NINO LAGHIDZE

PHOTOS BY NANA KOBERIDZE

# "MASPINDZELO"













# მწვანე არქიტექტურა

თბილისსა და მის გარეუბანში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ეზო-ყურეში, არქიტექტორ თენგიზ მახარაშვილის პროექტებით, კვლავ საინტერესო ლანდშაფტური დიზაინი შეიქმნა.



არქიტექტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, ლანდშაფტის დიზაინს დიდი ადგილი უჭირავს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. არც ერთი პროექტი, იქნება ეს, ერთბინიანი ეზოიანი საცხოვრებელი სახლი, მსხვილი საცხოვრებელი კომპლექსი თუ ქალაქის საზოგადოებრივი სივრცეები, არ განიხილება და მტკიცდება, ლანდშაფტის დიზაინის გადაწყვეტის გარეშე.

ჩვენში, მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, გარემოს ლანდშაფტურ დაგეგმარებას სათანადო ყურადღება არ ექცევა, არც სახელმწიფო და არც კერძო დამკვეთის მხრიდან.

ამასთან ერთად, უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა ტენდენცია იმისა, რომ მობინადრეები მრავალსართულიან კორპუსს, ქალაქგარეთ, ეზოიან სახლში ცხოვრებას ამჯობინებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეზოს ლანდშაფტური გადაწყვეტისას, ხშირად თვითშემოქმედებას ანიჭებენ უპირატესობას.

საბედნიეროდ, არის საწინააღმდეგო მაგალითებიც, როცა დამკვეთმა კარგად იცის, რომ „პური, მეპურემ უნდა გამოაცხოს“, ანუ ბაღი - სპეციალისტმა, ლანდშაფტის დიზაინერმა უნდა დააპროექტოს.



ახლახან, ზემო წყნეთში აგარაკისა და ეზოს მშენებლობა დამთავრდა, რომელიც პროექტის სრული დაცვით განხორციელდა. ეზოს ვრცელი ტერიტორია რთულრელიეფიანია და აქ არსებობდა, როგორც მარადმწვანე, ასევე ფოთლოვანი ხეები.

პროექტირებისა და მშენებლობისას, განხორციელდა, როგორც რელიეფის სტრუქტურის, ასევე ყველაზე ფასეული ნარგავების შენარჩუნება. ეზოს სივრცე არ არის გადატვირთული დეკორაციული ნარგავებით, ბუჩქებითა და ყვავილნარებით. აქ დომინირებს მწვანე მოლი, დეკორატიული ბილიკები, განათების არმატურა და სხვა მცირე არქიტექტურული ფორმები. ეზოს წყნარი ნაწილი დათმობილი აქვს დასვენებისა და გართობის ზონას, სადაც მოწყობილია მსუბუქი ფორმის ფანჩატური, ბუხრითა და ეზოს სამზარეულოს ატრიბუტიკით.

აქტიური დასვენების ზონა დათმობილი აქვს საცურაო აუზს, ჩანჩქერსა და მიმდებარე ტერასას.

კარგადაა გადაწყვეტილი სახლთან სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი კიბეების პლასტიკა. აღსანიშნავია, როგორც შენობის, ასევე ეზოს და მისი ელემენტების მშენებლობის მაღალი ხარისხი.

განსხვავებულადაა გადაწყვეტილი ეზოიანი საცხოვრებელი სახლი საირმის გორაზე. ეზოს ტერიტორია, გზიდან, ყაზბეგის გამზირის მიმართულებით, საკმაოდ დახრილია. ამან, ეზოს ტერასებად გადაწყვეტა განსაზღვრა. თითოეულ მათგანს, განსაზღვრული ფუნქცია აქვს. კერძოდ, აქ არის: დეკორატიული მცენარეების, ტრადიციული მსხმოიარე ხეების, დეკორატიული ჩანჩქერის, დასვენების და ა. შ. ტერასები. სახლის მარჯვენა ფლიგელში დაპროექტებულია ზამთრის ბაღი, რომლის დიზაინი და დეკორატიული გამწვანება კარგად ერწყმის ეზოს ლანდშაფტურ დიზაინს.

არქიტექტორი თენგიზ მახარაშვილი









# Green Architecture

*Several original landscape architecture designs have been created by architect Tengiz Makharashvili for courtyards of private houses located in Tbilisi and its suburbs.*

One of the key trends of architecture - landscaping - plays an important role in the western European countries. No architectural project, be it an individual house with a courtyard, a large residential complex or public construction, is considered or approved without a corresponding landscape design solution.

In Georgia landscape architecture is still treated as a factor of secondary importance both by the government and private sector, though one cannot underestimate efforts made in this regard.

The recent developments show that the public, tending to prefer suburban houses to apartment blocks, mostly chooses to arrange their courtyards according to their own imagination, rather than involving professional landscape design.

Fortunately, this general tendency is sometimes contradicted by people realizing that a task requiring a professional solution should be performed by a relevant professional.

Not long ago, a new country house project was implemented in Zemo Tskneti settlement. The project covered both house and the premises, involving professional solutions in both directions.

Initially, the courtyard represented a large space with complex relief and several evergreen and deciduous trees. At the design and construction stages it was decided to retain the relief structure and some of the most valuable plants. The resulting courtyard design does not abound in decorative plantings, bush grooves and flowerbeds. The key highlight is a green lawn crisscrossed with paths and decorated with light fixtures and other minor architectural forms. The courtyard is divided into passive and active recreation zones, the former featuring a rotund, a fireplace and open-air kitchen facilities and the latter including a swimming pool, a waterfall and an adjacent terrace.

An efficient architectural solution has been applied while ensuring flexible connection of the courtyard with the house using a system of staircases.

A different approach was used by the architect when designing a single-family house located in Sairme Hill. Its courtyard is considerably sloped toward the access road. This factor motivated the author to break up the site into several terraces with different functional contexts: decorative plantings, fruit trees, a miniature waterfall and a recreation zone. The right-hand wing of the house includes a winter garden, with design and decorative plantings efficiently matching the landscape design of the courtyard.

ARCHITECT TENGIZ MAKHARASHVILI





# არქიტექტურული დეტალების კოლორიტი



თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ყაზბეგის გამზირზე, კომპანია „აქსისის“ მიერ აშენებულ საცხოვრებელ სახლში, არქიტექტორ კახა დეკანოიძის პროექტით საცხოვრებელი ბინის ინტერიერი განხორციელდა. პროექტის ღირსება – მისი არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფების ერთმანეთთან მოხერხებულად დაკავშირებაა. დიზაინი ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა და ერთ მთლიანობაში აღიქმება. იგი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას ვიზუალური სიმსუბუქითა და სილუეტის გრაფიკული სიზუსტით. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ შემოქმედებითად გააზრებულ სივრცეში არქიტექტურული დეტალების კოლორიტი ყოველ ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილშია გადათამაშებული და მიკროსამყაროს სიმბოლურ ველს ქმნის...

ინტერიერის ატმოსფერო ჰაერითაა სავსე და თავისუფალია. დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბუქეს დიზაინის ელემენტებიც იმეორებენ. ინტერიერში ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციები, სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი და ა.შ. გამჭვირვალებას და სიმსუბუქეს, ორიგინალური კოლორისტული გადაწყვეტა უდევს საფუძვლად. მთლიანი პალიტრა ოპტიმალურ ფონს უქმნის ნებისმიერ საგანს, გამოკვეთს მის მოცულობას. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ინტერიერში ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია. გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი ინტერიერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. საერთო გამჭვირვალებაში შეჭრილი ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მაორიენტირებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. დიზაინერული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული.

ნინო ლაღიძე









# Coloration of Architectural Details

In one of the fashionable districts of Tbilisi, in an apartment block newly built Axis, a residential interior design project was recently accomplished by architect Kakha Decanoidze. The main attraction of the project is comfortable interrelation of its main architectonic groups. The design has an original, integral composition, attracting attention with its visual lightness and graphical precision of shapes. The other important factor is that the creative solution of the space is accentuated by architectural details, adding a symbolical dimension to this micro-environment.





The interior is saturated with the feeling of ease and freedom. Constructional lightness of large masses is reiterated by design elements. Key highlights of the interior are decorative compositions of architectural fragments as well as forms, shapes and colors of various accessories. The impression of lightness and transparency is based on an original coloring solution. The color palette of the interior provides an efficient background to any article. Glittering of light on the surfaces and textures further highlights the graphical quality of the interior; lines, parallels and dynamic curves interrupt the general transparency and merge into clue patterns and silhouettes. The design flows like a melody with varying rhythm and highly individual tonality.

NINO LAGHIDZE



# თავისუფლების სტილი

# Style of liberty



საცხოვრებელი ბინის ინტერიერები, არქიტექტორ ვასილ თოხაძის პროექტებით განხორციელდა.

საცხოვრებლების თავისუფალი გარემო ინდივიდუალურია და აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. სისადავე და მონუმენტურობა გეგმარების თავისუფლება და დინამიზმი ავტორების კონცეპტუალური კრედოა. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურა ესთეტიკურ და მეტაფორულ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრსა და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერების მიკრო გარემო, მათთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს, სივრცის საერთო წყობასთანაა შეთავსებული. მოცემულ შემთხვევაში ესთეტიკა და პრაგმატიზმი მაქსიმალურად შეერწყმის ერთმანეთს. გეომეტრიული აბსტრაქცია ფორმის მნიშვნელობას მის რეალურ არსებობაში განავრცობს.

არქიტექტორის მუშაობის დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა საცხოვრებელი ინტერიერების სტლისტური მთლიანობა და მისი შესაბამისობა ცხოვრების წესთან.

ნინო ლაღიძე



This residential interiors, designed by Vasil Tokhadze.

Planningof this interiors space with its clearly defined functionality is remarkably simple and dynamic. Micro-environment of the residentials have a different emotional coloring, which at the same time complies with the general structure of the space. In this particular case, aesthetical aspect is so well matched with pragmatic considerations. that it is impossible to define the superiority of either.

The architect refined taste accounts for stylistic integrity of the interior which fulli corresponds to the lifestyle of the organization.

NINO LAGHIDZE



# ბელ ვილი









თბილისში, ქიაჩელის ქუჩაზე მდებარე ფრანგული ბარ-რესტორნის „ბელ ვილის“ ფასადი თუ ინტერიერი თვითმყოფადია - აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკით გამოირჩევა. არაორდინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელეგანტურობა დახვეწილ დეკორში ვლინდება, რომელსაც ორი განსხვავებული მოცულობა ქმნის. ექსტერიერისა და ინტერიერის არქიტექტონიკა და დიზაინი ახალგაზრდა დიზაინერის თამუნა ტყაბლაძის პროექტით განხორციელდა, რომლის სრულქმნაში, ცნობილი მსახიობის, ქალბატონ ასმათ ტყაბლაძის იდეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

სივრცეთა სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, მოცემულ სათავსოთა საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები... - უზადო დიზაინი, საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული, ჰარმონიულ ინტერიერულ სახეს ქმნის. მასში დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია სტუმართა ინდივიდუალურობა.

„ბელ ვილი“ საუკეთესო ადგილია დასვენების, გართობის, გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულთათვის, ბიზნეს ლანჩისთვის, გურმანებისათვის - სასურველი გარემო, მუსიკა და ვიპ ადგილები „კონსპირაციული“ შეხვედრებისათვის.

ნინო ლალიძე

ფოტო: ქრისტინა გოროდნიჩევა







# Belle ville



Both facade and interior of the French bar-restaurant Belle ville, located in Kiacheli Street, Tbilisi, are unique from the stylistic point of view. Unusual entourage highlights diversity of the interior objects. Elegance of the design is manifested in refined decoration of two main interior volumes. The restaurant was designed by young designer Tamuna Tkabladze with important contribution of well-known actress Asmat Tkabladze.

Logical organization of the space, harmonious choice of colors and materials, skillfully calculated lighting system, furniture, matching the general stylistic solution of the space and tastefully selected accessories... - flawless design, integrated under general theme and forming a harmonious interior image, in which every detail is considered with utmost attention in order to satisfy the varying requirements of the guests.

Belleville is a good place both for gourmands looking for a tasty meal and good music and businessmen wishing to negotiate in relaxing and pleasurable environment.

NINO LAGHIDZE
PHOTO: KRISTINA GORODNICHEVA









# დეკორატიული პალიტრები





მყუდრო აზიური რესტორანი VONG (სამზარეულო - Asian Fusion) თბილისის ერთ-ერთ უმშვენიერეს უბანში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარეობს. მისი ინტერიერი მხატვრულად დიზაინერულმა კომპანია ROOMS-მა გააფორმა - პროექტის ავტორები დიზაინერები, ნატა ჯანბერიძე, ქეთი თოლორაია არიან.

დიზაინერებმა, თემატური სცენარით შინაარსობრივად ღრმა და შთამბეჭდავი კომპოზიცია შექმნა, სადაც სივრცის მთლიანობას მოდულური ელემენტების ერთობლიობა ქმნის.

ინტერიერში დროის ვიზუალური სტილისტიკისა და კულტურულ-მხატვრული ენის ელემენტებია შეტანილი. აქ, დეკორაციები, შემოქმედებითად ძალზე მხატვრული, ახლობელი და განსაკუთრებულად თბილია. თვითმყოფადობის ატმოსფეროს უამრავი საგანი, აქსესუარი და ტონალობათა არეალი განსაზღვრავს. ყოველივეს თავისი ალაგი აქვს მიჩენილი და ზუსტად მაშინ ჩნდება პირველ პლანზე, როცა მნახველი მოისურვებს. შედიხარ ამ სამყაროში, სურვილისამებრ ირჩევ შენთვის მყუდრო მონაკვეთს და მისი ერთ-ერთი მონაწილე ხდები.

ავტორთა მიერ გათვლილია ყოველი თითქოს შემთხვევითი დეტალი და ნიუანსი. ფორმით, ფერით, და ინფორმაციით დატვირთული დეკორაციები ჰარმონიულია სივრცით გადაწყვეტასთან, რომელიც მხატვრული ავანგარდისა და ინტელექტუალური აურითაა გაჟღენთილი. და დამეთანხმებით, კომპანია ROOM-ის, ამჯერად წარმოდგენილი, შემოქმედებითი ფრაგმენტი, კიდევ ერთხელ, პროფესიონალიზმის მაღალი გამოვლინებაა.

ნინო ლაღიძე









# Decorative Palettes

The restaurant VONG ( Azian Fusion) is located in a beautiful district of Tbilisi, in Abashidze Street. Interior of the restaurant and decorative fencing, has been designed by design company ROOMS - designers Nata Janberidze and Keti Toloraia.

Designers created a thematic composition with deep content, integrating a multitude of modular elements.

The interior is based on visual stylistics as well as certain cultural and artistic implications. The design overall is highly creative and appealing. Originality of the atmosphere is highlighted by coloring effects and an array of carefully positioned decorative articles and accessories. The diversity of this little world has a surprising power of making everyone feel perfectly at home.

The authors has carefully considered every seemingly accidental detail. Decorations with their meaningful form, color and connotation are in full harmony with space planning, saturated with an aura of artistic vanguard and intellect. You will agree that by this work design company ROOMS has once more expressed his high professionalism.

NINO LAGHIDZE





















# დიზაინერული კოლაჟი

თანამედროვე ინტერიერი, მისი დიზაინი და არქიტექტორის მიერ მასში წარმოქმნილი, თემატური სცენარით შექმნილი ატმოსფერო, რთული, შრომატევადი, შემოქმედებითი გზის შედეგია.

არქიტექტორ კონსტანტინე ლარინის პროექტით შექმნილი, ბათუმის ცენტრში, ახლახანს გახსნილი, ,,BLACK BAR“-ს საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთჰარმონიულობით, ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია. გახსნილი სივრცე ერთიანად აღიქმება, თუმცა მასში ყოველი ცალკეული ელემენტი ერთგვარად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. მათი ლავირება შეუმჩნეველი ნიუანსებით წარმოებს. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. მათი კომპოზიციური წყობა, ტონალობა, ფურნიტურასთან, აქსესუარებთან სინქრონი, სრულყოფილების შეგრძნებას ბადებს.

ნინო ლაღიძე









# Design Collage

Creation of modern interior design with a thematic atmosphere and distinctive individuality is a complex, meticulous task, requiring a great deal of professionalism.

Public space of BLACK BAR in center Batumi, designed by architect Konstantin Larin, represents an integral, live organism, consisting of harmoniously matched mobile units. The open space is perceived as a unity, nonetheless consisting of self-important and original elements, integrated by a carefully considered and unobtrusive structure of minor details. Each horizontal or vertical surface of the interior is an unordinary decoration, a part of design collage. Their compositional structure, tonality, matching with furniture and accessories evoke the feeling of perfection.

NINO LAGHIDZE

# საბავშვო ოთახი

სინათლით სავსე წყნარი გარემო სიმშვიდეს განაპირობებს. ორიგინალური, დინამიური ფორმების მქონე, სხვადასხვა ფერში გადაწყვეტილ კომპოზიციათა შერჩევის შესაძლებლობა დაგეხმარებათ თქვენს პატარას ოცნების ოთახი შეუქმნათ. მექანიზმებით და პატარა ბორბლებით აღჭურვილი საწოლები და მაგიდები, სათამაშოდ და სამეცადინოდ აუცილებელი სივრცის გამოყოფის საშუალებას იძლევა. ტევადი კარადა ბავშვის ყველა ნივთს დაიტევს და დაიცავს. გათვლილია ყოველი ელემენტი, შერჩეულია საუკეთესო მასალა - რაც უდაოდ კომფორტის გარანტია.









*Light and peaceful environment contributes to positive development. A choice of dynamic colorful compositions will help you create a dream room for your child. Beds and tables equipped with various mechanisms and castors enable to free the space required for leisure and studies. Spacious wardrobe can store any of the child's items. Every element is well considered; the best materials are matched in order to ensure maximal comfort.*

საკუთარი ოთახი ბავშვისთვის ის სამყოფელია, სადაც იგი სამყაროს შეცნობას იწყებს. 3-5 წლის ასაკში დგება დრო, მისთვის ცალკე ოთახი ან კუთხე გამოიყოს, სადაც ყოველივე ბავშვის ასაკის შესაბამისი იქნება. თავისი დიზაინით საცხოვრებლის საერთო ხასიათს მისადაგებული ოთახი უნდა იყოს ვრცელი, სუფთა, ნათელი და სასურველია მზიანი მხარისკენ ორიენტირებული.

საბავშვო ოთახი, სადაც სათამაშო ადგილიც იქნება გამოყოფილი, ავეჯით არ უნდა გადაიტვირთოს. კედლების და ავეჯის ფერის, სხვადასხვა წვრილმანი ნივთების შერჩევისას, ბავშვის გემოვნებაც გასათვალისწინებელია. ფერითი აქცენტების შეტანით (საწოლის გადასაფარებლები, ფერადი პლაკატები, ზღაპრების სიუჟეტების ამსახველი ნახატები, თოჯინები, სათამაშოები), საბავშვო ოთახში მხიარული სახალისო ატმოსფერო შეიქმნება. თუმცა, საბავშვო ოთახის, ან მშობლების ოთახში მისთვის დათმობილი კუთხის დეკორატიული თუ ფერითი გაფორმებისას, ბავშვის ასაკია მხედველობაში მისაღები.

ოთახში ავეჯის სწორად განთავსება-გადანაწილება, ბავშვის კომფორტულად დასვენებას და სწორად განვითარებას გულისხმობს. არა აქვს მნიშვნელობა რამდენი წლისაა იგი - ნებისმიერ შემთხვევაში, მის ოთახში უნდა იდგეს მოსახერხებელი, პრაქტიკული და ლამაზი ავეჯი, იყოს ადგილი წიგნებისათვის, სათამაშოებისათვის, კომპიუტერისათვის. ბავშვისთვის აუცილებელია სამუშაო ადგილი, ეს შესაძლებელია იყოს კომპიუტერის მაგიდაც, სადაც მოზარდს საშუალება მიეცემა იმეცადინოს და ხატოს.

მოსახერხებელი საწოლი - ბავშვითვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია, სადაც მას ეძლევა საშუალება კარგად გამოიძინოს ან და-



ისვენოს მეცადინეობის შემდგომ. ეს აუცილებელიცაა, რადგანაც შთაბეჭდილებებით გადატვირთული დღის შემდგომ დასვენება აუცილებელია.

საკუთარი კუთხე ან ოთახი, ბავშვში, დამოუკიდებლობის, თავდაჯერებულობის, პასუხისმებლობის გრძნობას, გემოვნებას ანვითარებს. საკუთარ „სამფლობელოში", იგი, თავად იცავს წესრიგს, სისუფთავეს. ცდილობს, თავისებურად, კიდევ უფრო მეტად გაალამაზოს იგი.



ბავშვის ზრდასთან ერთად, მისი ოთახი ასაკის შესაბამის დატვირთვას იძენს, ამიტომ აუცილებელია რომ დეკორი, ავეჯი და აქსესუარები განახლდეს, შეესაბამებოდეს მოზარდის მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდეს მას თავი იგრძნოს კომფორტულად.

მოუწყვეთ სახლში თქვენს ბავშვს ლამაზი სამყარო, შეიძინეთ მისთვის ხარისხიანი, ლამაზი ავეჯი, ნივთები - ისეთი, როგორიც მას მოეწონება და მაშინ, იგი, ამ სამყაროში თავს ბედნიერად იგრძნობს.

ლალი ბახტაძე



# Nursery Room





A nursery is a place where your child starts studying the surrounding world at his ease. At an age of 3-5 years the child should have a room or a nook of his own, where everything will correspond to his age. This room, probably matching the design of other parts of your living space, should be large, clean and giving as much access to sunlight as possible.

Considering that the nursery should provide some space for playing, it should not be crammed with furniture. Coloring of walls and furniture, choice of minor objects for the room should be made considering the child's taste. Introduction of color highlights (e.g. quilts, posters, paintings and drawings, dolls, toys) helps form a joyful atmosphere in such a room. However, it is obligatory to consider the child's age when decorating his room or the dedicated section of the residential space.



პასტელური ფერები გოგონას ოთახის ტონალური გადაწყვეტისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. ჭედური ელემენტებთან შერწყმული მუხის ნაზი შეფერილობა, საბავშვო ოთახს უფრო მეტ შარმსა და სინატიფეს ანიჭებს. წაბლის ხის ავეჯის ფერი შეუდარებელია, საბავშვო ოთახის კლასიკურ სტილში გადაწყვეტისას. ბავშვისათვის განკუთვნილი ავეჯი, თავისი დიზაინით და კონსტრუქციით მსუბუქია და მნიშვნელოვანი ტევადობის მიუხედავად არ გადატვირთავს ოთახს.

*Pastel colors are the most efficient solution for the girl's room. Soft color of oak in combination with forged elements increases the charm of the nursery and renders it more refined. Chestnut furniture is incomparable for nurseries, designed in classic style. The furniture to be used by a child is lightweight and unobtrusive, though very capacious.*







Correct distribution of furniture within the room is paramount for comfortable recreation and normal development of your child. It is not really important how old your child is – in any case, his room should contain practical, comfortable and good-looking furniture, providing some space for books, toys, a personal computer, etc. There should also be a desk where your child can study or draw.

A comfortable bed – your child will probably consider it as one of his most favorite places, where he can sleep or take some rest after the days filled with action and new impressions.

An isolated room or area contributes to development of such qualities as independence, self-assuredness, responsibility and taste.

From year to year, the functions of your child's room will change, so that it is necessary to periodically refresh its decor, furniture and accessories so that the room always matches the child's requirements and ensures his comfort.

Take care of creating a beautiful world for your child, decorate it with quality furniture and beautiful things – such that he will like – and be sure that your child will be happy in this "kingdom" of his own.

LALI BAKHTADZE



ფურნიტურა
FURNITURE

# ხელოვნებაზე შეყვარებული



მხატვრული ტექსტილის სახელოსნოს La maison Bleue-ს შემოქმედებით ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ხელოვნებაზე შეყვარებული ოსტატი, მხატვარი ეკა ხუნწარია კარგადაა ცნობილი ხელოვნების მოყვარულთათვის.

ეკამ თბილისის სამხატვრო აკადემიის, სამრეწველო გრაფიკის ფაკულტეტი 1991 წელს დაამთავრა და სულ მალე მეგობარ-პროფესიონალებთან ერთად შემოქმედებით ჯგუფში - La maison Bleue - გაერთიანდა. მხატვარმა, აქ შეისწავლა ბატიკის ტექნიკა. სტილისტური თავისებურებების ძიება განვითარებისას საკუთარ ტონალობას, ხელწერას მიაგნო და ქსოვილის მოხატვა-დამუშავების ინდივიდუალური ტექნოლოგია შეიმუშავა. მისი ნამუშევრებით გაფორმებულია თბილისში „ქორთიარდ მერიოტის“, „თბილისი მერიოტის“, „ჯი-ემ-თი ჯგუფის“ სათაო ოფისის, სავალუტო ფონდის სათაო ოფისის, კერძო საცხოვრებლების (როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ) ინტერიერები.

ოსტატი ერთიანი ტონის საზღვრებში ნატურის ფერთა პალიტრის სიმდიდრეს, გამოსახულების ბუნებრივ პირობებში გამოვლე-









ნილ შინაგან სულიერებას გამოხატავს. მის ნამუშევრებში არაორდინალური კომპოზიციური გადაწყვეტების გარდა, შუქ-ჩრდილთა მოდელირებით მაღალი ოსტატობაა გამოვლენილი.

ნამუშევართა საერთო პალიტრა თავისი მრავალფეროვნებით დაუსრულებლად გიზიდავს. თემათა დიაპაზონი, რომელსაც ოსტატი მიმართავს ფართო და მრავალფეროვანია. მათში მკაფიოდაა გამოვლენილი მაღალმხატვრული კულტურა, განსხვავებული ხედვა, ფორმის, ხაზის, კომპოზიციის კლასიკური, ჰარმონიული მთლიანობა.

ფურნიტურის დინამიურად მოდელირებული ფორმები გამუდმებით ცვალებად მთლიანობას წარმოადგენს. მათი დეკორატიული თუ სტილიზირებული, შეკრული ფორმა-მოცულობა განუმეორებელი და თვითმყოფადია.

მხატვრის შემოქმედებაში მუდმივი ძიებაა, რაც მას ახალი რწმენითა და სულისკვეთებით აღავსებს.

ნინო ლაღიძე





# In Love with Art

*Eka Khuntsaria, one of the artists of textile studio La Maison Bleue, is well known to art amateurs.*









Eka graduated from the industrial graphics faculty of Tbilisi State Academy of Art in 1991; soon afterwards she joined the creative group of La Maison Bleue. While working in this studio, the artist mastered batic technique, personalized her style and developed her own technology of textile painting and processing. Her works have been used to decorate Courtyard Marriott, Marriott Tbilisi, head office of GMT Group, headquarters of the Georgian Currency Foundation and numerous residential interiors (both in Georgia and abroad).

Against the subdued color of the background, the artist highlights the natural richness of her model, expressing the intrinsic spirituality of things. Her works are distinguished with remarkable compositional solutions as well as skillful modeling of light and shade.











The general palette of Eka Khuntsaria's works catches the eye with its boundless diversity. The range of themes, inspiring the artist, is surprisingly wide and versatile. They clearly express the high artistic culture, unusual vision, classic, harmonious unity of form, line and composition.

Dynamically modeled forms of the furniture merge into a constantly varying integrity. Their decorative or stylized volumes are unique and original.

The artist's work is a constant search, an inexhaustible source of faith and inspiration.

NINO LAGHIDZE





# ფოტოლაიფი



## „ფოტოებში არეკლილი სამყარო“

Photolife-ჯგუფი უკვე ხუთი წელიწადია არსებობს. ბრენდი ფართოდაა ცნობილი ფოტოსამყაროში და ფოტომოყვარულთა შორის. ფოტოსტუდია, ინტერნეტჟურნალი და ფოტოპორტალი – Photolife-ის მნიშვნელოვანი მიმართულებებია.

არტ-სტუდია აღჭურვილია უახლესი ფოტო-აპარატურით (მცირე და საშუალო ზომის ციფრული და ფირის ფოტოკამერები), სტაციონარული და მობილური თანამედროვე სტუდიური განათების სისტემები ინტერიერული გადაღებისთვის, ამერიკული სტუდიური ფონები, რაც სრულიად ახალი რამაა ქართული რეალობისთვის. სწორედ ამიტომ სტუდიას შეუძლია ნებისმიერი დანიშნულების ფოტოსურათების გადაღება და მომხმარებლის შეკვეთების დაკმაყოფილება უმაღლესი ხარისხის პროდუქციით.

აქ მზადდება ნებისმიერი სახის ფოტომასალა: პორტრეტი, კორპორაციული, პორტფოლიო, ინტერიერი და ექსტერიერი, საგნების გადაღება, ღონისძიებების რეპორტაჟები, არქიტექტურა, ლანდშაფტები, მხატვრული ფოტოები, მონოკლი, ისტორიული ფოტოების აღდგენა. ფოტოსურათები მუშავდება (რეტუშირება, კორექცია და ა.შ.) უახლესი ტექნოლოგიით. სტუდია ასევე ამზადებს სარეკლამო და სხვა საიმიჯო პროდუქციის დიზაინს. მის მიერ დამზადებული სარეკლამო მასალები (ბროშურა, ბუკლეტი, ფლაერი, ტრიპლეტი) გამოირჩევა დახვეწილი გემოვნებით და უზადო ტექნიკური შესრულებით).

დაინტერესებულთათვის სტუდიის ხელთ არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად Photolife-Studio-ში ტარდება მასტერკლასები ფოტოგრაფიაში (გადაღება ინტერიერში და ექსტერიერში, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები), ასევე მეცადინეობები ფოტოშოპში მუშაობაზე.

არტ-სტუდია მუდმივ კონტაქტშია უცხოეთის ყველაზე ცნობილ პროფესიონალ ფოტოგრაფებთან; ცოდნის გაზიარება და პრობლემებზე ერთობლივი მსჯელობა ხომ პროფესიონალიზმის დამატებითი გარანტიაა.

„ფოტოლაიფი“ - პრაქტიკაში განახორციელებს თავის სლოგანს - „ასახე სამყარო ფოტოში“. იგი, უდავოდ, ჩვენი ცხოვრების თანამდევი ბრენდია.

საქართველოში ბიზნესის ამა თუ იმ სფეროს განვითარება წარმოუდგენელია სათანადო ვიზუალიზაციის გარეშე. ფოტომასალა PR-ის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორად დაგეგმილი და პროფესიულად გადაღებული ფოტო უფრო ეფექტურად და ლაკონურად გადმოსცემს ნააზრევს, ვიდრე რაგინდარა კარგად გააზრებული, მაგრამ ვრცელი ტექსტი.

დღევანდელი რეალობა კი საქართველოში პროფესიული ფოტოგრაფიის აღზევებას გარდაუვალს ხდის. „ფოტოლაიფის“ საქმიანობა სწორედ ამ ტენდენციას ეხმიანება. ხარისხიანი, მაღალი სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის დამზადებისას, სტუდიაში ყოველთვის ცდილობენ, ინდივიდუალურად მიუდგნენ კლიენტს, მისხალ-მისხალ შეასრულონ მისი სურვილები, მისი მიზნების შესაბამისად დაგეგმონ ყოველი ფოტოს სიუჟეტი და ამით სასურველი შედეგი ყოველთვის მაქსიმალურად მიღწეულია.

ამა თუ იმ სახის ფოტომასალის დამზადებისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია კლიენტის მოთხოვნები, დროის ფაქტორი, ინდივიდუალური, ვიზუალური, მოთხოვნები (როგორიცაა, მაგალითად, მაკიაჟი, ვარცხნილობა, ტანსაცმლის დიზაინი და ა.შ., რაც ასე მნიშვნელოვანია ფოტოსესიის დროს).



ფოტოხელოვანი კახა ფხაკაძე
PHOTOGRAPHER KAKHA PKHAKADZE







სტუდიას გააჩნია საკუთარი ინტერნეტ-ჟურნალი „ფოტოცხოვრება“ (www.photomarket.ge). აქ თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ფოტოხელოვნებისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი მასალა, ინტერვიუები ცნობილ ფოტოგრაფებთან, რეპორტაჟები, საინტერესო შემეცნებითი სტატიები ფოტოგრაფიის პოპულარულ თემატიკაზე და სხვა საინტერესო მასალები. გარდა ამისა, მზად აქვთ ბეჭვდითი ჟურნალი, რომელიც სპონსორს ელოდება.

არტ-სტუდიის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მოტივაცია იყო, პროფესიონალურ დონეზე ჩაეტარებინათ საინტერესო კონკურსები, რათა გულგატეხილი ფოტოგრაფები თუ ფოტომოყვარულები არაკომპეტენტურ კონკურსებში მონაწილეობის შემდგომ დაბრუნებოდნენ ფოტოხელოვნებას.

Photolife-ჯგუფი სხვადასხვა ტიპის კონკურსებს ატარებს. ყოველწლიურმა ფოტოკონკურსმა “ფოტოგაზაფხული 2004”, ფოტოგაზაფხული -2005 ფოტომოყვარულებს მართლაც საშუალება მისცა, მათი ნამუშევრები არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ პროფესიონალ ფოტოგრაფებს შეეფასებინათ, მნახველებს კი მონაწილეთა საინტერესო ნამუშევრები საგამოფენო დარბაზში ეხილათ.

მეტად საინტერესო იყო 2007 წლის შემოდგომის ინტერნეტ-რეალითი შოუ – გახდი ფოტომანი!

ეს იყო რეალითი შოუ ონლაინ-რეჟიმში „რეალურის“ ყველა ატრიბუტიკით: ეტაპები, დავალებები, რეიტინგები, პიარკამპანიები ქულების მოსაპოვებლად, ფოტონამუშევრები, გადარჩენის ჯგუფი და ბოლოს გამარჯვებული. თუმცა, თანმიმდევრულად მივყვეთ.

ფოტოპორტალმა (www.photolife.ws) თავის მომხმარებლებს უპრეცენტენტო გამოწვევა შესთავაზა: რეალით-კონკურსი „ფოტომანი“ ონლაინრეჟიმში საუკეთესო ახალგაზრდა ფოტომოყვარულის გამოსავლენად. ოთხი კვირის განმავლობაში კონკურსანტებს ოთხი ეტაპი უნდა გაევლოთ, შეესრულებინათ მთავარი და დამატებითი დავალებები. აუტსაიდერები შოუს ტოვებდნენ, თუმცა, ორ მათგანს დამატებით დავალებაში მიღებული ქულებით და გადარჩენის ჯგუფის მიერ მისი დასახელებით კვლავ ეძლეოდა შოუში მონაწილეობის უფლება.

საკმაოდ საინტერესო პროექტი გამოდგა: 16 გაბედული მონაწილე, რომელთა სა-













კმაოდ დაძაბულ გრაფიკს, ნერვიულობას, ქულების ლოდინს და „საკონკურსო“ განცდებს დანარჩენი „იუზერები“ შორიდან შენატროდნენ; პორტალ „ფოტოლაიფის“ დარეგისტრირებული წევრებისგან შემდგარი ჟიური, რომლებიც მხოლოდ ქულების წერით არ იფარგლებოდნენ და პოსტებში საკმაოდ სერიოზულ თუ სახუმარო, კრიტიკულ თუ კეთილგანწყობილ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ თითოეული კონკურსანტის ფოტონამუშევრებზე; გულშემატკივრები, რომელთა ყურადღება და გამხნევება ოთხი კვირის განმავლობაში არ მოჰკლებიათ ფოტომანებს, პორტალის ადმინისტრაციისგან შემდგარი ჯგუფი „გადარჩენილის“ გამოსავლენად, საინტერესო დავალებები და ქულების მოპოვების მარათონი, შოუბიზნესის ცნობილი სახეები პროექტის ფინალში.

თითოეული ეტაპის გალერეის თუ ქულების დახურვის დროის მოახლოებასთან ერთად იზრდებოდა დაძაბულობა, ინტერესი, ვარაუდები. მოკლედ, ოთხი დაძაბული კვირა და საინტერესო გამოცდილება, საინტერესო ფოტოები და საინტერესო შედეგები... ყოველივე ამის ნახვა ფოტოპორტალზეა შესაძლებელი.

თუმცა, ფოტოპორტალი მხოლოდ კონკურსებით არ შემოიფარგლება, ვირტუალურ ფოტოკლუბში ქართველ ფოტომოყვარულებთან ერთად უცხოელი ფოტოხელოვანების ნამუშევრებსაც იხილავთ. პორტალზე შექმნილი პროფესიული, საქმიანი გარემო კი ფოტოგრაფიის ამა თუ იმ თემატიკაზე მსჯელობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა თუ დისპუტის მშვენიერი ადგილია.

არტ-სტუდია „ფოტოლაიფის“ მაღალკვალიფიციური კოლექტივი, უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა, ახალი იდეების მუდმივი ძიება და ინდივიდუალური მიდგომა - ყოველივე ეს საშუალებას იძლევა განვაცხადოთ, რომ ფოტოხელოვანი კახა ფხაკაძე - მარადიული სილამაზის უკვდავი იდეით შეპყრობილი მხატვარი არსებულ სინამდვილეში უმშვენიერესს ეძებს. თითოეული მის მიერ შექმნილი ნაწარმოები რეალურობის თავისებურებათა თუ ფანტასტიკურ გამონაგონთა დამოუკიდებლად არსებული მხატვრული სამყაროა.

P.S. ინტერნეტ-რეალითი შოუ – “გახდი ფოტომანი” გრძელდება! წლევანდელი ფოტოკონკურსი ოქტომბერში დაიწყება და ერთი თვე გასტანს. გამარჯვებულებს საკმაოდ საინტერესო პრიზები ელით. კონკურსის მსვლელობისა და შედეგების შესახებ ინფორმაციას როგორც ფოტოპორტალზე (www.photolife.ws), ასევე ჟურნალი „სტილის“ მეშვეობითაც შეიტყობთ, რომელიც ამ კონკურსის ერთ-ერთი სპონსორია.

ნინო მღებრიშვილი









# Photolife



## UNIVERSE REFLECTED IN A PHOTO

Photolife Group is five years old. The creative brand, enjoys prominent reputation in the world of professional and amateur photography. Photo studio, online and photo portal - these are the key directions developed by Photolife.

Photolife has the newest photo devices (slight and medium size digital and film cameras), stationary and portable modern studio lighting and American studio backgrounds, which is an novelty for the Georgian reality. Due to these opportunities, the studio can make any type of photo for any kind of destination (studio, nature, office, apartment…) and fulfill the clients' orders with best quality.

Photolife can take any type of photo: portraits, corporate, portfolios (models, artists, children), interiors and exteriors, objects, images, events and celebrities, architecture, views, landscapes, creative art photo-works, monocle, historic photos renewal. The studio possesses the modern (retouch, correction, outline and etc.) digital methods of photo treatment technologies. Besides that, the studio develops advertising and image product design. Advertising materials produced by Photolife (brochures, booklets, fliers, triplets) feature refined taste and high quality performance.

Those interested in studying photography are welcome to upgrade their theoretical and practical knowledge at master classes in photography (studio and outward photographing, theoretical and practical training) and Photoshop trainings, specially arranged by Photolife.

Art studio maintains close relationship with well-known professional photographers from all over the world. Continual sharing of knowledge and joint discussion of problems are additional guarantees to the studio's qualification.

The primary goal of Photolife is to make their slogan "Universe reflected in photo" come true. Undoubtedly, Photolife is our everyday life brand.

Development of diverse spheres of business in Georgia is unimaginable without publicity-visual effects. Photo image is important and integral component of PR and publicity. Precisely planned and professionally taken photo more effectively and laconically transfers your thoughts than extensive, lengthy textual materials do.

Professional photography enjoys increasing demand in Georgia. The activity of Photolife is an adequate response to these tendencies. While making top quality products satisfying high requirements, the studio never forgets to apply individual approach, accurately consider the goals of its clients and plan a plot of each photo with utmost precision to guarantee a desired result.

While making all kinds of photos (advertising or others) and catalogues, the studio considers above all costumers' demands; time that is so important for any client; individual visual requests (make-up, hairstyle, clothes design and other key components of a quality photo session), etc.

The studio has its own internet-magazine Photolife (www.photomarket.ge), issued in Georgian language. Here you can see a wide range of materials including reports on photography development, interviews with famous photographers and other interesting features. On the other hand, Photolife is looking for a sponsor in order to issue a printed publication.

One of the main reasons why Photolife art-studio was created was an urge to organize high level competitions in order to provide an extra incentive to professional and amateur photographers, wishing to engage in creative photography.









Photolife Group organizes competitions of different kinds. Annual competition Photospring 2004 and 2005 provided photo amateurs with a perfect opportunity to introduce their works to both Georgian and foreign professional photographers, and the public was enabled to see the undoubtedly interesting photos taken by competition participants in the exhibition hall.

We would like to specially note the internet action "Become a Photoman", organized in autumn 2007.

This was an online reality show with all the components of reality: competition stages, assignments, ranking-oriented PR-campaigns, photo materials, rescue groups and, finally – the winner. But let us be consecutive.

Photolife portal (www.photolife.ws) offered an unprecedented challenge to their consumers: an online reality-competition "Become a Photoman", intended for identification of the most talented photo amateurs. During the four weeks the competition participants had to pass four stages by performing a range of assignments. The outsiders were gradually expelled from the show, though two of them collected extra points and were placed into a "rescue group", enabling further participation in the show.





The project proved really interesting: 16 daring participants, who were avidly supported by web-users all through the show; the jury comprised of registered members of Photolife portal, which did not limit itself to defining the ranking points and dedicated serious and jocular, critical and friendly remarks to each competition entry; the audience, who cheered and encouraged the photomans; portal administration, engaged in defining "rescue group" members; interesting assignments and competition rush; and the rewarding final with participation of show business representatives.

Tension grew more and more with completion of each competition stage and announcement of ranking points – in brief, these four weeks were filled with suspense, rich experience, great photos and interesting results…

You can see all this at Photolife portal.

However, www.photolife.ws portal does not limit itself to the competitions: virtual photoclub also offers a highly diverse display of works by Georgian and foreign photo amateurs; professional, businesslike atmosphere makes the photoportal a really convenient point for discussion onfphotography trends and experience-sharing.

Highly qualified staff of Photolife studio, advanced equipment and technologies, constant search of new ideas and individual approach – all this speaks in favor of photographer Kakha Pkhakadze, a true artist, looking to express the true beauty of everyday life. Each of his works is a creative world standing aside from the real life or distracting fantasy.

P.S. Internet reality-show "Become a Photoman" goes on! This year's competition will be launched in October and last for a month. The winners will receive original prizes. Information on the competition process and its results can be found at photoportal www.photolife.ws and in the next issues of magazine STYLE, which is one of the sponsors of this initiative.

NINO MGEBRISHVILI



ჩაქცეული სახლი (ავტოპორტრეტი)
SAGGING HOUSE (SELFPORTRAIT)





# Edmond Gabriel Kalandadze



ფერწერა
PAINTING



ეკლესია ავლაბარში
CHURCH IN AVLABARI



ძველი ციხე
OLD FORTRESS

წელს, 4 მაისს, მხატვარ ედმონდ გაბრიელ კალანდაძეს 85 წელი შეუსრულდა.

დღესაც კარგად მახსოვს მისი ნამუშევარი პირველად რომ ვნახე, სოფლის შარაგზა წვიმიან დღეს, გამოფენილი სამხატვრო სალონში რუს-თაველის გამზირზე.

სულ ცოტა ხნით ადრე, 1973 წლის აგვისტოში, მოსკოვში, პუშკინის მუზეუმში, ვნახე ვინსენტ ვან-გოგის ნამუშევრები კროლლერ-მიულერ-ის ცნობილი კოლექციიდან: აფეთქებული ატმის ხე მაუვეს ხსოვნისადმი მიძღვნილი, მზეწაკიდებული პურის ყანები, ღამის ხავერდოვან სილურ-ჯეში აბრდღვიალებული კაფე - ემოციათა ქარბორბალა. მე ისევ იმ განცდის ქვეშ ვიმყოფებოდი. და უცებ ეს საოცრად ფერადოვანი პეიზაჟი, ეს მუხტი, ეს სიმძაფრე, სველი მიწის სურნელება და სად, აქ, ჩვენთან, თბილისში!

იმ წუთშივე გამახსენდა ვან გოგის წინასწარმეტყველება, მომავალში ჯერ არნახული კოლორისტი მოვაო...

სალონში მოვიკითხე თუ ვინ იყო ავტორი და აღმოჩნდა რომ ეს ის კაცი იყო, რომელსაც დილის ვარჯიშისას, ყოველ დღე ვხვდებოდი მთა-წმინდა-ოქროყანის ბილიკებზე.

On May 4 of this year was Edmond Gabriel Kalandadze' 85th birthday.

I will always remember the day when I saw his work for the very first time - the countryside road on a rainy day, which was exhibited in an Art Saloon on the Rustaveli Avenue.

A little earlier, in August 1973, in Moscow, in the Pushkin Museum of Fine Arts I saw Vincent Van Gogh's works from the famous Kröller-Müller's collection: Pink Peach Tree bursting in blossom (Souvenir de Mauve), wheat fields set ablaze by sun, glaring lights of café against velvet blue of night, vortex of emotions. I was deeply affected by those works… And all of a sudden, this unimaginable colorful landscape, charged, radiating fantastic energy, redolent of wet earth, and where? Here, in my Tbilisi!

That brought to mind the prophetic words of Van Gogh: …"the painter of the future will be a colourist the like of which has never yet been seen."*

Who is the author? I wanted to know. At the Saloon I learned that it was a man I met every day while jogging on the slopes of Mtatzminda (Holy Mountain) and Okrokana (Golden Field).



იმავე დღეს მივედი მასთან, ჩემი საყვარელი, გვიანი შემოდგომის ალმოკიდებული თრიმლის თაიგული მივუტანე და ჩემი ემოციები გავუზიარე. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

და იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მაოცებდა და მაოცებს ედმონდ კალანდაძის ფერადოვანი ტილოების მუსიკალური ჟღერადობა, რაც ჩემში ბუნებრივად ბადებს ასოციაციებს უსაყვარლეს მუსიკალურ კოლორისტ იოჰან სებასტიან ბახთან. ედმონდ კალანდაძის ნამუშევრებიც ხან ისეთივე სევდიანი და ინტიმურია როგორც ბახის ინვენციები, ხან კი დიადი და ამაღლებული, როგორც ბახის მაღალი მესა.

ბუბა სვიმონიშვილი

I visited him the same day, and brought to him the bush of my favorite autumnal, colorful Smoketree and poured on him my emotions. It was the beginning of our friendship.

And from that day on I never stopped to wonder at the delicate musical harmony of his colorful pieces that for me are associated with my beloved musical colorist J. S. Bach. Edmond Kalanadze's works are either as sad and intimate as Bach's Symphonies or as great and noble as Kyrie Eleison from Bach's Mass in B.

BUBA SVIMONISHVILI

* Vincent van Gogh. Letter to Theo van Gogh. Written c. 4 May 1888 in Arles. Translated by Mrs. Johanna van Gogh-Bonger, edited by Robert Harrison, published in The Complete Letters of Vincent van Gogh, Publisher: Bulfinch, 1991, number 482. URL: http://webexhibits.org/vangogh/letter/18/482.htm.





ქარიშხლის წინ
BEFORE STORM





იდეის და რეპორტაჟის ავტორი:
ბუბა სვიმონიშვილი

REPORTAGE AND IDEA BY BUBA SVIMONISHVILI











# ტრანსფორმაცია

ამა წლის 27 ივლისს, ძველ თბილისში, შარდენის ქუჩაზე, „მცირე გალერეაში“, თბილისის სამხატვრო აკადემიის, დიზაინის ფაკულტეტის (მხატვრული კერამიკის მიმართულება) პირველი მაგისტრანტების - ლიკა აბუაშვილის, ირინა ჯიბუტის და ანუკა ჯანიაშვილის საკურსო გამოფენა - „ტრანსფორმაცია“ გაიხსნა. მაგისტრანტების ხელმძღვანელი გახლდათ, ქალბატონი ლალი ქუთათელაძე. მოცემული პროგრამის ავტორი კი ბატონი, გია იაშვილი. ამ პროგრამის მიხედვით ახალგაზრდა კერამიკოსებს დაევალათ, გამოფენის სრულად ორგანიაზია - აფიშის, მოსაწვევების დიზაინი და ბეჭვდა, სტუმრების მოწვევა, ექსპოზიციის თუ პრეზენტაციის მოწყობა და ა.შ. გამოფენაზე მოწვეულნი იყვნენ სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელნი, ხელოვნებათმცოდნეები, მასმედიის წარმომადგენლები, ექსპოზიტორთა მეგობრები. დამსწრე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდების მიერ წარმოჩენილ ექსპოზიციას.





მსგავსი გამოფენებს მოწყობა, მხოლოდ ამ მოვლენით არ შემოიფარგლება და მალე სამხატვრო აკადემიის ტრადიციად გადაიქცევა. ახალგაზრდები თავიანთი საკურსო შედეგებით ერთგვარ ანგარიშგებას მოახდენენ საზოგადოების წინაშე და ამგვარად თავიანთი „მოღვაწეობის“ შედეგს გააკონტროლებენ. მოწვეულნი, შარდენზე შემთხვევით მოხვედრილნი თუ ქალაქის სტუმრები დიდი ინტერესით და მოწონებით აღიქვამდნენ ნანახს.



ამგვარი აქციები, როგორც წესი შემოქმედებითი ენერგიის გათავისუფლების თავისებური საშუალებაა. ინტელექტუალური ფანტაზიები, დიზაინერული უტოპიები ჭეშმარიტი ხელოვნების მუდმივი თანამგზავრი უნდა იყოს. ეს უთუოდ კეთილ გავლენას მოახდენს მთლიანად დიზაინერულ პრაქტიკაზე. ამგვარი ეგზერსისები კი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ პროფესიონალისა და ოსტატის, არამედ ხელოვანის ჩამოყალიბებას.



ნინო ლალიძე



# Transformation



On July 27 2008, Minor Gallery located in Chardin Street hosted an exhibition of post-graduate works, titled “Transformation”, arranged by first postgraduate students of the design faculty of Tbilisi State Academy of Arts - Lika Abulashvili, Irina Jibuti and Anuka Janiashvili. The students were tutored by Ms. Lali Kutateladze, and author of the program was Mr. Gia Iashvili. According to the program, the young artists were offered to cope with all the organizational aspects of the exhibition - designing and printing of posters and invitation cards, inviting the guests, arranging the exposition, organizing the presentation, etc. The exhibition was visited by professors of the Academy of Art, art critics, mass media representatives and friends of exhibition authors. The public gave a highly positive evaluation to the exposition, arranged by the youngsters.











Exhibitions of this kind will be organized on numerous occasions in the future and will soon become a tradition of the Academy of Art. The young students will be thus enabled to visualize the knowledge acquired during studies and actually see the results of their activities.

The invited guests, occasional visitors of Chardin Street and guests of the city greatly enjoyed the exhibition and studied the exhibited works with apparent interest.

Such actions are an efficient tool allowing to release the creative energy. While intellectual fantasy and design utopias should be the constant companions of genuine artists, exhibitions of this kind are sure to exert a highly positive influence on the design practice and help form the young arts students into true artists.

NINO LAGHIDZE





ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა
და განვითარების ფონდი

OLD CITY REHABILITATION AND
DEVELOPMENT FUND

# კონკურსი

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის ეგიდით გამოცხადდა კონკურსი, რომლის მიზანს წარმოადგენს (ღია შემოქმედებითი პაექრობის გზით) თბილისის ისტორიულ უბანში (განთავისუფლებული) ტერიტორიის სივრცითი მოწყობა. ქალაქმშენებლობის თანამედროვე ხედვების, მიდგომებისა და ხერხების გამოვლენა;
ასევე - ახალგაზრდა კადრების პროფესიული აქტივობის მხარდაჭერა; მათი ურბანული პრობლემატიკით დაინტერესება, სტიმულირება.
საპროექტო ტერიტორიის ადგილას იდგა 1990-იან წლებში აშენებული აბანო "პოსეიდონი", რომლის დემონტაჟიც მოხდა 2007 წელს.
საპროექტო ტერიტორიის ფართია - 174.45მ$^2$
მოცემული ტერიტორია განთავსებულია ზონაში, რომელსაც დღეს მოქმედი "სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების" კანონის მიხედვით შექმნილ ზონირების რუკაზე მინიჭებული აქვს "განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ-N6)-ის სტატუსი.
გთავაზობთ, სახელოვნებათმცოდნეო კვლევის ამონარიდს.
ავტორი: ნინო ჭანიშვილი


XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტოსურათი, აბანოთუბანი

საპროექტო ტერიტორია გრიშაშვილის ქ. №9 ცარიელი ნაკვეთი მდებარეობს თბილისში, ისტორიულ აბანოთუბანში. ისტორიულად აბანოთუბნის დიდი ნაწილი – დღევანდელი ახუნდოვის, გრიშაშვილის, მირზა შაფის, ბააზოვის ქუჩები – ეკუთვნის უბანს, რომელსაც თავიდან ერქვა საკუთრივ „თბილისი“ („ტფილისი“), შემდეგ – სეიდაბადი და ბოლოს – ხარფუხი. ბოტანიკურის, აბანოსა და დაბახანის ქუჩები განლაგებულია ფერდობზე ნარიყალის ქვემოთ და ისტორიული ქვემო კალას უბნის ნაწილია. საზღვარს ამ ორ ნაწილს, ე. ი. სეიდაბადსა და კალას შორის ქმნის მდ. წავკისისწყალი (იგივე ლეღვთახევი, გვიანდელი დაბახანისწყალი), რომელიც ახლა ქალაქის ფარგლებში მიწის ქვეშ არის მოქცეული.

აბანოთუბანი ქალაქის უძველესი ნაწილია. ვახტანგ გორგასლის მიერ ქალაქის დაარსების პოპულარული ლეგენდა სწორედ ამ ადგილს უკავშირდება. არაბების მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ ამ უბანში დამკვიდრდა არაბი ამირა. მისი სასახლე დაახლოებით დღევანდელი ბოტანიკურის ქუჩის ბოლოში იყო. გადმოცემით ამავე ქუჩის დასაწყისში მდგარა ორმოცი სებასტიელი მოწამის ეკლესია, რომლის კარიბჭესთანაც 786 წლის 6 იანვარს თავი მოჰკვეთეს წმ. აბო თბილელს. გათხრების შედეგად აქ აღმოჩნდა გვიანრომაული ხანის აბანოს ნაშთები, რაც ადასტურებს, რომ ეს ტერიტორია უკვე VI საუკუნემდე დიდი ხნით ადრე ინტენსიურად იყო ათვისებული.

ადრეულ ხანაში „ტფილისად“ წოდებული უბანი მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას მდ. წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მტკვრის შესართავამდე. ეს ტერიტორია, როგორც ჩანს, რაბათს – სახელოსნო უბანს წარმოადგენდა, რასაც მოწმობს არქეოლოგიური კვლევებით გამოვლენილი ქურები და მოჭიქული თუ მოუჭიქავი კერამიკის ნატეხები.

XVII საუკუნეში ახალი გალავანი, რის შედეგადაც შეიქმნა ე. წ. დაბალი ციხე – შემოზღუდული უბანი, ნარიყალასთან ერთად, ქართლის მეფემ ბაგრატიონთა დინასტიის გამუსლიმებულმა წარმომადგენელმა, სპარსელებს გადასცა. ახალმა გალავანმა სრულიად გამიჯნა სეიდაბადი და კალა. ირანის შაჰის სეფის მითითებით, როსტომმა ძველ „ტფილისის“ უბანში ერთ-ერთი სპარსული ტომი – სეიდები ჩაასახლა, რამაც მთლიანად შეცვალა უბნის სახე და ის დიდი ხნით სპარსელთა მთავარ დასაყრდენად აქცია. ამ დროიდან უბანს სეიდაბადი ეწოდებოდა.


XIX საუკუნის მიწურულის ფოტოსურათი, აბანოს ქუჩა


XIX საუკუნის მიწურულის ფოტოსურათი,
წინა პლანზე მარცხნივ ბებუთას აბანო

აბანოთუბნის ერთ-ერთ მთავარ არქიტექტურულ ორიენტირს წარმოადგენს მეჩეთი. იგი აგებულია XIX საუკუნის მიწურულს და ამჟამად ემსახურება როგორც სუნიტ ასევე შიიტ მუსულმანებს. ამ ადგილას 1723-1734 წლებში ოსმალებმა ააგეს სუნიტური მეჩეთი, რომელიც 1740-იან წლებში სპარსელებმა დაანგრიეს. იგი 1846-1851 წლებში არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით აღადგინეს, თუმცა ეს უკანასკნელიც დაანგრიეს და მის ნაცვლად ახალი, ამჟამად მოქმედი მეჩეთი ააშენეს.

აბანოთუბნის უმთავრეს ღირშესანიშნაობას შეადგენდა და კვლავაც შეადგენს აბანოები, რომლებმაც სახელი მისცა ამ უბანს. ისინი გაშენებულია ბუნებრივ ცხელ გოგირდოვან წყაროებზე, რომლებიც თაბორის მთიდან და დაბახანის ხევიდან მოედინებიან. თბილისის დაარსების ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ წყაროებმა უბიძგა ვახტანგ გორგასალს აქ ქალაქი გაეშენებინა.

XVIII საუკუნისათვის აბანოთა რაოდენობა თბილისში მკვეთრად შემცირდა. ვახუშტის თქმით, ქალაქში ექვსი „ავაზიანი“ (ე. ი. აბაზანიანი) აბანოა. 1800 წლის გეგმა მხოლოდ ოთხ აბანოს უჩვენებს.

XIX საუკუნეში სეიდაბადში 21 წყარო მოედინებოდა, თუმცა მათგან მხოლოდ 15 იყო ექსპლუატაციაში. წყაროები კერძო პირებს ეკუთვნოდათ, XIX საუკუნის ბოლოსათვის წყაროებს 13 მფლობელი ჰყავდა. აბანოების სახელები ცნობილი იყო წყაროების მეპატრონეების მიხედვით. წყაროების ტემპერატურა 28-დან 38-მდე გრადუსამდე აღწევდა. ყველაზე ცხელ აბანოებად ითვლებოდა მირზოევის და ბებუთოვის აბანოები, რომლებიც რეკომენდირებული იყო რევმატიზმით დაავადებულთათვის.

სეიდაბადის აბანოების უმეტესობა XVII-XVIII საუკუნეებისაა და გვიანდელი გადაკეთებების მიუხედავად შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე. მათი ხუროთმოძღვრება მჭიდროდ უკავშირდება ისლამურ არქიტექტურულ ტრადიციებს.

ნომრები გადახურული იყო კამარით და ზემოთ გაჭრილი სარკმლით ნათდებოდა. აბაზანა წარმო-



1920-იანი წლების ფოტოსურათი.

ადგენდა თლილი ქვისაგან ან მარმარილოსაგან გაკეთებულ სწორკუთხა აუზს, რომელშიც ხმაურით ჩაედინებოდა წყალი. ყველა სააბაზანო ოთახის წინ მოთავსებული იყო გასახდელი, სადაც გარშემო გაკეთებულ ნიშებში თეთრეულს აწყობდნენ. იატაკი და ზოგჯერ კედლებიც თლილი ქვით იყო მოპირკეთებული.

აბანოებში ქრისტიანები და მუსულმანები სხვადახვა აუზებით სარგებლობდნენ. აბანოში შესვლა ფასიანი იყო. ფასს აბანოს კომფორტი განსაზღვრავდა. იაფფასიანი აბანოები, სადაც უბრალო ხალხი დადიოდა მოკლებული იყო ყოველგვარ კომფორტს.

ქალებს აბანოში წასასვლელად კვირაში რამდენიმე დღე ჰქონდათ დათმობილი. მათ თან სარეცხიც მიჰქონდათ და აბანოში მთელი დღით რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ. ქალების საერთო აბანოდ მხოლოდ ეგრეთწოდებული ციხის აბანო ითვლებოდა და აქ მამაკაცებს შესვლა ეკრძალებოდათ.

XIX საუკუნეში აბანოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა უცხოელებს შორისაც. ყველა ჩამოსული სტუმარი ქალაქის სრულად გასაცნობად აუცილებლად გოგირდის აბანოში უნდა წასულიყო.

საბჭოთა პერიოდში აბანოთუბანში ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები არ ჩატარებულა. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1980-1985 წლებში განხორციელებული სარესტავრაციო პროექტი, რომელიც დამუშავდა ი. ციციშვილის ხელმძღვანელობით. პროექტის ფარგლებში აღადგინეს აბანოების მიწისქვეშა და მიწისზედა ნაწილები, მოცილდა გვიანდელი ფენები. მუშაობის პროცესში გამოჩნდა და დაკონსერვებული იქნა აგურისა და ქვის რიგების მონაცვლეობით ნაგები ძველი საყრდენი კედლის ფრაგმენტი. რესტავრაცია ჩაუტარდა აბანოს ქუჩის მარჯვენა მხარეს განლაგებულ შენობებსაც, ქუჩის დასაწყისიდან ორბელიანების აბანომდე.

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია გრიშაშვილის ქუჩასა და აბანოს I ჩიხს შორის და უშუალოდ ესაზღვრება აბანო „ბახმაროს“. ეს აბანო XVII საუკუნით თარიღდება და იგი XIX საუკუნის ბოლომდე ცნობილი იყო ბებუთას აბანოს სახელწოდებით.

საპროექტო ტერიტორიის ადგილას იდგა 1990-იან წლებში აშენებული აბანო „პოსეიდონი“, რომელიც გასულ წელს დაანგრიეს. XIX საუკუნეში კი, როგორც ძველი ფოტოებიდან ჩანს, ზუსტად ამ ადგილას აგურით ნაგები ორსართულიანი სახლი იდგა. სახლი ყრუ ზურგით მიქცეული იყო ბებუთას აბანოსკენ და მთავარი ფასადებით აბანოს I ჩიხში და გრიშაშვილის ქუჩაზე გადიოდა. ჩიხის მხარეს სახლს მეორე სართულზე ხის აივანი ამშვენებდა. ასევე ძველი ფოტოებიდან ჩანს, რომ უშუალოდ აბანოს ქვედა მკლავის სახურავიდან შესაძლებელი იყო ეზოში მოხვედრა იქ მოწყობილი კიბის საშუალებით.



ალმოსავლური მასაჟი მირზოევის აბანოს წინ



XX საუკუნის დასაწყისის ფოტოსურათი, მარჯვნივ მირზოევის აბანო



XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ფოტოსურათი, ქალაქის ძველი ნაწილი აბანოებთან



# სარკმელი სამყაროს უკიდეგანო სივრცეში



ზაზა ბერძენიშვილის მოღვაწეობა 80-იანი წლებიდან იწყება. 80-იანელთა თაობა ძველი და ახალი სამყაროს ზღვარზე იდგა და ამ კრიზისულ პერიოდში მოახერხა და ახალი ეტაპი შექმნა ქართულ მხატვრობაში. საყოველთაო ნიჰილიზმის დროს, როდესაც გარემოში შემზარავი მოვლენები მიმდინარეობდა, რაც ადამიანის ცხოვრებაში ტრადიციულ სულიერ ორიენტირებს ანგრევდა, 80-იანელთა თაობა ქმნიდა ახალ, პოსტმოდერნისტულ კულტურას. ამ თაობამ, ქართულ კულტურაში, შემოიტანა გრძნობად-შემეცნებითი აზროვნების ახალი ტიპი, ნიშანთა და მხატვრულ სახეთა საკუთარი სისტემა, სემანტიკური კოდირების მეთოდი.

ზაზა ბერძენიშვილი ამ თაობას ეკუთვნის და გამოირჩევა კიდეც მისგან. მისი შემოქმედება - ეს არის თავისებური რეაქცია რეალობაზე: რაც უფრო კრიზისულია გარემო, მით უფრო მშვიდი და ჰარმონიულია მისი სამყარო, დრამატიზმის აკომპანიმენტით. ამგვარად დეჰუმანიზებულ გარემოში, მისი გზა ჰუმანიზმია. კაცობრიობის არსებობის ვეებერთელა სივრცეში, მისი განცდები, ადამიანის გაცნობიერებული



ზაზა ბერძენიშვილი
ZAZA BERDZENISHVILI





თუ გაუცნობიერებელი ტკივილია, რადგან ყოველი სურათი ისევ გვაბრუნებს „დედამიწაზე, ტკივილების ღამეულ სახლში“ - თითოეული მათგანი, თავისი განწყობით, ღრმა სინანულსა და მწუხარებას იწვევს, მაშინაც კი, როცა თემა არ არი სევდიანი. რატომ? ამ კითხვის პასუხი, ისე ღრმად დევს საოცარ ფერთა სიღრმეში და იდუმალებით მოცულ სიჩუმეში, რომ მის შესაცნობად მნახველი იძულებულია დიდხანს უცქიროს სურათს, არა მხოლოდ დაინახოს, არამედ შეიგრძნოს და მთლიანად გაიაზროს ის მისტიური განცდა, რომელიც ყოველი სურათიდან იფრქვევა გასაოცარი ფერადოვნებით.



ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔ
ᲑᲐᲘᲐ ᲬᲘᲥᲝᲠᲘᲫᲔ



# A Window to the Boundless World



Creative biography of Zaza Berdzenishvili takes its start in the 1980'ies. His generation came to the fore at the unfortunate time when the old world was being demolished and rebuilt, but nonetheless succeeded in creating a new milestone in Georgian art. At the time of general nihilism and atrocity, which destroyed traditional values of spiritual life, the generation of 1980'ies was engaged in developing a new postmodernist culture. These artists introduced into Georgia a new kind of sensual-cognitive consciousness, an original system of signs and creative characters, a unique method of semantic encoding.

Zaza Berdzenishvili both belongs to this generation and stands apart from it. His art is a sort of reaction to the surrounding reality: the more unstable the life is the more peaceful, harmonious and dramatic his imaginary world appears. To resist this ruthless atmosphere, he strives to follow and defend humanism. He tries to express the conscious or unconscious pain of humanity, and his every painting returns us to the real, earthly life, this "nocturnal abode of pain", evoking deep sorrow and grief. Why? The answer to this question is hidden so deep behind the magnificent colors and the mysteriously silent images that an onlooker has to study the paintings for a long time and not so much see as feel and share the mystical emotion, which shines from every picture with surprising radiance.



ART CRITIC
BAIA TSIKORIDZE















# Second life of recycled paper

It often happens that the modern art not so much delights as surprises and frightens us. While contemplating this or that "chef-d'oeuvre", one often finds it difficult to say what the author tried to express with his work – what he wanted to prove or deny. Outrageous, shocking works of art might be misunderstood or misinterpreted, but one cannot turn a blind eye to the fact that they deserve some attention.

An absolutely unexpected step was taken by Georgia Russel, who decided to operate recycled paper (books, magazines and newspapers).

The Scottish artist uses lancet like a surgeon, curving her sculpture from books and cutting paper sheets into thin ribbons. In her "book sculptures", these ribbons are transformed into grass, tree branches, sea waves… The artist buys old books at second-hand booksellers or collects them from the admirers of her talent. Sometimes, she even receives presents of amortized books from schools and libraries.

According to Georgia, these books have once been of great service to their owners. After Georgia's "operation", they get revived and gain another opportunity to please people – but as gifts and accessories this time.

By the way, prose and poetry volumes, shredded by scalpel and magically transformed, enjoy high demand. These books, converted into surprising sculptures, continue to adorn bookcases and shelves.

# მაკულატურის მეორე სიცოცხლე

ხშირად თანამედროვე ხელოვნება, არა იმდენად აღგვაფრთოვანებს, რამდენადაც გვანცვიფრებს და გვაშინებს კიდეც. ცალკეული „შედევრის“ აღქმისას, ძნელი სათქმელია, კერძოდ რისთვის ისწრაფვოდა თავისი შემოქმედებით ავტორი - რისი დამტკიცება ან უარყოფა სურდა. ხელოვნების ეპატაჟური, შოკისმომგვრელი ნაწარმოებები, შეიძლება ვერ ან არ გაიგო, მაგრამ შეუძლებელია არ აღიარო, რომ ისინი ყურადღების ღირსია.

აბსოლუტურად მოულოდნელია აღსაქმელად, ჩამოწერილი მაკულატურის „წარმომადგენლებზე“ (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები), მხატვარ ჯორჯია რასელის მიერ ჩატარებული „პლასტიკური ოპერაციების“ შედეგები.

შოტლანდიელი მხატვარი, სკალპელით მუშაობს ისე, როგორც ქირურგი და სკულპტურებს პირდაპირ წიგნებიდან ჭრის - გარდაქმნის ქაღალდის ფურცლებს უთხელეს ზოლებად. ეს ზოლები, მის „წიგნის სკულპტურებში“ გარდაიქმნებიან ბალახებად, ხის ტოტებად, ზღვის ტალღებად., მხატვარი,. მაკულატურას ბუკინისტურ მაღაზიებში ყიდულობს, ან მისი ტალანტის თაყვანისმცემლებისგან იღებს საჩუქრად. ჩამოწერილი ბიბლიოთეკა მასთან, ზოგჯერ სკოლებიდან თუ ბიბლიოთეკებიდან მოაქვთ.



ჯორჯიას, აზრით, ამ წიგნებმა, ოდესღაც შესანიშნევი სამსახური გაუწიეს თავიანთ პატრონებს. „ოპერაციის“ შემდეგ - მეორე სიცოცხლის შეძენისას კი, შესაძლებლობა ეძლევათ, კიდევ ერთხელ მიანიჭონ სიხარული ადამიანებს, ოღონდ ახლა სუვენირის, სამშვენისის სახით.

ცნობისთვის, სკალპელით დასერილი პროზისა და პოეზიის ტომეულებზე თუ სანოტო რვეულებზე, ჯადოქრული გარდაქმნის შემდეგ, დიდი მოთხოვნაა. ისინი - ახლა უკვე საოცარი სკულპტურები, კვლავ ალამაზებენ წიგნის კარადებსა და თაროებს.







DS
Development Solutions
LIFESTYLE


ავტორადიო
FM-95.1
FM 95.1
სარეკლამო